ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 107 (12 482) 8 მაისი ხუთშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

Beijing 2008 დარჩა 92 დღე





## ზეპური რევოლუცია

რას აპირებს ბლატერი? »»» 9

## ეტოო ტოტენჰემში, რაიკაარდი ჩელსიში

მსოფლიო ფეხბურთი »»» 6-10



# ნაცნობი ფინალი

16 მაისს, ეროვნულზე: ამერი vs ზესტაფონი



## ბორჯომში ამერის გენერალური მენეჯერი სცემეს

»»» 2

ამერი-ზესტაფონი 1:0. შარშანდელი ფინალი. სევასტი თოდუასა და გიორგი დეკანოსიძის ორთაბრძოლა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

## არსებობს საფრთხე, რომ ბრანკოსთან გარიგება არ შედგეს



ინტერვიუ პეტარ სეგრტთან »»» 3

## ივანკოვიჩი ორშაბათს იტყვის



»»» 3

# წელი მტკიოდა და წარმატებებს როგორ მივაღწევდი

## კოჭუაშვილი ყარაღანდიდან წამოვიდა

ინტერვიუ »»» 4



გუშინ... »»» 6-7

**ესპანეთი.** რეალი-ბარსელონა 4:1

**გერმანია.** ვერდერი და შალკე ლიგაში

## სოჭში ოლიმპიადის ჩატარება ეჭვს იწვევს

ეძებენ ალტერნატივას, ურჩევენ სოკ-ს »»» 13

დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშება. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

# ბორჯომში სტუმრები გაილახნენ

**ბორჯომი-ამერი**

**1:1**

07.05. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი
1 200 მაყურებელი

**პირველი მატჩი 1:4**

0:1 დოლიძე (7), 1:1 მეგრელაძე (15)
ბორჯომი: სეფიაშვილი – კაკუბავა, თედიაშვილი, ქარქოზაშვილი, გივი ჩხეტიანი – კირთაძე (73. ნ. ლომიძე), ქავთარაძე (67. გუგავა), შ. გრიგალაშვილი (78. გოგიჩაიშვილი), ჩირიკაშვილი – ჯიუსტი, მეგრელაძე
ამერი: ნადირაშვილი – მემარნიშვილი, მესხი, ჩიკვილაძე, ელბაქიძე – შალამბერიძე, დიდავა, დეკანოსიძე, დოლიძე (83. ა. ალავიძე) – დავითაშვილი (90. ჩიმაკაძე), რ. გოცირიძე (67. ტატანაშვილი)
გაფრთხილება: შალამბერიძე (45), ჩიკვილაძე (56), კაკუბავა (80), დიდავა (83)
არბიტრი: ლ. სილაგავა

როგორც მოსალოდნელი იყო, "ბორჯომს" ფინალში გასვლის რეალური შანსი არც გუშინ მისცემია. მატჩი საკმაოდ სანახაობრივი და დაძაბული გამოვიდა, თუმცა "ამერის" საბოლოო წარმატება წამითაც არ დამდგარა ეჭვქვეშ. დაძაბულობა ვახსენეთ და მთავარი მოვლენები ტრიბუნაზე განვითარდა. მოდით, შეხვედრის თვითმხილველებს მოვუსმინოთ.

**გიორგი დარჯანია**, გაზეთ "სარბიელის" მთავარი რედაქტორი:

*"მთელი მატჩის განმავლობაში "ბორჯომის" გულშემატკივრები მეგაფონებით აგინებდნენ "ამერსა" და მის ფეხბურთელებს. რამდენიმე მასპინძელ ქომაგს კი ხელში რეზინის ხელკეტი ეჭირა. თამაშის ბოლოს მათ "ამერის" გენერალური მენეჯერი ვახტანგ ბზიკაძე ალყაში მოაქციეს და ხელკეტები ურტყეს. სიტუაციის განმუხტვა ვცადე და ყოველგვარი აგრესიის გარეშე ბზიკაძის მისაშველებლად მივედი. ორი-სამი მუშტი მეც მითავაზეს...*

*შემდეგ, როგორც იქნა, მდგომარეობა ჩაწყნარდა და "ამერის" ავტობუსი და "სარბიელის" ავტომობილი პოლიციის კორდონის წყალობით გავიდა სამშვიდობოს. ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ხულიგნებს საპატიო სტუმართა ლოჟიდან აქეზებდნენ.*

*ამ ყველაფერთან ერთად, დაუდგენელმა პირებმა მსაჯების მანქანას საბურავები დაუსერეს".*

**ვახტანგ ბზიკაძე**, "ამერის" გენერალური მენეჯერი:

*"ბორჯომელი გულშემატკივრების ნაწილი მეტისმეტად აგრესიული იყო, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მოგვაყენეს... იმედია, მატჩის დელეგატი მომხდარ ამბავს ობიექტურად აღწერს და დამნაშავე საკადრისად დაისჯება. ვფიქრობ, ეს აგრესია, "ამერი"-"ბორჯომის" პირველი მატჩის შემდეგ პრესაში გაკეთებულ კომენტარებს მოჰყვა. მაშინ "ბორჯომის" წარმომადგენლებმა ჩვენი კლუბის გულშემატკივრები რასიზმში დაადანაშაულეს, არადა, მსგავს გამოვლინებას ადგილი არ ჰქონია".*

**ვლადიმერ ხაჩიძე**, "ბორჯომის" მთავარი მწვრთნელი:

*"განსაკუთრებულ ინცინდენტს ადგილი არ ჰქონია. ერთი ის ვიცი, რომ ვიღაც ხულიგნებმა მსაჯების მანქანას საბურავები დაუჭრეს. ასეთ ჩემპიონატში თამაშს აზრი არ აქვს, მაფიოზი თუ არ ხარ, შედეგს ვერ მიაღწევ. მაფიოზები კი ბევრი გვყავს და ღმერთმა ხელი მოუმართოთ..."*

**ლევან ჯანეზაშვილი**

საქართველოს თასის
ყაზბეგის გათამაშების
ფინალი
16 მაისი ეროვნული სტადიონი
www.pfl.ge
დასაწყისი 20:00 საათზე
სპონსორები
ვითიბი VTB
აქსისი
ჯეოსელი GEOCELL
საინფორმაციო მხარდამჭერა
სარბიელი
24 Hours

# ტრადიციას არ უღალატეს

**ზესტაფონი-დინამო**

**1:0**

07.05. ზესტაფონი. ცენტრალური
5000 მაყურებელი

**პირველი მატჩი 1:1**

1:0 ონიანი (62)
ზესტაფონი: ჭანტურია - თოდუა, ლობჟანიძე, საჯაია (75. ღონღაძე), აკუსაგა - რ. ონიანი, ხიდეშელი, კესანი (78. დაუშვილი), ნ. კვასხვაძე, ჟონატასი (53. იონანიძე) - ბ. გოცირიძე
*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, გელაშვილი, ბიტოო, სანტოსი*
დინამო: ოვონო - შ. კაშია, კრშკო, გ. კაშია, გველესიანი - ფირცხალავა, ნერგაძე (80. თომაშვილი), ოდიკაძე (89. დობეში), ხუციშვილი - ვაწაძე, აკირემი (72. ქანთარია)
*სათადარიგოები: ლორია, ჯიშკარიანი, ჯოხაძე, გეთიაშვილი*
გაფრთხილება: ხუციშვილი (20), ფირცხალავა (22), საჯაია (29), ოდიკაძე (37), შ. კაშია (58), კესანი (63)
არბიტრი: ლ. სილაგავა

**5.** ხიდეშელმა ძლიერი დარტყმით გაიტანა გოლი, თუმცა მსაჯმა მასპინძელთა სხვა ფეხბურთელზე დააფიქსირა თამაშგარე.
**10.** კვასხვაძის ძლიერ დარტყმას ოვონო იგერიებს.
**30.** ოდიკაძემ 27-28 მეტრიდან უძლიერესად გაისროლა და ოდნავ ააცილა.
**54.** საჯაიას თავურის შემდეგ გოცირიძეს მართებდა დამატებაზე გატანა, მაგრამ ისევ თამაშგარე დაფიქსირდა.
**62.** 1:0 - დინამოელები ხელოვნური თამაშგარის შექმნას ცდილობდნენ, რითაც კარგად ისარგებლა ონიანმა. გავიდა ცარიელ დერეფანში, მიუახლოვდა ოვონოს და მარცხენათი გაუტანა.
**68.** კესანის ფლანგურ რეიდს ჩაწოდება მოჰყვა. იონანიძე თავური დარყმა ოვონომ მოიგერია. გაგრძელებულ კომბინაციას ხიდეშელის ძლიერი დარტყმა მოჰყვა, რომელიც ოდნავ ასცდა კარს.
**79.** გოცირიძის დარტყმას ოვონო ფეხით იგერიებს.



ონიანის გოლი დინამოელთა კარში — www.fczestafoni.ge

მიუხედავად წვიმისა და ცუდი ამინდისა, ნახევარფინალმა ფეროელთა ქალაქში დიდი ინტერესი გამოიწვია. 9 000 მაყურებელი გულმხურვალედ უჭერდა მხარს თავისიანებს, რამაც მთლიანობაში კარგი საფეხბურთო საზეიმო ფონი შექმნა. ეტყობა "დინამო" საჩემპიონო ეიფორიიდან ვერ გამოვიდა, რის გამოც თბილისელები მოშვებულები და მოდუნებულები ჩანდნენ. ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმზე ითქმის, როცა მათ კარისკენ ნორმალურად მხოლოდ ერთხელ დაარტყეს. რაც შეეხება მასპინძლებს, ისინი მეთოდურად აძლიერებდნენ შეტევებს და საწყისი წუთებიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას და შესვენებამდე არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს.

მეორე ტაიმი მასპინძლებმა კიდევ უფრო აქტიურად დაიწყეს და მალე შედეგიც მოიმკეს - 62-ე წუთზე დინამოელები ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას შეცდნენ, რითაც კარგად ისარგებლა მასპინძელთა კაპიტანმა **როინ ონიანმა**. ამის მერე ჯერ **იონანიძეს** შეეძლო გატანა, მერე კი **ხიდეშელს** თუმცა მიზანი ვერც ერთმა ვერ გაისწორა. ამას დინამოელთა ფსევდოგააქტიურება მოჰყვა, ბოლო კი ისევ მასპინძლებისა იყო. აკუსაგას გამოზომილი პასით **კვასხვაძეს** შეეძლო გატანა, თუმცა ოდნავ ააცილა. **გოცირიძეს** კი - მეკარემ ფეხით აუღო.

საბოლოოდ მასპინძლებმა გაიმარჯვეს, რითაც ბოლო წლების ტრადიცია არ დაარღვიეს - "ზესტაფონი" ზედიზედ მეოთხედ გავიდა ფინალში, **მახარაძის** დამოძღვრილმა გუნდმა კი "დინამოს" ბარიერი უკვე მერამდენედ გაიარა. ასე რომ, 16 მაისს ტრადიციული ფინალი "ამერი"-"ზესტაფონი" გველის.

**მატჩის შემდეგ**

**დუშან უჰრინი (დინამო):** *"ჩემ კოლეგას ფინალში გასვლას ვულოცავ. ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ გუნდი ამ მატჩისთვის ვერ განეწყო, რის გამოც არ წაგვივიდა თამაში. სხვადასხვა მიზეზების გამო გვაკლდა ხუთი ძირითადი ფეხბურთელი, რომელთა სრულფასოვანი შეცვლა ძნელია. ამ მიზეზების ერთობლიობით დავმარცხდით".*

**თემურ მახარაძე (ზესტაფონი):** *"კარგია, რომ "ზესტაფონმა" გაიხარა, ფინალში გასვლით ყველანი კმაყოფილები ვართ. ძნელია ხუთი დღის მანძილზე "დინამოს" ორჯერ ეთამაშო. ჩვენ პირველ მატჩში ჩავდეთ ფინალში გასასვლელი სერიოზული საფუძველი და დღეს მისი რეალიზება საბოლოოდ შევძელით. ვეცდებით ყველაფერს, რომ ფინალში ამჯერად მაინც გავახაროთ ჩვენი გულშემატკივრები".*

**მერაბ ბრძელიძე**
ზესტაფონიდან

# თასის ფინალი ამჯერად უცხოელი რეფერის გარეშე?

საქართველოს თასის შარშანდელ ფინალზე უპრეცედენტო ფაქტი დაფიქსირდა – კლუბების ინიციატივით, პროფესიული ფეხბურთის ლიგამ უცხოელ მსაჯთა ბრიგადა დაიქირავა - "ამერი"-"ზესტაფონის" შეხვედრა თურქმა არბიტრებმა განსაჯეს.

რა იქნება წლეულს? ლიგა ფინალის განსჯას კვლავ უცხოურ ბრიგადას მიანდობს, თუ ამჯერად ქართველებს? ამ კითხვით ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, **პაატა ბურჯალიანს** მივმართეთ.

*"ჯერ საკითხი გადაწყვეტილი არაა. ფინალისტების ვინაობა დღეს გაირკვა და კლუბების პოზიცია მალე გვეცოდინება. თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ ასეთი სურვილი არც ერთ გუნდს არ გამოუხატავს. ფინალი 16 მაისს გაიმართება და რადგან, მანამდე მცირე დროა დარჩენილი, აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ ფინალს ქართველ არბიტრები იმსაჯებენ. სიმართლე გითხრათ, ლიგის პოზიციაც ასეთია – ჯობია, ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრა ქართველებს მივანდოთ,"* – გვითხრა ბურჯალიანმა.

**მერაბ მამულაშვილი**



შარშანდელი ფინალი თურქმა ქუნეთ ჩაქირმ იმსაჯა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე
პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.
მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ პეტარ სეგრტთან

# ბრანკო ივანკოვიჩთან კონტრაქტისთვის ფედერაციამ ყველაფერი გააკეთა



პეტარ სეგრტი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ბრანკო ივანკოვიჩმა გუშინ გამთენიისას დატოვა თბილისი. ქართული ვოიაჟით ხორვატი მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა. იმავეს აცხადებენ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები. ბრანკო ივანკოვიჩს თბილისური ვიზიტისას მისივე თანამემამულე და ჩვენი 21-წლამდელების თავკაცი პეტარ სეგრტი გვერდიდან არ მოცილებია. ივანკოვიჩსა და სეგრტს ახლო ურთიერთობა აკავშირებთ ერთმანეთთან და შესაბამისად სეგრტმა ამ თემაზე მეტი იცის. სწორედ ამიტომ მას გუშინ ფედერაციაში ვეწვიეთ. სეგრტმა "ლელოს" კითხვებს უპასუხა, მერე კი "ზესტაფონი"-"დინამოს" თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩის სანახავად, მეგობარ ქალ ბრიგიტასთან ერთად გეზი იმერეთისკენ აიღო.

**- ბრანკო ივანკოვიჩი რამდენად კმაყოფილი დარჩა თბილისში ვიზიტით და რა სიტყვებით დაგემშვიდობათ. მისგან ერთ კვირაში დადებით პასუხს უნდა ველოდოთ?**

- ჩემი აზრით, ივანკოვიჩის ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო და ყველაფერმა ჩინებულად ჩაიარა. ეროვნული ნაკრების თავკაცის პოსტზე ის ფავორიტი კანდიდატურაა და თუ რატომ, ეს ალბათ გუშინ, მისი ვიზიტისას ყველამ კარგად დაინახა. ის განათლებული, ინტელიგენტი ადამიანია. ივანკოვიჩს თავისი გეგმა აქვს თუ როგორ უნდა ამაღლდეს ფეხბურთის დონე საქართველოში. ისაა ადამიანი ხორვატული მენტალიტეტით, რაც ქართული გარემოსთვის აბსოლუტურად მისაღები და სასარგებლოა. ჩემი აზრით, ბრანკომ ძალიან კარგად დაიჭირა ის ოქროს შუალედი, რომელიც ესოდენ სჭირდება საქართველოსა და ჩვენს ფეხბურთს. ესაა თავდადებული მუშაობა და ამავე დროს მეგობრული დამოკიდებულება ხალხთან და ფეხბურთელებთან.

**- ქართული მხარის წინადადება მისთვის მისაღები რომ არ ყოფილიყო, მაშინ თბილისშიც არ ჩამოვიდოდა...**

- ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან ბრანკო ივანკოვიჩისადმი შეთავაზება მისაღები და ძალიან კარგი იყო. უფრო მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა მხარემ პრაქტიკულად ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ კონტრაქტი გაფორმდეს. ფედერაციის ხელმძღვანელობამ ივანკოვიჩს აქაური საფეხბურთო ინფრასტრუქტურა გააცნო და დეტალურად დაუხატა ქართულ ფეხბურთში არსებული ვითარება. ესაუბრა აქაურ საფეხბურთო პოტენციალზეც და პრობლემებიც არ დაუმალავს. მიუხედავად ამ ყველაფრისა, დღეს გადაჭრით მაინც ვერ ვიტყოდი, რომ ბრანკო ივანკოვიჩთან კონტრაქტი გაფორმდება.

**- კონტრაქტზე ხელმოწერის შემთხვევაში ივანკოვიჩი მარტო ჩამოვა თუ ფიზიკური მომზადების ან სხვა პროფილის ასისტენტს ჩამოიყვანს?**

- ეს ის საკითხია, რომელიც მხარეებმა ერთად უნდა გადაწყვიტონ და დეტალურად მოილაპარაკონ ყველაფერზე. ბრანკო ივანკოვიჩს ჩემი დახმარება რაშიც დასჭირდება, ყველანაირად მხარში დავუდგები და ეს მანაც კარგად იცის. თუმცა ჩემი აზრით ივანკოვიჩის სამწვრთნელო შტაბში ქართველები უნდა მუშაობდნენ.

**- არსებობს თუ არა რაიმე ფაქტორი, რაც შეიძლება გადაულახავი ბარიერი შეიქნას და ეს გარიგება ჩაშალოს?**

- სამწუხაროდ, ასეთი საშიშროება მართლაც არსებობს... ადრეც ვთქვი და კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ივანკოვიჩს ბუნდესლიგის კლუბებიდან აქვს შეთავაზებები. ჩემი აზრით, ესაა ჩვენთვის ყველაზე საშიში ფაქტორი, რის გამოც შეიძლება ეს გარიგება არ შედგეს.

**- მაინც რამდენ ხანში იტყვის ბრანკო ივანკოვიჩი საბოლოო პასუხს?**

- მომდევნო კვირაში ჩვენ კიდევ დაველაპარაკებით ივანკოვიჩს. თუმცა ფედერაციის პრეზიდენტმა ბრანკო ივანკოვიჩს თბილისში ყოფნისას ერთი რამ ხაზგასმით უთხრა - ჩვენ გვჭირდება ძალიან სწრაფი გადაწყვეტილება. ამაში თავად ივანკოვიჩიც დაგვეთანხმა. მანაც იცის, რომ 27 და 31 მაისს ეროვნულ ნაკრებს ესტონეთსა და პორტუგალიაში აქვს ამხანაგური მატჩები და შესაბამისად, გუნდის მომზადებისთვის დროა საჭირო.

**- ახლახან გაცხადდა, რომ რატი ალექსიძეს ნაკრებში დაბრუნების შანსი მიეცა. კიდევ რომელი ახალი ფეხბურთელი შეიძლება ვიხილოთ ეროვნული გუნდის სიაში?**

- მას მერე რაც ალექსიძის თამაში ვნახე, ამ ფორვარდმა ჩემზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ჩემი აზრით, ვინც არ უნდა იყოს ეროვნულის თავკაცი, რატის ნაკრებში დაბრუნების შანსი უნდა მისცეს. კარგად ვიცი, რომ რატის დიდი პაუზა ჰქონდა. მართალია, 21-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვარ, მაგრამ ჩემს კომპეტენციაში ისიც შედის, რომ ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებს დავაკვირდე. რატის ჩემი განწყობის შესახებ შევატყობინე. ამით ალექსიძეს იმედი და სტიმული მივეცი საიმისოდ, რომ ფეხბურთში სრულფასოვნად დაბრუნდეს. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, რატი ალექსიძეს ესტონეთსა და პორტუგალიაში უნდა მიეცეს ნაკრებში დაბრუნების შანსი. სამწუხაროდ, ეროვნულ ნაკრებში კარგი ცენტრფორვარდის საკითხი ღიადაა, ამ დროს გამოჩნდა ალექსიძე და ვფიქრობ, ეს ჩინებული ვარიანტია ვაკანსიის შესავსებად. რატის გარდა, ეროვნულ ჩემპიონატში რამენიმე ისეთი ფეხბურთელი ვნახე, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში თავის წარმოჩენის შანსი უნდა მიეცეს.

**- ვინ არიან ეს მოთამაშეები?**

- ამ ეტაპზე მათი გვარების დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებდი. ეს ჩემი პირადი აზრია და როცა ეროვნულ ნაკრებს ახალი თავკაცი ეყოლება, მას აუცილებლად ვეტყვი.

**დავით ცაბაძე**

# ივანკოვიჩი ორშაბათს იტყვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში ჩამოსული და სამშობლოში უმალვე დაბრუნებული ხორვატი სპეციალისტი **ბრანკო ივანკოვიჩი** ახლა იმაზე ფიქრობს, დათანხმდეს თუ არა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შეთავაზებას, გაწვრთნას თუ არა ჩვენი ეროვნული გუნდი.

ახალი ამ საქმეში ის არის, რომ დადგინდა დედლაინი, ანუ ვადა, თუ როდის უნდა შემოთვალოს პასუხი ივანკოვიჩმა - 12 მაისს ფეხბურთის ფედერაცია ივანკოვიჩისგან მკაფიო პასუხს მიიღებს- კი ან არა.

მოკლედ, ფედერაციასა და ივანკოვიჩს შორის უკვე ყველა დეტალი შეთანხმებულია. ცხადია, თუ ივანკოვიჩი უარს იტყვის, ფედერაციას სათადარიგო ვარიანტებიც აქვს, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, ივანკოვიჩი ჩვენი ნაკრების მწვრთნელად რომ არ დაინიშნოს.

**დავით თავართქილაძე**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ბრანკო ივანკოვიჩი

ფიფას რეიტინგი

# საქართველო უცვლელია

გუშინ, ფიფამ უახლესი რეიტინგი გამოაქვეყნა - აპრილის მონაგარი დათვალა. საქართველოს ნაკრები უწინდელ პოზიციაზე დარჩა: 81-ე ადგილი. აპრილში საქართველოს ეროვნულ გუნდს არ უთამაშია, თუმცა ხშირად მომხდარა, ნაკრებს თვე გაუცდენია, მაგრამ რეიტინგში ადგილი შეუცვლია.

რაც შეეხება მსოფლიოს 2010 წლის შესარჩევში ჩვენს მეტოქეებს: იტალია მე-3 ადგილზეა, ბულგარეთი მე-18-ზე, ირლანდია 41-ეზე, კვიპროსი 58-ეზე, ჩერნოგორია კი 150-ეა.

**დავით თავართქილაძე**

# ამისულაშვილი გაამართლეს

## ფეხბურთელის ქმედებაში დანაშაულის კვალი არ აღმოჩნდა

**ალექსანდრე ამისულაშვილის** გარშემო შარშან ატეხილი ალიაქოთი ქართველი ფეხბურთელის სასარგებლოდ დასრულდა. გასულ წელს დაწყებული სასამართლო პროცესი მხოლოდ ახლა დახურეს. ამისულაშვილი ვლადივოსტოკის სამხარეო პროკურატურამ გაამართლა.

შეგახსენებთ, რომ 2007 წლის 3 ნოემბერს ნალჩიკის "სპარტაკმა" სტუმრად, ვლადივოსტოკის "ლუჩ-ენერგიასთან" 1:2 წააგო. მატჩის შემდეგ სპარტაკელები გასართობად ქალაქის ყველაზე პრესტიჟულ კაფე "მიატნი ტრიუფელში" შევიდნენ. "სოვეტსკი სპორტი" თვითმხილველებზე დაყრდნობით წერს, რომ ფეხბურთელები ღირსეულად იქცეოდნენ. თუმცა მეორე დღეს ადგილობრივმა ინტერნეტ გამოცემამ საგამოძიებო ორგანოებში მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სტატია დაწერა, თითქოს ალეკო ამისულაშვილმა 23 წლის ალისია კაფეში გაიცნო და შემდეგ პირდაპირ ქუჩაში გააუპატიურა.

იმავე დღეს ალისიამ საგამოძიებო ორგანოს სარჩელით მიმართა, მიშველეთ, ქართველმა ღირსება ამყარაო. გამოძიებამ კი დაადგინა, რომ გოგონას საჩივრის წარსადგენად, არანაირი საფუძველი არ გააჩნდა და გაუპატიურების შესახებ ბრალდება უსაფუძვლო იყო.

*"საქმეს წერტილი დაესვა. გოგონას სისხლის სამართლის აღძვრაზე უარი განვუცხადეთ, რადგან მისი სარჩელი უსაფუძვლოდ ჩავთვალეთ. ჯერ კიდევ ამისულაშვილის დაკავების დროს ცხადი იყო, რომ ფეხბურთელის ქმედებაში დანაშაულის კვალი არ არსებობდა,"* - განაცხადა ვლადივოსტოკის საგამოძიებო კომიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა **ავრორა რიმსკაიამ.**

მიუხედავად იმისა, რომ ამისულაშვილი გაამართლეს, გუშინ მას ვლადივოსტოკში "ლუჩ-ენერგიის" წინააღმდეგ არ უთამაშია. როგორც შევიტყვეთ, ნალჩიკელთა ხელმძღვანელობამ ალეკოს თამაში არ ისურვა იმ ქალაქში, რომელთანაც ცხოვრებაში ყველაზე საშინელი მოგონება აკავშირებს.

**მერაბ მამულაშვილი**



ალექსანდრე ამისულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზურგის ტკივილი მუშაობაში ხელს მიშლიდა

## რეზო ძოძუაშვილმა ყარაღანდის შახტიორი დატოვა



ყარაღანდის "შახტიორმა" შარშანდელი სეზონი მესამე ადგილზე დაასრულა და რევაზ ძოძუაშვილის ყაზახური კარიერა წარმატებულად ჩაითვალა. წლეულს კი კლუბის პრეზიდენტმა გრიგოლ ლორიამ ჩემპიონობა მოსთხოვა, თავადაც იმედიანად იყო განწყობილი, მაგრამ კლუბი საამისოდ მზად არ აღმოჩნდა. უფერული სტარტის შემდეგ, ბატონმა რეზომ "შახტიორის" დატოვება გადაწყვიტა.

მართალია, ერთი კვირით ადრე საპირისპიროს ამტკიცებდა, გუნდიდან წასვლას არ ვაპირებო, მაგრამ საბოლოოდ, მაინც ასე მოხდა – ქართველი სპეციალისტი ყაზახეთიდან წამოვიდა.

ეს ინფორმაცია გუშინ ყარაღანდის "შახტიორის" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა და თავად ძოძუაშვილმა ინტერვიუშიც დაადასტურა. გთავაზობთ ამ ინტერვიუს ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს.

**- კლუბი რატომ დატოვეთ?**

- "შახტიორი" გასულ წელს ჩავიბარე. პრეზიდენტს უძლიერესთა სამეულში მოხვედრასა და ევროთასებზე გასვლას შევპირდი. მაშინ პირობა შევასრულე. წლეულს კი გულშემატკივრებს პირობა მივეცი, რომ ჩემპიონობას მოვიპოვებდით. სამწუხაროდ, სეზონი ჩემთვის და გუნდისთვის წარუმატებლად დაიწყო. მრავალ საგოლე მომენტს ვქმნით და გატანას ვერ ვახერხებთ. ბევრი ისეთი ფეხბურთელი დაშავდა, რომელთა იმედიც მქონდა. კლუბი დატოვეს ჩვენმა ბომბარდირებმაც - მიხოლაპსმა და მელქაძემ. მათ ნაცვლად, ყაზახეთის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები მოვიწვიეთ. ჩემპიონატის მიმდინარეობისას კი, ახალი ფეხბურთელების ტაქტიკურ სქემასთან მორგება რთულია. ამიტომაც გადავწყვიტე, გულშემატკივრები და კლუბის ხელმძღვანელობა რომ არ მომეტყუებინა, გუნდიდან წავსულიყავი. განცხადება გადადგომის შესახებ თავად დავწერე და ვფიქრობ, კლუბისთვისაც ასე უკეთესი იქნება.

**- კლუბის დირექტორ გრიგოლ ლორიას მუშაობაზე რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- გრიგორი ლორია სპორტული, ერუდირებული და ტაქტიანი ადამიანია. მას არ ეშინია, იყოს ხელმძღვანელი და აქვს ყველა შესაძლებლობა, ძლიერი სპორტული მოღვაწე გახდეს. მასზე მხოლოდ და მხოლოდ კარგი მოგონებები მრჩება და იმედია, მომავალშიც ვითანამშრომლებთ.

**- თავად კლუბზე რას გვეტყვით?**

- "შახტიორზე" კარგი შთაბეჭდილება დამრჩა და შემიძლია, თავაწეული წავიდე. "შახტიორმა", ბრინჯაოს მედლები, 12-წლიანი პაუზის შემდეგ, ჩემი ხელმძღვანელობით მოიპოვა და ევროპულ დონეზე გავიდა. დაიწყეს სტადიონის რეკონსტრუქცია. ჩემი გინების უფლება არავის აქვს. მწვრთნელებს გვაქვს ტერმინი, "წარუმატებელი წელი". ალბათ, 2008 ჩემთვის სწორედ ასეთი იყო.

**- ყაზახეთის ჩემპიონატზე რას ფიქრობთ?**

- საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, ყაზახური ფეხბურთი პოსტსაბჭოური ქვეყნების ლიდერთა ხუთეულში შედის - რუსეთის, უკრაინის, ბელარუსიისა და ბალტიისპირეთის შემდეგ.

**- ხომ არ ნანობთ, ყაზახეთში მუშაობას რომ დათანხმდით?**

- არ ვნანობ, რადგან მრავალი ქვეყანა მოვიარე და ასეთია ჩემი სამუშაო. უკვე შევისწავლე და კიდევ ვაპირებ, სხვადასხვა ქვეყნის საფეხბურთო სკოლები შევისწავლო. ახლა ჩემს საფეხბურთო კროსვორდში ყაზახეთიც გამოჩნდა და ამით ცოდნა კიდევ უფრო გავიმდიდრე.

**- თუკი კვლავ შემოგთავაზებენ ყაზახეთში მუშაობას, ასეთ წინადადებას დათანხმდებით?**

- გააჩნია პირობებს - თუკი კლუბი ევროთასებზე გასასვლელად იბრძოლებს, სიამოვნებით ვიმუშავებ. სხვაგვარად გამორიცხულია.

**- ყაზახური ფეხბურთის სკოლა ქართულისგან რითი განსხვავდება?**

- კლიმატით! როდესაც თქვენი ბავშვები ჰოკეის თამაშობენ, ჩვენები ფეხბურთით ერთობიან. ამიტომაც უფრო ტექნიკურები ვართ, თქვენ კი უფრო გამძლეები.

**- ყაზახურ ფეხბურთს მომავალი აქვს?**

- როდესაც ქვეყნის სათავეში არის პრეზიდენტი, რომელსაც სპორტის განვითარება სურს, რაღა თქმა უნდა, აქვს.

**- ყარაღანდაში ათთვიანი მუშაობიდან კიდევ რას გაიხსენებდით?**

- იმას, ზურგი რომ გამიცივდა. ამის შემდეგ, ნემსებს სისტემატურად მიკეთებდნენ. ტკივილი მუშაობაში ხელს მიშლიდა, განსაკუთრებით ჩემპიონატის სტარტზე. მიმდინარე ჩემპიონატში ცუდი შედეგების ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, ესეც გახდა.

... ქართველი მწვრთნელი საჯაროდ ყველაფერზე არ საუბრობს. ჩვენი ინფორმაციით, რეალურად კლუბიდან წასვლის მიზეზი ისიც აღმოჩნდა, რომ ყარაღანდის "შახტიორის" პრეზიდენტ გრიგოლ ლორიასთან მუშაობა ძალიან რთული აღმოჩნდა.

სწორედ ლორიას მიზეზით დატოვა კლუბი ქართველმა თავდამსხმელმა **ლევან მელქაძემ**, რომელიც შარშან "შახტიორის" ბომბარდირი გახდა. მას კლუბთან კონტრაქტი დეკემბერში დაუსრულდა. მას შემდეგ, როგორც თავად გვითხრა, ლორიამ თავად რამდენჯერმე ახალი კონტრაქტის შესთავაზა, მაგრამ ეს ყველაფერი ტყუილი აღმოჩნდა.

*"ლორიას ხუთჯერ ვესაუბრე და თავად მითხრა, რომ კონტრაქტს გამიფორმებდა. ამის იმედად დავრჩი ყაზახეთში გაზაფხულამდე. ჯერ მოსამზადებელი ეტაპის დაწყებამდე დამაიმედა, შემდეგ ხელმოწერას თურქული შეკრების დასრულებისთანავე შემპირდა, მაგრამ კონტრაქტს საშველი ვერა და ვერ დაადგა. როგორც მივხვდი, მატყუებდა და წამოვედი - ლორიასთან სახვეწარი არაფერი მქონდა. უბრალოდ, ვერ გავიგე, ეს რაში დასჭირდა. ჩემი თამაშით უკმაყოფილო ვერ იქნებოდა, რადგან შარშან, მიხოლაპსთან ერთად, კლუბის ბომბარდირი გავხდი. ახლა რამდენიმე საინტერესო ვარიანტი მაქვს და მალე გადაწყდება, სად ვითამაშებ."* - გვითხრა მელქაძემ.

რევაზ ძოძუაშვილისა და ლევან მელქაძის წამოსვლის შემდეგ, გაურკვეველი რჩება ყარაღანდაში დარჩენილი ერთადერთი ქართველის, **ლაშა ნოზაძის** მომავალი. ლაშა თბილისის "დინამომ" ყაზახეთში ერთწლიანი არენდით გაუშვა, ხელშეკრულების ვადა კი ზაფხულში იწურება. თუმცა ძოძუაშვილის წამოსვლით, სავსებით შესაძლებელია, რომ "შახტიორი" ნოზაძემაც დატოვოს და ყარაღანდა საქართველოს მოქალაქეების გარეშე დარჩეს.

**მერაბ მამულაშვილი**

---

ფრაგმენტი ჩემი კარიერიდან

# ხასიათი და ნერვები

**იყო დრო, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიდან პირდაპირ პრემიერლიგაში რომ მიდიოდნენ. გიორგი ქინქლაძის მერე ეს რატი ალექსიძემ მოახერხა... ახლა კი რატი თბილისის "ლოკომოტივის " ფეხბურთელია, მისი კარიერა სულ სხვანაირად წარიმართა...**
**ჯონ ტერი, ეიდურ გუდიონსენი, ფრანკ ლემპარდი, მარიო მელხიოტი... ისინი რატისთან ერთად ისხდნენ "ჩელსის" სათადარიგოთა სკამზე და მასთან ერთად თამაშობდნენ "ჩელსის" სარეზერვო გუნდში.**
**ზოგს ეგონა, რომ რატიმ შეცდომა დაუშვა, როცა "დინამოდან" პირდაპირ "ჩელსიში" წავიდა, ზოგიც სხვა რაღაცას აბრალებს ალექსიძის ჩელსურ ხელმოცარვას...**
**თითქმის ოთხწლიანი პაუზის შემდეგ ალექსიძე ფეხბურთს დაუბრუნდა და შესაძლოა, მალე ერთხელაც მისცენ სანაკრებო შანსი - საქართველოს ნაკრებს გამოცდილი, კლასიანი ცენტრფორვარდი ამ დროისთვის არ მოეპოვება და იქნებ რატიმ მოახერხოს სანაკრებო კონდიციამდე მისვლა...**
**მოკლედ, ალექსიძე კიდევ ერთხელ შეიქნა საინტერესო ფეხბურთელი საქართველოსთვის. ჩვენს რუბრიკაში კი ის ჩელსურ ამბავს მოგითხრობთ...**

**დავით თავართქილაძე**



რატი ალექსიძე

პირველად "ჩელსიში" 1997 წელს მივედი - მე და არჩილ სახვაძე სტაჟირებაზე მიგვიწვიეს. მაშინ ლონდონელთა მწვრთნელი რუუდ გულიტი იყო. "ჩელსიში" ძალიან მეგობრულად მიგვიღეს. არაჩვეულებრივ პირობებში ვიყავით. რამდენჯერმე "ჩელსის" პირველ გუნდშიც ვივარჯიშეთ, ვითამაშეთ ორმხრივ თამაშებში და გოლებიც გავიტანე. ლონდონში მცხოვრები ჩვენებური, თემურ ბარბაქაძე გვპატრონობდა. "ჩელსის" აღმასრულებელი დირექტორი კენ ბეითსიც ძალიან კარგი თვალით გვიყურებდა, თბილად გვეპყრობოდა.

მართალია, რომ თქვენ გიორგი ქინქლაძის გუნდელები ხართ? გვეკითხებოდნენ ჩელსელები და მერე ხელს გვართმევდნენ. ქინქლაძე მთელ ინგლისში პოპულარული იყო და ყველამ იცოდა, რომ ის მანამდე "დინამოს" ფეხბურთელი იყო.

სტაჟირების დრო ამოიწურა და "დინამოში" დავბრუნდი, წამოსვლისას მითხრეს, კიდევ შეგეხმიანებითო. "ჩელსიში" ნანახმა და განცდილმა ჟინი მომიმატა - მიზნად დავისახე, "ჩელსის" ფეხბურთელი გავმხდარიყავი. საამისოდ ჯერ "დინამოს" ძირითადში უნდა დამემკვიდრებინა ადგილი, რაც მაშინ ძალიან ძნელი იყო. ალექსანდრე იაშვილი, გიორგი დემეტრაძე, მიხეილ აშვეთია, ლევან ხომერიკი... კონკურენცია საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ ეს არ მაშინებდა. "დინამოს" მწვრთნელი დავით ყიფიანი თავდასხმის გარდა მარცხენა ნახევარმცველადაც მათამაშებდა. ერთი სიტყვით,"დინამოს" ძირითადს თანდათან გავუშინაურდი, ხოლო "ჩელსიმ" მე და სახვაძე ხელმეორედ მიგვიწვია სტაჟირებაზე.

მეორე სტაჟირება ექვსთვიანი იყო. ეს არც თუ მცირე დროა და "ჩელსიში" საკმაოდ კარგად მოვემზადე. მე და სახვაძეს უკვე ინგლისის რეზერვთა ლიგაში გვათამაშებდნენ. იურიდიულად ეს შეუძლებელი იყო და ჩვენ სხვა გვარებით ვთამაშობდით. რა თქმა უნდა, ხელფასი და პრემია ჩვენ არ გვქონდა. მაშინ "ჩელსის" მწვრთნელი უკვე ჯანლუკა ვიალი იყო. მოგეხსენებათ, სარეზერვო გუნდში პირველი გუნდის ფეხბურთელებიც თამაშობენ და ხომ წარმოგიდგენიათ, იქ თამაში რამხელა სტიმული და სკოლა იყო ჩემთვის.

ნახევარი წლის მერე ისევ "დინამოში" რომ დავბრუნდი, ყველაფერი ჩინებულად ამეწყო. კარგად წამივიდა თამაში, საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გავხდი ჟურნალისტთა გამოკითხვით, მიმიწვიეს ეროვნულ ნაკრებში, გოლი გავიტანე ევროტურნირზეც და მქონდა იმედი, რომ "ჩელსიდან" უკვე კონტრაქტზე დამირეკავდნენ. კონტრაქტზე მართლაც დამირეკეს, ოღონდ მოსკოვის "სპარტაკიდან".

მოსკოვში ცხონებულ მამაჩემთან ერთად ჩავედი. "სპარტაკის" ხელმძღვანელობას თითქმის ყველაფერზე მოველაპარაკეთ და ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო ჩემი "სპარტაკში" გადასვლა. ჩამოვედით თბილისში და მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მქონდა იმედი, რომ "ჩელსიდან" დამირეკავდნენ. ასეც მოხდა. ძალიან ავფორიაქდი, "სპარტაკში" უკვე კონტრაქტის გასაფორმებლად მელოდნენ და უცებ "ჩელსი"!

"რეალი","მილანი" და "ჩელსი"- ბავშვობაში ამ გუნდებში თამაშზე ვოცნებობდი და როცა ერთ-ერთ მათგანში გადასვლა შემომთავაზეს, უარს როგორ ვიტყოდი. "დინამოს" პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას ჩემთვის ხელი არაფერში შეუშლია. მანაც "ჩელსიში" წასვლა მირჩია. თუ არ ვცდები, "ჩელსიმ" "დინამოს" ჩემს ტრანსფერში მილიონი გირვანქა გადაუხადა.

"ჩელსისთან" სამწლინახევრიანი კონტრაქტი გავაფორმე. 27 ნომრიანი მაისურა მომცეს. ეს 2000 წლის ზამთარში მოხდა. მაგარ ფორმაში ვიყავი და სარეზერვო გუნდში არც კი მათამაშებდნენ, პირველი გუნდის სამატჩო განაცხადში ვიყავი, შანსს ველოდებოდი, თუმცა სეზონი ისე ჩამთავრდა, პრემიერლიგაში თამაში არ მომიწია.

მომდევნო სეზონში "ჩელსის" მწვრთნელი შეეცვალა - კლაუდიო რანიერი მოვიდა, მიმაჩნია, რომ ის გულიტზე და ვიალიზე ძლიერი სპეციალისტია, ბევრი რამ შეცვალა "ჩელსიში", ექიმიც კი თვითონ შეურჩია კლუბს. უეფას თასზე "სენტ გალენთან" შეცვლაზე შემიყვანა, შორიდან ცაციათი დავარტყი, მეგონა გოლი იყო, მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა. რანიერიმ პრემიერლიგაშიც მათამაშა - ორივეჯერ შეცვლაზე.

ტრავმები დამჩემდა. ჯერ კოჭი გადამიბრუნდა და ერთი თვე გამიცდა. მერე წელი ამტკივდა, მოედანზე ფეხს ძლიერად თუ დავდგამდი, ეგრევე ტკივილი დამკრავდა წელში. ამის გამო საგანგებოდ შემიკერეს რბილძირიანი "პუმას" ბუცები. მაგრამ განა მხოლოდ ტრავმების ბრალი იყო ჩემი უთამაშებლობა? რა თქმა უნდა, არა, ტრავმები მოშუშდება, მაგრამ ძალიან ძნელია ტორე ანდრე ფლო, ჯანფრანკო ძოლა და ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი ამოაგდო შემადგენლობიდან. ამას დაერთო პრობლემები პირად ცხოვრებაში. ასაკმაც თავისი ქნა, 21-22 წლის ვიყავი და ბევრი რამ კარგად არ მესმოდა, ბევრ რაღაცას ვერ ვუმკლავდებოდი, ბევრი რამ ისე ვერ გავაკეთე, როგორც უნდა გამეკეთებინა. ასეთი შანსი ერთხელ გეძლევა და მისი არგამოყენება დიდი ცოდვაა. ვერ ვიტყვი, რომ არ ვიშრომე, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი - ხასითის სიმტკიცე დამაკლდა და ნერვებიც არ მეყო. მაინც მგონია, რომ "სპარტაკში" წასვლას "ჩელსი" ჯობდა - დიდი ფეხბურთის თამაში მინდოდა და როცა ასე ხარ მომართული, "ჩელსის" "სპარტაკს" ვერ ამჯობინებ.

"ჩელსიში" ყოფნისას საუკეთესო მოგონებად პირველი შვილის შეძენა დამრჩა, რომელსაც მამაჩემის სახელი დავარქვი - თემური. მამაჩემი სულ უკმაყოფილო იყო ჩემი თამაშით და მასთან ყოველთვის ვკამათობდი. მეუბნებოდა, თუ მეტი შეგიძლია, ეს მინდორზე უნდა დაამტკიცოო. "ჩელსიში" ეს ვერ მოვახერხე.

2001-02 წლების სეზონისთვის "შეფილდ უენსდეის" უნდოდა ჩემი აყვანა. მივედი იქ, რამდენჯერმე ვივარჯიშე კიდეც, მაგრამ ტრანსფერი ვერ გამოვიდა - ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მატჩების საჭირო რაოდენობამდე თხუთმეტი პროცენტი დამაკლდა. მერე ლაპარაკი იყო "ნიურნბერგზე", თუმცა არც ეს ვარიანტი გამოვიდა.

2001 წელს თბილისის "დინამოში" დავბრუნდი. რა შემძინა "ჩელსიში" გატარებულმა დრომ? რა თქმა უნდა, ბევრი რამ, პირველ რიგში კი ის, თუ როგორ უნდა მოვამზადო საკუთარი თავი. ახლა, როცა რამდენიმეწლიანი უქმობის შემდეგ ისევ დავუბრუნდი ფეხბურთს, ეს ყველაფერი ძალიან მეხმარება.

ლეგიონერები

# იაშვილს გოლი დაუბრუნეს, კობის ძველი წყენა გაუხსენეს?



ალექსანდრე იაშვილი


დავით კვირკველია

გერმანიის ბუნდესლიგაში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა, ჩემპიონატის დასრულებამდე კი ორი ტურიღა დარჩა. **ლევან კობიაშვილის** „შალკემ" სტუმრად 3:0 დაამარცხა „ბოხუმი", ხოლო **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" შინ კოტბუსის „ენერგის" დაუზავდა – 1:1. იმედია, სეზონის დასრულების შემდეგ „შალკეს" ახალი თავკაცი, ჰოლანდიელი **ფრედ რუტენი** კარდინალურად შეცვლის 30 წლის ქართველი ნახევარმცველისადმი მიდგომას, თორემ დროებითი მწვრთნელები ჰოლანდიელი **იური მიულდერი** და **მიკა ბიუსკენსი** აშკარად ალმაცერად უყურებენ კობიაშვილის შესაძლებლობებს. ლევანმა კვლავ არ ითამაშა, ის „ბოხუმთან" განაცხადშიც არ ყოფილა. სხვათა შორის, კობიაშვილის მისვლა „შალკეში" დაემთხვა ბიუსკენსის მეორე გუნდში გადაყვანას და ამასთან, ისიც ნახევარმცველი იყო. ალექსანდრე იაშვილმა შეუცვლელად ითამაშა „ენერგისთან" მატჩში და „შპორტალისგან" 3 ქულა მიიღო. ალექსანდრე იაშვილს გერმანულ წყაროთა უმეტესობამ არ ჩაუთვალა გოლი, რომელიც მან „ვოლფსბურგს" გაუტანა და ავტოგოლად მონათლა. მაგრამ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ოფიციალურად დააფიქსირა ის გოლი, როგორც იაშვილის გატანილი, ასე რომ ჩვენს თანამემამულეს ამ სეზონში გოლი და 6 საგოლე პასი აქვს.

მეორე ბუნდესლიგაში, „კარლ ცაისს" თავისი ადგილი კიდევ ერთხელ და, მგონი საბოლოოდ, მიუჩინეს – თამაშამდე „აუეს" და „კარლ ცაისს" (ასევე „პადერბორნს") 27-27 ქულა ჰქონდათ. სამივეს მხოლოდ თეორიული შანსი ჰქონდა მეორე ბუნდესლიგაში დარჩენისთვის, დღეისათვის კი „კარლ ცაისი" ოფიციალურად დაემშვიდობა ლიგას. „კარლ ცაისი" „აუეს" ენვია და 0:5 შერცხვა. სტუმართა სასტარტოში **გიორგი ონიანი** და **ილია კანდელაკი** იყვნენ, ონიანმაც და კანდელაკმაც მოედნის შუახაზში ითამაშეს. „კარლ ცაისს" გოლის გატანის ერთადერთი შანსი ჰქონდა და ისიც ონიანის 14 მეტრიდან დარტყმას მოჰყვა. გიორგი 34-ე წუთზე შეცვალეს, ილიამ 90 წუთი ითამაშა. **გიორგი სეთურიძე** სეზონში მეოთხედ მოხვდა განაცხადში (ერთხელ ითამაშა). „შპორტალმა" კანდელაკი დაბალ შეფასებას, ხუთ ბალს დააჯერა, ხოლო გიორგი ონიანს მაქსიმალურად დაბალი ქულა – 6 დაუწერა. „კარლ ცაისი" 27 ქულით ბოლო ადგილზეა. **მათე ღვინიანიძის** გარეშე დარჩენილი უმოტივაციო „მიუნხენი" სტუმრად „პადერბონთან" 1:3 დამარცხდა.

შვეიცარიაში სუპერლიგიდან უკვე გავარდნილი „თუნი" კიდევ ერთხელ შერცხვა, ბოლოადგილოსანი „სიონს" ენვია და 0:5 დამარცხდა. ობერლანდელთა სასტარტოში დიდი ხნის შესვენების შემდეგ ქართველი ფორვარდი **სანდრო იაშვილი** მოხვდა. სანდრომ 90 წუთი ითამაშა, მაგრამ ვერაფრით შეეწია „თუნს". „დიდი მადლობა არაფრისთვის" – ასე წერენ „თუნის" ფანები გუნდის ფორუმზე. იაშვილის გუნდს 26 ქულა აქვს. ერთი ტურიც და „თუნის" ტანჯვა დასრულდება, ქართველი კი, იმედია, შეძლებს ზაფხულში „შტურმის" ხელმძღვანელობისთვის თავის მოწონებას.

ავსტრიის ერსტე ლიგის დასრულებამდე ორი ტურით ადრე ლუსტენაუს „აუსტრიამ" მეორე ადგილიც დაკარგა, სტუმრად „ზალცბურგის" ახალგაზრდულ გუნდთან 1:1-ის თამაშის შემდეგ **მირზა ბუალავას** გუნდი 51 ქულით მესამეა. ბუალავა 77-ე წუთზე შეცვალეს, მანამდე კი გააფრთხილეს.

ერთმატჩიანი ჩავარდნის შემდეგ კვლავ მოიგო ქართველთა „რუბინმა", ყაზანელებმა სტუმრად ზედიზედ მეხუთე გამარჯვება იზეიმეს მას შემდეგ, რაც „მოსკვა" 2:1 დაამარცხეს. „რუბინი" 9 თამაშიდან 24 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. 88-ე წუთზე გამარჯვების გოლი **ალექსანდრ რიაზანცევს დავით კვირკველიამ** გაატანინა, რომლის ჩაწოდებულსაც შორეულ ძელთან მიუსწრო „რუბინის" ფორვარდმა. თუმცა ჩვენებურს გაშვებულ გოლშიც მიუძღვის ბრალი. კვირკველიას რუსული პფლ-ის საიტმა 5,5 ქულა დაუწერა. საქართველოს ნაკრების მცველმა რუსული სეზონი შესანიშნავად დაიწყო – 9 მატჩში 2 გოლი და 2 საგოლე პასი მიითვალა. როგორც ჩანს, **ლაშა სალუქვაძე** კარგავს „რუბინის" ძირითადში ადგილს, მას არც მეცხრე ტურში უთამაშია.

გუშინ ნალჩიკის „სპარტაკმა" მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ვლადივოსტოკში და ქულათა მარაგი ათამდე შეავსო – 2:0. კავკასიელებს შორეულ აღმოსავლეთში, წინასწარი პროგნოზების მიუხედავად, მაინც გაჰყვა **ალექსანდრე ამისულაშვილი**, რომელსაც შარშან იქ უსიამოვნო ინციდენტი შეემთხვა. „ლუჩის" რიგებში შეუცვლელად ითამაშა **ლევან გვაზავამ**, სტუმრებში – ალექსანდრე ამისულაშვილმა და **გოგიტა გოგუამ**, ხოლო **დავით სირაძე** არ გამოჩენილა. გოგუა მატჩის მიწურულს გააფრთხილეს, ეს მისი მეექვსე ყვითელი ბარათია (უფრო ზუსტად, 7 მატჩსა და 20 წუთში) სეზონში.

რუსეთის პირველი დივიზიონის მეცხრე ტურში **ომარ თეთრაძის** „ანჟიმ" მოსკოვის „სპორტაკადემკლუბი" 4:2 დაამარცხა. სასტარტოში ითამაშეს **გიორგი ნავალოვსკიმ**, **ვალერი აბრამიძემ** და **ზურაბ არზიანმა**, რომელიც 81-ე წუთზე **რევაზ ჯიქიამ** შეცვალა. 84-ე წუთზე **მიხეილ აშვეთიაც** გამოჩნდა. **პაატა ჯინჭარაძის** ბრესტის „დინამო" სტუმრად 0:3 დამარცხდა „ბალტიკასთან". ქართველმა ვეტერანმა შეუცვლელად ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ შოთა არველაძესთან

# ბოლოჯერ მინდა ქართველ ქომაგთა წინაშე ვითამაშო

**3 ივნისს, თბილისში, ფეხბურთიდან შოთა არველაძის გამოსათხოვარი მატჩი შედგება. ერთმანეთს საქართველოსა და შოთა არველაძის მეგობართა ნაკრები გუნდები შეხვდებიან. გაცილება, მატჩი და სხვა საინტერესო თემები - ამას მოიცავს რუსულ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინტერვიუ შოთა არველაძესთან.**

**- შოთა არველაძე კარიერას ამთავრებს. ძნელია ამის დაჯერება...**

- რას ვიზამთ, ეს რეალობაა. "ლევანტეს" შარშან, ივლისში, მოსამზადებელ შეკრებაზე შევუერთდი. ორ კვირაში, მუხლზე ოპერაციის გაკეთება მომიწია. ექიმები მარწმუნებდნენ, რომ მალე ვიქნებოდი მწყობრში, თუმცა მუხლის ტკივილმა კიდევ დიდხანს შემაწუხა. 5 სექტემბერს კი მეორედ მომიწია ოპერაციის ჩატარება. სანამ ოპერაციას გამიკეთებდნენ, პროფესორს ვკითხე, კიდევ შემეძლება ფეხბურთის თამაში? მან კი მიპასუხა: კი, მაგრამ მალე უნდა დაემშვიდობო ფეხბურთსო.

**- ამ შემთხვევამდე, მძიმე ტრავმამ როდის შეგაწუხათ?**

- 4 წლის წინათ, "რეინჯერსში" თამაშისას. გლაზგოში გავიკეთე ოპერაცია და ისევ მუხლზე. თუმცა მაშინ სხვა ტრავმა იყო, ასეთი რთული არ ყოფილა... სამწუხაროდ, ახალგაზრდაც აღარ ვარ.

**- ფავორიტთა შორის მყოფი "ალკმაარიდან" აუტსაიდერ "ლევანტეში" გადახვედით. ამ ტრანსფერმა ბევრი გააკვირვა...**

- 35 წლის ასაკში თბილი და მზიანი ესპანეთიდან მივიღე მიწვევა. როგორ შემეძლო უარი მეთქვა? ესპანეთამდე, ბოლო 10 წელიწადი იმ ქვეყნებში ვთამაშობდი, სადაც მზეს წელიწადში ორჯერ თუ ხედავ. ჰოლანდიასა და შოტლანდიაში, სულ ნისლი, ღრუბელი და წვიმაა. მინდოდა თავადვე მენახა და ძალები მომესინჯა იმ ჩემპიონატში, რომელიც ყველას ასე ძალიან მოსწონს. ბოლო-ბოლო, ესპანეთში, კვირაში ერთ თამაშს ატარებ და არა სხვა ჩემპიონატების დარად სამ შეხვედრას. შესაბამისად ხშირად არ გიწევს თვითმფრინავით მგზავრობა. "ალკმაარში" ასპარეზობისას, მხოლოდ უეფას თასზე, 14 მატჩი ჩავატარე. ვწუხვარ, რომ ვან გაალის გუნდში ისე არ აგვეწყო საქმე, როგორც ჩაფიქრებული გვქონდა.

**- "ლევანტე" რატომაა ბოლო ადგილზე?**

- თუ ასე გაგრძელდა კლუბი დაიშლება. უკვე 8 თვეა, რაც ფეხბურთელებს ხელფასს ვერ გვიხდიან. სხვების არ ვიცი, მაგრამ მე ადრე გამომუშავებული ფულით ვცხოვრობ.

**- ... და არის შანსი, რომ კუთვნილი ფული ვერ აიღოთ?**

- ამ საქმეზე ადვოკატები მუშაობენ. მართალი გითხრათ, ნამდვილად არ ველოდი, რომ ესპანეთში აქამდე მივიდოდა საქმე. ეს ხომ მსოფლიოში საუკეთესო ლიგაა.

**- მიმდინარე სეზონში, მხოლოდ 3 მატჩში ითამაშეთ. საშუალოდ, თითოეულ შეხვედრაში 10 წუთი დაჰყავით მოედანზე. წარმომიდგენია რას განიცდით. შოთა არველაძე და ასეთი სტატისტიკა?**

- დიახ, მხოლოდ სამი მატჩი სეზონში, ეს ძალზე საწყენია. ტრავმების გამო დიდი ტანჯვა გადავიტანე. მეორე ოპერაციის შემდეგ კი ჩავიფიქრე - აქედან ისე არ წავალ 1-2 მატჩში რომ არ ვითამაშო-თქო. ყველასი მადლიერი ვარ, რომ ჩანაფიქრი განვახორციელე. მადლობა ექიმებს, თანაგუნდელებს, ოჯახსა და ახლობლებს.

**- ესპანეთმა რამდენად მოგხიბლათ?**

- ვფიქრობ, ესპანეთი საცხოვრებლად საუკეთესო ქვეყანაა. ჩემი სახლი ზღვის სიახლოვესაა. იქ, სადაც ადრე მარატ საფინი ცხოვრობდა. თუმცა ესპანეთის ჩემპიონატი მთლად ისეთიც არაა, როგორიც შორიდან ჩანს. ჩემპიონატის დონე, ცოტათი უფრო დაბალია, ვიდრე ველოდი. აი, ახლა რომ 25 წლის ვიყო... საერთოდ, კი გული მწყდება, რომ არაერთმა ნიჭიერმა ქართველმა ფეხბურთელმა ისე დაამთავრა კარიერა, რომ მაღალი დონის ჩემპიონატებში არ უთამაშიათ. არადა, მათ შეეძლოთ ესპანეთში საუკეთესოები ყოფილიყვნენ.

**- ფეხბურთიდან თქვენი გამოსათხოვარი მატჩი ივნისში გაიმართება...**

- ეროვნულ ნაკრებში ბოლოს შოტლანდიასთან, გლაზგოში ვითამაშე. სწორედ მაშინ ვთქვი, რომ ნაკრებში აღარ ვითამაშებდი. ამასთან, ყოველთვის მინდოდა, რომ ნაკრებში ბოლო თამაში თბილისში ჩამეტარებინა. ვიკითხე კიდეც, უახლოეს მომავალში, თბილისში, ამხანაგური მატჩი ხომ არ გვაქვს, გულშემატკივარს რომ გამოვეთხოვო-თქო. სამწუხაროდ, წლეულს საქართველოს ნაკრებს მხოლოდ გასვლითი ამხანაგური მატჩები ჰქონდა. ჩემთვის კი მნიშვნელოვანი იყო, უშუალოდ ქართველი ქომაგების წინაშე მეთამაშა. ფედერაცია საშინაო ამხანაგური მატჩის ორგანიზებაზეც მუშაობდა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატია ივნისში და ამან გარკვეული პრობლემები წარმოშვა. მერე კი გადავწყვიტე კარიერა არა მხოლოდ ნაკრებში, არამედ მთლიანად დამესრულებინა. საამისოდ ვარიანტები განვიხილეთ და ბოლოს გადავწყვიტეთ, ჩემი მეგობრებისა და საქართველოს ნაკრებებს შორის გაგვემართა მატჩი.

**- გამოსათხოვარი თამაშისთვის მოწვეულ სტუმართა შორის მხოლოდ ის ფეხბურთელები არ არიან, რომლებიც ერთ დროს თქვენი თანაგუნდელები იყვნენ. რამდენად მჭიდრო ურთიერთობა გაქვთ ანდრეი შევჩენკოსთან, ლუიშ ფიგუსთან და პაოლო მალდინისთან?**

- მჭიდრო ურთიერთობა ნამდვილად არ მაკავშირებს. შევჩენკოს მოედანზე, როგორც მეტოქეს, ისე შევხვდი. თამაშის შემდეგ გამოველაპარაკე, მაისურები გავცვალეთ. ფიგუმ კი ორჯერ მიმიწვია ვარსკვლავთა მატჩზე. როცა კახა კალაძესთან სტუმრად ვიყავი, მალდინისთან ერთად ორჯერ ვისადილე მილანში.

**- რა სცენარით ჩაივლის ეს მატჩი?**

- ჩანაფიქრი ასეთია. პირველ ტაიმში ნაკრების ყოფილი ფეხბურთელები, მეორე ნახევარში კი ეროვნული გუნდის ახლანდელი წევრები. ეს კრებული ჩემი მეგობრების ნაკრებს გაეჯიბრება. თითო ტაიმს ორივე გუნდში ვითამაშებ, უცხოელი ვარსკვლავების მხარდამხარ და მათ წინაღმდეგაც.

**- ვარსკვლავებიდან პირველად ვის გაუგზავნეთ მიწვევა? კარიერის განმავლობაში ხომ არა მხოლოდ ნაცნობები, არამედ მეგობრებიც შეიძინეთ...**

- უპირველეს ყოვლისა, რონალდ და ფრანკ დე ბურები მოვიპატიჟე. ჩვენ "აიაქსშიც" და "რეინჯერსშიც" თანაგუნდელები ვიყავით. მერე კი მიქაელ ლაუდრუპი, რომელსაც უზომოდ ვაფასებ, როგორც ფეხბრთელს და როგორც ადამიანს. მას დავურეკე და ვუთხარი: შენ თუ არ ჩამოხვალ, ამ თამაშს ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა აღარ ექნება-თქო... ბრაიან ლაუდრუპიც იქნება. გუშინ, კლაუდიო კანიჯამ დამირეკა და მითხრა, რომ ჩამოდის.

**- სტუმართა შორის რუსეთიდან არავინ იქნება?**

- ანდრეი კანჩელსკისს შევეხმიანე. ის ახლა კლუბში მუშაობს და, სამწუხაროდ, ივნისში დაკავებულია. შემპირდა, რომ აუცილებლად დამირეკავს და მაცნობებს, ექნება თუ არა დრო თბილისში ჩამოსვლისთვის. ახრიკ ცვეიბა ჩამოვა. ვასილი უტკინი შემპირდა, ჩამოვალო. ასე რომ, სტუმრები რუსეთიდანაც ჩამოვლენ.

მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

გერმანია. ბუნდესლიგა. XXXII ტური

# ფეხბედნიერი ფრედი

## ვერდერი და შალკე ლიგაში



კარლსრუე და კოტბუსი, სორენსენი და ფრანცი. ესეც ფეხბურთია

"შალკემ" ერთი წლის წინანდელი კრახი აღარ გაიმეორა. გელზენკირხენელებმა ბოხუმში 3:0 გაიმარჯვეს და გუშინდელი შედეგების გათვალისწინებით, ჩემპიონთა ლიგის საგზურიც გაინაღდეს. რურის მცირე დერბის, **ლევან კობიაშვილის** გუნდის მომავალი მწვრთნელი **ფრედ რუტენიც** ესწრებოდა, რომელმაც ნამატჩევს თქვა, ძალიან კმაყოფილი დავრჩი და აშკარაა, რომ "შალკეს" დიდი პოტენციალი აქვსო. "ხუმარებს" რომ დიდი პოტენციალი აქვთ, ეს აქამდეც ყველამ იცოდა და ამ განცხადებით 45 წლის ჰოლანდიელ სპეციალისტს ამერიკა არ აღმოუჩენია. სხვათა შორის, რუტენი "შალკეს" მატჩს პირველად დაესწრო (ტრიბუნაზე პრეზიდენტ **იოზეფ შნუზენბერგთან** ერთად იჯდა. იქვე იყო გერმანიის ნაკრების თავკაცი **იოახიმ ლიოვიც**, რომელიც საევროპო კანდიდატებს, **ჯერმეინ ჯონსს, კევინ კურანისა** და **ჯერალდ ასამოას** აკვირდებოდა). მოკლედ, რუტენს ბედნიერი ფეხი ჰქონია.

მაშ ასე: მას მერე, რაც "შალკედან" **მირკო სლომკა** გააგდეს, გუნდმა, **მიკე ბიუსკენსისა** და **იური მიულდერის** ხელში, რომლებიც მომავალი სეზონიდან რუტენის ასისტენტები იქნებიან, ოთხმატჩიანი წაუგებელი სერია გამოაცხო (3 მოგება, 1 ფრე). ანგარიში **ჯერალდ ასამოამ** გახსნა (თავური დარტყმით, 34-ე წუთზე), რომელიც ზემოხსენებულმა მწვრთნელებმა, ყველასთვის მოულოდნელად, **ალბერტ შტრაიტის** ნაცვლად ათამაშეს. ასამოას **ივან რაკიტიჩმა** ჩაუწოდა და აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ხორვატი ფლეიმეიქერი თამაშგარე მდგომარეობაში იყო. 67-ე წუთზე ანგარიში თავად რაკიტიჩმა გაზარდა - **ჰალილ ალთინთოფის** გენიალური პასის შემდეგ, მას ისღა დარჩენოდა, რომ ბურთი ცარიელ კარში შეეგორებინა. მესამე გოლი კი **მარსელო ბორდონის** ანგარიშზეა, ხოლო ასისტენტი ისევ რაკიტიჩი გახლდათ. 2 პასი და ერთი გოლი - მოკლედ, ხორვატმა იფრინა. ბოლო გოლი ბოხუმელთა მეკარე **ლაშტუვკას** სინდისზეა. ამრიგად, "შალკე" ჩემპიონთა ლიგაშია, ოღონდ, საკვალიფიკაციოში თუ პირდაპირ ჯგუფში, ჯერ კიდევ გასარკვევია. მაგრამ, საკვალიფიკაციოც რომ იყოს, არ გვგონია, ჯგუფში მოხვედრა გაუჭირდეთ. ამიტომაც იყო, ალბათ, ფეხბედნიერ ფრედს, მთელი მატჩის განმავლობაში, სახეზე ღიმილი რომ დასთამაშებდა...

მეორე წრეში გამოსწორებულ და სეზონის ბოლოს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლ "შტუტგარტს", დორტმუნდის "ბორუსიამ" იმედის კოშკები დაუნგრია. ვესტფალიელებმა ექსჩემპიონი, უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში, 3:2 დაამარცხეს, რითიც შვაბური კლუბი ჩემპიონთა ლიგის საგზურის გარეშე დატოვეს, და მეტიც: "შტუტგარტი", შეიძლება, ვერც უეფას ზონაში მოხვდეს. ისე, "დორტმუნდი" დიდ გამოცანად რჩება: წელს BVB ისეთ გუნდებთან დამარცხდა, ქომაგებს თმები ყალყზე დაუყენა, სამაგიეროდ, ისეთი თამაშები მოიგო, სადაც მის გამარჯვებას ძალიან ცოტა თუ ელოდა. მოკლედ, BVB-მ გაიმარჯვა, მაგრამ გუნდის მთავარი მწვრთნელი **თომას დოლი** მაინც ჩემოდნებზე ზის. მატჩის წინ ჰოლანდიური პრესა წერდა, "ბორუსია" **ლეო ბენჰაკერს** ეპატიჟებაო (ამაზე გუშინ ჩვენც დავწერეთ), მაგრამ კლუბის სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა** ეს ინფორმაცია უარყო.

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს: პირველი ტაიმის ერთადერთი აღსანიშნავი მომენტი, 35-ე წუთზე, **ტინგას** შედეგიანი დარტყმა გახლდათ, რომლითაც მან ანგარიში გახსნა. 55-ე წუთზე, **ფერნანდო მეირას** ჩაწოდებას **მარიო გომესი** გამოეხმაურა და წონასწორობა აღადგინა, მაგრამ მერე **ალექსანდერ ფრაის** რიგი დადგა. მან დუბლი შეასრულა. შვეიცარიელმა ჯერ ჯარიმა გაიტანა (59-ე წუთი), მერე კი **ნელსონ ვალდესის** პასით იხეირა (79-ე წუთი). დუბლი შეასრულა გომესმაც (18 გოლი), მაგრამ იმისთვის, რომ გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს, მარტო გომესი საკმარისი არ არის.

"კოტბუსმა" უმოტივაციო "კარლსრუესთან" მხოლოდ ფრე გაახერხა, რაც იმას ნიშნავს, რომ "ენერგი" ჯერაც არ არის გადარჩენილი. არადა, **ბოიან პრასნიკარის** შეგირდები **ალექსანდრე იაშვილის** გუნდს უგებდნენ და ის, რომ KSC-მ ანგარიში გაათანაბრა, მსაჯის "დამსახურებაა". მიუნხენელმა არბიტრმა **პერლმა** ბადენელებს გამოგონილი ჯარიმა დაუნიშნა, რომელიც **ტამაშ ჰაინალმა** შეასრულა, მერე მის ჩაწოდებას **ბუკი** გამოეხმაურა და ანგარიში გაათანაბრა. გარდა ამისა, პერლმა კოტბუსელ **ციბიგს** ყვითელი ბარათიც უჩვენა (არადა, კონტაქტი არ ყოფილა!), რის გამოც ეს უკანასკნელი შაბათს "ჰამბურგთან" ვერ ითამაშებს (დისკვალიფიკაცია მეხუთე გაფრთხილების გამო). კოტბუსელები ჩივიან, მსაჯმა დაგვჩაგრაო. არც გაემტყუნებათ.

დროა, "ჰანზა" ბუნდესლიგას გამოეთხოვოს. მართალია, **ფრანკ პაგელსდორფის** შეგირდებს ჯერ კიდევ შერჩათ თეორიული შანსი იმისა, რომ ელიტაში დარჩნენ, მაგრამ ეს თითქმის წარმოუდგენელია. მეკლენბურგელები მეორე ბუნდესლიგიდან შარშან გადმოვიდნენ და აი, ისევ იქითკენ აქვთ გზა. ამჯერად, "ჰანზა" ჰანოვერში განადგურდა (0:3).

რაკი სამშაბათს "შალკემ" გაიმარჯვა, გუშინ "ვერდერი" ვალდებული იყო, ასევე 3 ქულა აეღო და ასეც მოიქცა. ბრემენელებს ჩრდილოური დერბი ჰქონდათ მოსისხლე მტერ "ჰამბურგთან". "მუსიკოსებმა" **უგო ალმეიდას** ერთადერთი გოლით მოიგეს. შეხვედრა იმდენად დაძაბული გახლდათ, რომ პირველ ტაიმში მსაჯმა თამაშზე კონტროლი დაიკარგა. ერთ-ერთ ეპიზოდში სტუმართა მეკარე **ტიმ ვიზე** "ჰამბურგის" ფორვარდ **ივიცა ოლიჩისკენ** კუნგ-ფუს ილეთით გაფრინდა და მადლობა უნდა უთხრას არბიტრს, რომ მხოლოდ ყვითელი ბარათი აკმარა.

შესვენების შემდეგ, "ვერდერის" კაპერმა იმავე ოლიჩს შესანიშნავი დარტყმა აულო, სამაგიეროდ, უძლური იყო ალმეიდას წინაშე, რომელმაც ბრემენელები 50-ე წუთზე დააწინაურა. 67-ე წუთზე, "ვერდერს" **ფრანკ ბაუმანი** გაუძევეს, რის შემდეგაც **თომას შააფმა** დაცვითი ტაქტიკა აირჩია და სწორადაც მოიქცა - "ვერდერმა" ანგარიშის შენარჩუნება მოახერხა, თუმცა ეს მეორე გაძევების (**იურიცა ვრანიეში**) ფასად დაუჯდა.

ცხრილის ქვედა ნაწილში "ნიურნბერგმა" "დუისბურგს" სასიცოცხლო მნიშვნელობის მატჩი მოუგო (2:0). ფრანკებმა ორივე გოლი პირველ ტაიმში (**პინოლა, ხარისტეასი**) გაიტანეს. ისევე, როგორც წინა ტურში, მეორე ნახევარში "ნიურნბერგი" დაცვით ტაქტიკაზე გადავიდა, მაგრამ იმ უქმეებისგან განსხვავებით, როცა "არმინიასთან" ოდენ 2:2-ს დასჯერდა, **თომას ფონ ჰეეზენის** გუნდმა ამჯერად ანგარიშის შენარჩუნება უპრობლემოდ მოახერხა. ამრიგად, ფრანკები სამშვიდობოს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებიან. ეს იმიტომ, რომ "არმინია" გუშინ ჩემპიონ "ბაიერნთან" 0:2 დამარცხდა (**რიბერი, პოდოლსკი**).

"ლევერკუზენმა" საკუთარ კედლებში "ჰერტასთან" წააგო (1:2). **მიხაელ სკიბეს** გუნდს ახლა ისღა დარჩენია, ხუთეულში (უეფას ზონა) მოსახვედრად იბრძოლოს. მაგრამ, ნახეთ, რა კონკურენტები ჰყავს: "ჰამბურგი", "შტუტგარტი", "ვოლფსბურგი" და "ჰანოვერიც". მოკლედ, "ფარმაცევტებს", რომლებიც ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაზე ოცნებობდნენ, სავარაუდოდ, "ინტერტოტოს" თასით მოუწევთ დაკმაყოფილება. შესაბამისად, "ბაიარენაზე" უკვე გაისმა შეძახილები - Skiebe Raus! ანუ, სკიბე გააგდეთო...

**გოტფრიდ ლენცი**

### მომდევნო ტური

10 მაისი. **ვოლფსბურგი-შტუტგარტი, დუისბურგი-ბაიერნი, ჰანზა-ლევერკუზენი, ჰერტა-ნიურნბერგი, კოტბუსი-ჰამბურგი, კარლსრუე-ბოხუმი, არმინია-ბორუსია (დ), ვერდერი-ჰანოვერი, შალკე-აინტრახტი.**

### კარლსრუე-კოტბუსი 1:1

**კარლსრუე:** მილერი-3.5, ა. გიორლიტცი-3.5, ეგიმანი-3.5, ფრანცი-4.5, აიხნერი-4, მუტცელი-4 (79. პორცელო), ბუკი-3.5, ფრაისი-3.5, ჰაინალი-2.5, იაშვილი -3, კაპლანი-3.5.

**კოტბუსი:** ტრემელი-3, ვ. და სილვა-4, მიტრესკი-4, კვიტანოვიჩი-4, ციბიგი-4.5, ს. ანგელოვი-2.5, ტ. როსტი-3, რივიჩი-3 (91. ვასილიევიჩი), სკელა-3.5, დ. სიორენსენი-3.5 (87. რადელიჩი), პაპადოპულოსი-4.5 (46. რანგელოვი-3).

**გოლები:** 0:1 რივიჩი (60), 1:1 ბუკი (65)

**გაფრთხილება:** 2-5; **დარტყმა:** 15(3)-15(3); **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 18-34; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 28 000

### ბოხუმი-შალკე 0:3

**ბოხუმი:** ლაშტუვკა-3.5, პფერტცელი-5, მალტრიტცი-4.5, იაია-4.5, ბიონიგი-4.5 (62. გროტე-3.5), ჟდებელი-4, აზაუაგი-3.5 (74. ო. შრიოდერი), დაბროვსკი-3.5 (82. მიჩიელი), ონო-4.5, ეპალე-4.5, სესტაკი-5.

**შალკე:** ნოიერი-3, რაფინია-3, ბორდონი-2, კრსტაიჩი-3.5, ვესტერმანი-3, ჯონსი-3, ჰალილ ალთინთოფი-3, ერნსტი-3, რაკიტიჩი-2, ასამოა-2.5 (86. სანჩესი), კურანი-4.5 (81. ლარსენი).

**გოლები:** 0:1 ასამოა (34), 0:2 რაკიტიჩი (67), 0:3 ბორდონი (85)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 7(1)-11(4); **კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 22-12; **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 31 328

### ბორუსია (დ)-შტუტგარტი 3:2

**ბორუსია (დ):** ჰიოთეკე-2.5, რუკავინა-4, ჰუმელსი-2.5, რ. კოვაჩი-4, დედე-3, კრუსკა-4, ბლაშჩიკოვსკი-3.5 (93. ამედიკი), ტინგა-2.5, ფედერიკო-4 (91. ბაკლი), ვალდესი-2 (84. გორდონი), ფრაი-2.

**შტუტგარტი:** რ. შეფერი-5, ბეკი-4.5, ტასკი (18. მეირა-4), დელპიერი-4, ბოკა-3.5, პარდო-3.5, ჰილბერტი-4 (63. ჰიტცლშპერგერი-3.5), ა. და სილვა-4 (80. მარიკა), ბაშთურქი-3.5, კაკაუ-3, გომესი-2.

**გოლები:** 1:0 ტინგა (35), 1:1 გომესი (55), 2:1 ფრაი (59), 3:1 ფრაი (79), 3:2 გომესი (83)

**გაფრთხილება:** 3-5; **დარტყმა:** 11(4)-15(6); **კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 23-13; **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 64 400

### ჰანოვერი-ჰანზა 3:0

**ჰანოვერი:** ენკე-3, ჩერუნდოლო-3, ისმაელი-3, ვინიციუსი-3.5, კ. შულცი-4, ლალა-3.5, ბალიტში-3 (41. როზენტალი-2), ჰუშტი-2, ბრუგინკი-3.5 (82. კრებსი), შტაინერი-3 (73. ლაუთი), ჰანკე-3.

**ჰანზა:** ჰანელი-2.5, ბიულოვი-5 (59. აგალი-4), სებასტიანი-4.5, ორესტესი-4, მ. შტაინი-5, რათგები-3.5, ბარტელსი-4.5, იელენი-4 (59. შაპურცადე-4), რანი-5, ცეტკოვიჩი-4, კერნი-5.

**გოლები:** 1:0 ბალიტში (19), 2:0 როზენტალი (47), 3:0 როზენტალი (87)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 20(11)-13(2); **კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 18-15; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 35 453

### ჰამბურგი-ვერდერი 0:1

**ჰამბურგი:** ფ. როსტი-4, დემელი-5.5 (64. სორინი-3.5), ბ. რაინჰარდტი-4, მატიისენი-3.5, ბოატენგი-4 (81. ტროხოვსკი), დე იონგი-4, კომპანი-3.5 (72. ატუბა), იაროლიმი-4, ვან დერ ვაარტი-4.5, ოლიჩი-3, გერერო-4.5.

**ვერდერი:** ვიზე-2.5, კ. ფრიტცი-3, მერტეზაკერი-3.5, ნალდო-3.5, პასანენი-5 (46. ოვომოიელა-3), ბაუმანი-4, დ. იენსენი-3, ბოროვსკი-4.5, დიეგო-2.5, როზენბერგი-2.5 (86. კლასნიჩი), უგო ალმეიდა-2 (60. ვრანიეში-5).

**გოლი:** 0:1 უგო ალმეიდა (50)

**გაძევება:** ბაუმანი (57. ვერდერი), ვრანიეში (90. ვერდერი)

**გაფრთხილება:** 2-5; **დარტყმა:** 16(3)-6(3); **კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 17-28; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 57 000

### ლევერკუზენი-ჰერტა 1:2

**ლევერკუზენი:** რ. ადლერი-3.5, კასტრო-4, ა. ფრიდრიხი-3.5, ზინკევიჩი-3, გრეშკო-4, შვეგლერი-5 (46. დუმი-5.5), როლფესი-4.5, კისლინგი-5.5, ბარნეტა-4, ბარბარესი-4 (76. რისსე), გეკასი-5 (46. ბულიკინი-5.5).

**ჰერტა:** დრობნი-3, ჩაჰედი-2.5, ფონ ბერგენი-3.5, შიმუნიჩი-4, სკაჩელი-3.5, მინეირო-4.5, კაჩარი-4, ლუსტენბერგერი-4 (79. დარდაი), რაფაელი-3, პიეჩეკი-3 (89. ბილერი), პანტელიჩი-2.5 (82. დომოვჩისკი).

**გოლები:** 0:1 პანტელიჩი (26), 0:2 ჩაჰედი (68-პენ), 1:2 ზინკევიჩი (90)

**გაძევება:** კისლინგი (62. ლევერკუზენი)

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 14(4)-6(4); **კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 12-6; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 22 500

### ბაიერნი-არმინია 2:0

**ბაიერნი:** კანი-3, ლელი-3, ლუსიო-3, ვან ბუიტენი-3.5, ლამი-3, ვან ბომელი-4 (72. ოტლი), ზე რობერტო-3, სოსა-3.5 (72. კროოსი), რიბერი-3 (82. შლაუდრაფი), პოდოლსკი-2, ტონი-3.

**არმინია:** ფერნანდესი-, კუჩერა-, მიატოვიჩი-, ბოლმანი-, შულერი-, ტეშე-, კაუფი-, კირხი- (77. ნკოსი), კამპერი-, აიგლერი- (67. ზუმა-), ვიხნიარეკი- (67. ჰალფარი-).

**გოლები:** 1:0 რიბერი (25), 2:0 პოდოლსკი (47)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 16(6)-11(1); **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 8-9; **ბურთის ფლობა:** 71%-29%.

**მაყურებელი:** 69 000

### აინტრახტი-ვოლფსბურგი 2:3

**აინტრახტი:** პრიოლი-4, ოხსი-4.5, გალინდო-3.5, კირიაკოსი-4, შპიხერი-4.5 (60. კაიო-3), ინამოტო-4.5, ფინკი-3.5, კიოლერი-5.5, ვაისენბერგერი-4 (86. ფენინი), ამანატიდისი-3, მანციოსი-3.5.

**ვოლფსბურგი:** ბენალიო-3, რიტერი-2.5, რ. კომტა-3, შიმუნეკი-4.5 (46. მადლუნგი-2.5), მ. შეფერი-3, ჰასებე-5 (65. კრჟინოვეკი-4), ჟოსუე-4.5, გენტნერი-3.5, მარსელინიო-4 (65. დეჟაგა-3.5), ჯეკო-2.5, გრაფიტე-2.5.

**გოლები:** 0:1 გრაფიტე (4), 1:1 ამანატიდისი (22-პენ), 1:2 მ. შეფერი (28), 2:2 ვაისენბერგერი (62), 2:3 ჯეკო (79)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 12(4)-12(4); **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 6-19; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 45 300

### ნიურნბერგი-დუისბურგი 2:0

**ნიურნბერგი:** კლევერი-2.5, იაკობსენი-2, ვოლფი-3, აბარდონადო-3.5, პინოლა-4.5, გალაშეკი-3.5, ენგელჰარდტი-3, ხარისტეასი-3, მინტალი-2.5 (87. ვიტეკი), მიშიმოვიჩი-5 (59. მნარი-4), კოლერი-3.5.

**დუისბურგი:** შტარკე-4.5, ლამეი-4, ავალოსი-5, შლიკე-4, ვილი-4.5 (75. დაუნი), ტარარაჩე-4, მაიკონი-3.5, ტიფერტი-5 (46. ვეინაუ-4), გეორგიევი-4.5, იშიაკუ-5.5, ნიკულესკუ-5.5 (46. ლავრიჩი-5).

**გოლები:** 1:0 ხარისტეასი (9), 2:0 პინოლა (32)

**გაფრთხილება:** 0-4; **დარტყმა:** 17(7)-8(3); **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 17-21; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 44 300

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 32 | 20 | 10 | 2 | 61-18 | 70 |
| 2. ვერდერი | 32 | 18 | 6 | 8 | 68-44 | 60 |
| 3. შალკე | 32 | 16 | 10 | 6 | 52-32 | 58 |
| 4. ჰამბურგი | 32 | 13 | 12 | 7 | 40-24 | 51 |
| 5. შტუტგარტი | 32 | 16 | 3 | 13 | 55-51 | 51 |
| 6. ლევერკუზენი | 32 | 14 | 6 | 12 | 55-38 | 48 |
| 7. ვოლფსბურგი | 32 | 13 | 9 | 10 | 50-44 | 48 |
| 8. ჰანოვერი | 32 | 12 | 10 | 10 | 49-50 | 46 |
| 9. კარლსრუე | 32 | 11 | 10 | 11 | 37-43 | 43 |
| 10. აინტრახტი | 32 | 11 | 10 | 11 | 39-47 | 43 |
| 11. ჰერტა | 32 | 11 | 8 | 13 | 37-40 | 41 |
| 12. ბორუსია (დ) | 32 | 10 | 9 | 13 | 46-56 | 39 |
| 13. ბოხუმი | 32 | 9 | 11 | 12 | 44-51 | 38 |
| 14. კოტბუსი | 32 | 8 | 9 | 15 | 33-52 | 33 |
| 15. არმინია | 32 | 8 | 8 | 16 | 31-56 | 32 |
| 16. ნიურნბერგი | 32 | 7 | 10 | 15 | 35-48 | 31 |
| 17. დუისბურგი | 32 | 8 | 5 | 19 | 32-48 | 29 |
| 18. ჰანზა | 32 | 7 | 6 | 19 | 27-49 | 27 |

**ბომბარდირები:** 21 - ტონი (ბაიერნი); 18 - გომესი (შტუტგარტი); 15 - კურანი (შალკე); 13 - პანტელიჩი (ჰერტა), დიეგო (ვერდერი), პეტრიჩი (ბორუსია დ); 12 - სესტაკი (ბოხუმი), როზენბერგი (ვერდერი), ოლიჩი (ჰამბურგი); 11 - ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი), გეკასი (ლევერკუზენი).

### II ბუნდესლიგა

XXXII ტური

**აუე-კარლ ცაისი 5:0**

**გოლები:** 1:0 სიკორა (21), 2:0 გაისლერი (37), 3:0 ჰელერი (66), 4:0 კაუფმანი (68), 5:0 კაუფმანი (88)

**კაიზერსლაუტერნი-ზტ. პაული 2:0**

**გოლები:** 1:0 მიულერი (21), 2:0 ბოლი (52)

**პადერბორნი-მიუნხენი 3:1**

**გოლები:** 1:0 გონტერი (37), 2:0 კოენი (48), 2:1 ბიროფკა (62), 3:1 ტორანდტი (90-საკ. კარში)

**აუგსბურგი-კიოლნი 1:3**

**გოლები:** 0:1 ჰელმესი (8), 0:2 ნოვაკოვიჩი (45), 0:3 ჰელმესი (54), 1:3 და კოსტა (82)

**ფრაიბურგი-ოფენბახი 0:1**

**გოლი:** 0:1 მოხტარი (83)

**ჰოფენჰაიმი-კობლენცი 3:1**

**გოლები:** 1:0 ვაისი (43), 2:0 ბა (53), 2:1 მავრიჩი (64), 3:1 ედუ (85)

**მაინცი-ალემანია 0:1**

**გოლი:** 0:1 ბრინკმანი (75)

**ბორუსია (მ)-ვეენი 3:0**

**გოლები:** 1:0 ტუმა (12), 2:0 ფრინდი (67), 3:0 ტუმა (80)

**ოსნაბრიუკი-ფიურტი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (მ) | 32 | 17 | 12 | 3 | 66-33 | 63 |
| 2. კიოლნი | 32 | 16 | 9 | 7 | 60-41 | 57 |
| 3. ჰოფენჰაიმი | 32 | 16 | 8 | 8 | 54-39 | 56 |
| 4. მაინცი | 32 | 15 | 10 | 7 | 57-33 | 55 |
| 5. ფრაიბურგი | 32 | 14 | 10 | 8 | 46-40 | 52 |
| 6. ფიურტი | 32 | 13 | 10 | 9 | 50-40 | 49 |
| 7. ალემანია | 32 | 13 | 9 | 10 | 46-41 | 48 |
| 8. ზტ. პაული | 32 | 11 | 9 | 12 | 46-46 | 42 |
| 9. ვეენი | 32 | 10 | 10 | 12 | 44-52 | 40 |
| 10. მიუნხენ 1860 | 32 | 9 | 12 | 11 | 40-43 | 39 |
| 11. აუგსბურგი | 32 | 10 | 7 | 15 | 36-47 | 37 |
| 12. ოფენბახი | 32 | 9 | 10 | 13 | 37-56 | 37 |
| 13. ოსნაბრიუკი | 32 | 9 | 9 | 14 | 39-53 | 36 |
| 14. კობლენცი | 32 | 11 | 10 | 11 | 41-44 | 35 |
| 15. კაიზერსლაუტ. | 32 | 8 | 11 | 13 | 32-35 | 35 |
| 16. აუე | 32 | 7 | 9 | 16 | 46-54 | 30 |
| 17. პადერბორნი | 32 | 6 | 12 | 14 | 30-50 | 30 |
| 18. კარლ ცაისი | 32 | 6 | 9 | 17 | 42-65 | 27 |

*შენიშვნა: კობლენცს დაკლებული აქვს 8 ქულა*

**ბომბარდირები:** 20 - ნოვაკოვიჩი (კიოლნი); 17 - ჰელმესი (კიოლნი); 16 - ფრინდი (ბორუსია მ); 15 - ბორხა (მაინცი), ნოივილი (ბორუსია მ), რაიხენბერგერი (ოსნაბრიუკი); 12 - რაიზინგერი (ფიურტი); 11 - ტიურკერი (ოფენბახი).

### რეგიონალლიგა (ჩრდ)

ბრაუნშვაიგი-ლიუბეკი 3:3; ვოლფსბურგი (მოყ)-ობერჰაუზენი 0:4; ბაბელსბერგი-მაგდებურგი 0:0; ბორუსია (დ, მოყვ)-ალენი 0:2; ემდენი-ფორტუნა 1:2; ერფურტი-ფერლი 3:0; ესენი-ჰამბურგი (მოყვ) 2:1; ვუპერტალი-კოტბუსი (მოყვ) 4:3; უნიონი-დრეზდენი დღეს.

### რეგიონალლიგა (სამ)

ელვერსბერგი-როიტლინგენი 1:0; რეგენსბურგი-ბურგჰაუზენი 1:2; ჰფულენდორფი-ოგერსჰაიმი 3:2; შტ. კიკერსი-მიუნხენი (მოყვ) 1:2; უნტერჰახინგი-ფრანკფურტი 1:4; ბაიერნი (მოყვ)-კარლსრუე (მოყვ) 3:1; კასელი-შტუტგარტი (მოყვ) 1:1; ინგოლშტადტი-აალენი 2:1; ზიგენი-ზანდჰაუზენი 1:2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXXV ტური

**ბეტისი-ვალიადოლიდი 1:1**

**ბეტისი:** რიკარდო, დამია, მელი, ხუანიტო, ბაბიჩი (62. ფერნანდო ვეგა), ოდონკორი (76. ხოსე მარი), არსუ, რივერა, ხუანდე, მარკ გონსალესი, რაფაელ სობისი (48. პავონე).

**ვალიადოლიდი:** ასენხო, სიფუენტესი, ბარახა, გარსია კალვო, მარკოსი, აგირე (78. სისი), ბორხა, ალვარო რუბიო, ოსკარ სანჩესი (82. ალექსისი), ოგბეჩე (46. ვიქტორი), ლორენტე.

**გოლები:** 1:0 მარკ გონსალესი (52-პენ), 1:1 ვიქტორი (63)

**გაძევება:** სიფუენტესი (80. ვალიადოლიდი)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 15(5)-16(2); **კუთხური:** 5-6; **თამაშგარე:** 3-4; **ჯარიმა:** 18-15; **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 42 000

**ხეტაფე-ალმერია 4:2**

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, კორტესი, ბელენგერი, კატა დიასი, მატიას ლიხტი, გრანერო, კასკერო, დე ლა რედი, გავილანი (46. დელ მორალი), ალბინი (71. კონტრა), ბრაულიო (83. სელესტინი).

**ალმერია:** კობენიო, ლოპეს რეკარტე, პულიდო, გარსია, სისმა, ორტისი, სორიანო (78. ხუანიტო), ირინეი, კრუსატი, უჩე (62. კორონა), პაუნოვიჩი (73. ნეგრედო).

**გოლები:** 0:1 კრუსატი (3), 0:2 პაუნოვიჩი (11), 1:2 ალბინი (33), 2:2 დელ მორალი (64), 3:2 დელ მორალი (68), 4:2 გრანერო (78-პენ)

**გაფრთხილება:** 3-5; **დარტყმა:** 16(8)-6(4); **კუთხური:** 11-0; **თამაშგარე:** 1-1; **ჯარიმა:** 13-20; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 20 000

**რეკრეატივო-ვილიარეალი 0:2**

**რეკრეატივო:** სორენტინო, ბუსონი, ბეტო, კასერესი, პოლი, კამუნასი, ხესუს ვასკესი, ბარბერი (17. ხერარდი), აიტორი (65. ხავი გერერო), სინამა პონგოლე, მარკო რუბენი.

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ხავი ვენტა, გოდინი, გონსალო როდრიგესი, კაპდევილა, კანი, მარკოს სენა, ეგურენი, მატი ფერნანდესი (66. სანტი კასორლა), ნიჰათი (83. როსი), ტომასონი (60. ფრანკო).

**გოლები:** 0:1 ნიჰათი (54), 0:2 ფრანკო (82)

**გაფრთხილება:** 5-5; **დარტყმა:** 15(6)-7(3); **კუთხური:** 3-1; **თამაშგარე:** 1-0; **ჯარიმა:** 29-16; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 14 000

**დეპორტივო-ლევანტე 1:0**

**დეპორტივო:** ავატე, მანუელ პაბლო, ლოპო (61. ვალერონი), კოლოჩინი, პაბლო ამო, ლუის ფილიპე, ვილჰელმსონი, სერხიო, დე გუსმანი, ლაფიტა (77. რიკი), ბოდიპო (82. ტაბორდა).

**ლევანტე:** რეინა, მანოლო (72. დესკარგა), არმანდო, რობუსტე, რუბიალესი, საული, სერანო, ხავი ფუეგო, ხუანმა, პედრო ლეონი, რიგა.

**გოლი:** 1:0 რიკი (88)

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 12(4)-8(0); **კუთხური:** 4-9; **თამაშგარე:** 3-0; **ჯარიმა:** 16-12; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 12 000

**ვალენსია-სარაგოსა 1:0**

**ვალენსია:** ჰილდებრანდი, მიგელი, ალბიოლი, ივან ელგერა, ალექსისი, ხოაკინი (77. არისმენდი), მარჩენა, სილვა, ბარახა, ვისენტე (43. მატა), სილვა, ვილია (89. ალბელდა).

**სარაგოსა:** სესარი, დიოგო, აიალა, ჩუს ერერო (60. მათუსალემი), ოსკარ გონსალესი (46. აიმარი), ლუქსენი (64. დ. მილიტო), გაბი, ხუანფრანი, სერხიო გარსია, რიკარდო ოლივეირა.

**გოლი:** 1:0 სილვა (20)

**გაძევება:** სილვა (85. ვალენსია)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 13(6)-11(4); **კუთხური:** 5-4; **თამაშგარე:** 5-1; **ჯარიმა:** 20-28; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 45 000

**მალიორკა-ოსასუნა 2:1**

**მალიორკა:** მოია, ექტორი, დავიდ ნავარო, ნუნიესი, ფერნანდო ნავარო, ვარელა (78. ტრეხო), ბასინასი, ვალერო, არანგო, ტუნი (67. ჩორი კასტრო), გუისა.

**ოსასუნა:** რიკარდო, ასპილიკუეტა, მიგელ ფლანიო, ხოსეტო, მონრეალი, ხუანფრანი, ხავი გარსია, ასტუდილიო (50. ველა), ექტორ ფონტი (70. უგო ვიანა), პლასილი, დადი (61. პორტილიო).

**გოლები:** 1:0 გუისა (31), 1:1 პორტილიო (72), 2:1 ტრეხო (90+2)

**გაძევება:** პორტილიო (80. ოსასუნა)

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 9(2)-9(5); **კუთხური:** 4-5; **თამაშგარე:** 0-6; **ჯარიმა:** 14-10; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 10 000

**მურსია-ბილბაო 1:2**

**მურსია:** კარინი, დე კოსი, კუადრადო (46. მარანონი), ოჩოა, პაკო პენია, აკინიო, მოვილია, აბელ გომესი, დე ლუკასი, ინიგო ველესი, ივან ალონსო.

**ბილბაო:** არმანდო, ირაოლა, გურპეგი, ამორებიეტა, დელ ორნო, ლოპესი, მარტინესი (46. იესტე), დავიდ ლორესი (70. გარმენდია), კუელარი (64. გაბილონდო), იესტე, ლორენტე.

**გოლები:** 1:0 ივან ალონსო (19), 1:1 ლორენტე (36), 1:2 გაბილონდო (83)

**მაყურებელი:** 15 000

**რასინგი-სევილია 0:3**

**რასინგი:** ტონიო, პინილიოსი, ორიოლი, სესარ ნავასი, აიოსე, ალვარესი (59. მუნიტისი), დუშერი, კოლსა (64. მორატონი), ოსკარ სერანო (74. ვალე), ჩიტე, სმოლიარეკი.

**სევილია:** პალოპი, ალვესი, მოსკერა, დავიდ პრიეტო, დრაგუტინოვიჩი, რენატო, მარესკა (76. პოულსენი), ფასიო, ადრიანო (70. ხესუს ნავასი), ლუიშ ფაბიანო, კანუტე (88. კონე).

**გოლები:** 0:1 ფასიო (30), 0:2 ფასიო (65), 0:3 რენატო (89)

**გაძევება:** აიოსე (80. რასინგი)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 13(6)-18(5); **კუთხური:** 4-8; **თამაშგარე:** 1-3; **ჯარიმა:** 16-16; **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 21 100

**რეალი-ბარსელონა 4:1**

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, პეპე, ჰაინცე, მარსელო, სნეიდერი, გაგო, დიარა, რობენი (61. იგუაინი), გუტი (71. რობინიო), რაული (75. ვან ნისტელროი).

**ბარსელონა:** ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, მარკესი (46. სილვინიო/59. ედმილსონი), აბიდალი, კრკიჩი, ტურე, ჩავი, მესი, გუდიონსენი (23. ჯოვანი), ანრი.

**გოლები:** 1:0 რაული (12), 2:0 რობენი (20), 3:0 იგუაინი (62), 4:0 ვან ნისტელროი (78-პენ), 4:1 ანრი (87)

**გაძევება:** ჩავი (90+1. ბარსელონა)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 20(12)-13(4); **კუთხური:** 5-3; **თამაშგარე:** 7-3; **ჯარიმა:** 14-18; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 95 000

ესპანიოლი-ატლეტიკო დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 36 | 26 | 3 | 7 | 77-32 | 81 |
| 2. ვილიარეალი | 36 | 22 | 5 | 9 | 59-40 | 71 |
| 3. ბარსელონა | 36 | 18 | 10 | 8 | 69-37 | 64 |
| 4. სევილია | 36 | 18 | 4 | 14 | 69-48 | 58 |
| 5. ატლეტიკო | 35 | 17 | 7 | 11 | 62-44 | 58 |
| 6. რასინგი | 36 | 16 | 8 | 12 | 41-41 | 56 |
| 7. მალიორკა | 36 | 13 | 14 | 9 | 63-50 | 53 |
| 8. დეპორტივო | 36 | 15 | 7 | 14 | 46-44 | 52 |
| 9. ბილბაო | 36 | 13 | 10 | 13 | 39-39 | 49 |
| 10. ალმერია | 36 | 13 | 10 | 13 | 39-42 | 49 |
| 11. ესპანიოლი | 35 | 13 | 9 | 13 | 42-46 | 48 |
| 12. ბეტისი | 36 | 12 | 10 | 14 | 44-48 | 46 |
| 13. ხეტაფე | 36 | 12 | 9 | 15 | 41-47 | 45 |
| 14. ვალენსია | 36 | 13 | 6 | 17 | 40-60 | 45 |
| 15. ვალიადოლიდი | 36 | 11 | 10 | 15 | 41-56 | 43 |
| 16. სარაგოსა | 36 | 10 | 11 | 15 | 46-56 | 41 |
| 17. ოსასუნა | 36 | 11 | 7 | 18 | 35-42 | 40 |
| 18. რეკრეატივო | 36 | 10 | 10 | 16 | 37-59 | 40 |
| 19. მურსია | 36 | 7 | 9 | 20 | 32-58 | 30 |
| 20. ლევანტე | 36 | 7 | 5 | 24 | 30-65 | 26 |

**ბომბარდირები:** 25 - გუისა (მალიორკა); 23 - ლუიშ ფაბიანო (სევილია); 18 - რაული (რეალი), ნიჰათი (ვილიარეალი); 17 - აგუერო (ატლეტიკო); 15 - ლორენტე (ვალიადოლიდი), დ. მილიტო (სარაგოსა); 14 - ფორლანი (ატლეტიკო), ეტო'ო (ბარსელონა), კანუტე (სევილია), რიკარდო ოლივეირა (სარაგოსა); 13 - ნეგრედო (ალმერია), ვილია (ვალენსია), ლუის გარსია (ესპანიოლი).



ბარსელონა. მოსალოდნელი ტრანსფერები

# ტოტენჰემი ეტოოს 8.5 მილიონ ფუნტს სთავაზობს

ესპანეთის ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურიღა დარჩა. მალე საკლუბო სეზონი მთელ ევროპაშიც დამთავრდება და ვარსკვლავები კონტინენტის პირველობისთვის დაიწყებენ მზადებას. როგორც ყოველთვის, დიდი აღმოჩენები 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზეც შედგება. ესა თუ ის ფეხბურთელი საუკეთესო კუთხით წარმოაჩენს საკუთარ თავს და სხვადასხვა კლუბის ინტერესს დაიმსახურებს. თუმცა მოქმედ ვარსკვლავებს საკუთარი შესაძლებლობების დასამტკიცებლად არც ევროპის ჩემპიონატი სჭირდებათ და არც მუნდიალი. მოკლედ, ასეთ ფეხბურთელებს დამფასებლები არასოდეს აკლიათ. მათ შორისაა, **სამუელ ეტოოც**. კამერუნელმა ფორვარდმა რამდენიმე კვირის წინათ განაცხადა, "ბარსელონა" მომავალ სეზონშიც თუ ვერ მოიპოვებს ტიტულებს, ქუდს დავიხურავ და სხვა გუნდში გავაგრძელებ კარიერასო. ეტოოს ამ განცხადებამ ბევრ კლუბს აღუძრა მადა. თუ რომელიმე გაზეთი დაწერს, რომ სამუელს თანამშრომლობას სთავაზობენო, ალბათ, არავის გაუკვირდება. მიუხედავად ამისა, სპორტული პრესა ვალდებულია, მკითხველი მუდმივად საქმის კურსში ამყოფოს. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ ეტოოსთან თანამშრომლობის სურვილი "ტოტენჰემსაც" გაუჩნდა. როგორც ჩანს, ლონდონელები იმან გაათამამა, რომ კამერუნელი ფორვარდი პრემიერლიგაში თამაშის სურვილს დიდი ხანია აღარ მალავს...

"დიარიო მარკას" კორესპონდენტმა **ხოსე ფელიქს დიასმა** ეს ინფორმაცია პირველმა მოიპოვა. რა გასაკვირია, მადრიდელ ჟურნალისტს "ტოტენჰემის" მთავარ მწვრთნელთან ოდითგანვე არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვს. დიასმა ინგლისური კლუბის მთავარი მწვრთნელისგან პირადად შეიტყო, რომ "ტოტენჰემის" ხელმძღვანელობა ეტოოს გადასაბირებლად სერიოზული ბრძოლის დაწყებას აპირებს. ლონდონელებს თურმე საერთოდ არ აშინებთ, რომ ეტოო "ბარსელონის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია. მათ ოპტიმიზმს დიდი ფული განაპირობებს. სენიორ **ხუანდე რამოსის** მტკიცებით, ინგლისელებმა ტრანსფერის გასაჩარხად დიდი თანხა გამოყვეს. ისინი უშუალოდ ეტოოს მადის დაკმაყოფილებაზეც ფიქრობდნენ და გადაწყვიტეს, სამუელს "ტოტენჰემში" გატარებული ერთი სეზონის სანაცვლოდ 8.5 მილიონი ფუნტი გადაუხადონ. მაგალითისთვის გეტყვით, რომ მსოფლიოს ყველაზე მოდური მოთამაშე **კრისტიანო რონალდო** "მანჩესტერში" 7 მილიონ ფუნტს იღებს. "წითელი ეშმაკების" მესვეურებმა პორტუგალიელ ვარსკვლავს გასამრჯელოს 9.4 მილიონამდე გაზრდა მხოლოდ მას შემდეგ შესთავაზეს, რაც მის გადასაბირებლად მადრიდის "რეალი" გააქტიურდა.

მოკლედ, ბევრი საუბარი არ არის საჭირო იმაში დასარწმუნებლად, რომ ეტოოს "ტოტენჰემი" ზღაპრულ გასამრჯელოს ჰპირდება. სენიორ ხოსე ფელიქს დიასი აცხადებს, რომ ეტოოს გადაბირების ინიციატივა მისმა მეგობარმა ხუანდე რამოსმა წამოაყენა.

კატალონიელები "დიარიო მარკაში" გამოქვეყნებულ ინფორმაციას სიხარულით ნამდვილად არ შეხვედრიან, თუმცა ისინი, რა თქმა უნდა, აცნობიერებენ, რომ სერიოზული დაინტერესების შემთხვევაში იძულებულები გახდებიან, მოლაპარაკება დაიწყონ. **ჩიკი ბეგირისტაინი** ამთავითვე აცხადებს, ეტოოს შეძენის მსურველ ნებისმიერ კლუბს არც მეტი არც ნაკლები, 48 მილიონი ევროს გადახდა მოუწევსო. დაგვეთანხმებით, ეს ძალიან დიდი თანხაა, თუმცა იმავე ხოსე ფელიქს დიასს თუ დავუჯერებთ, "ტოტენჰემისთვის" არც ამხელა ფულის გადახდა იქნება პრობლემა. მადრიდელი ჟურნალისტი ინგლისელთა მიერ გამოყოფილი თანხის მოცულობას ერთადერთი მიზეზის გამო არ აკონკრეტებს, მას ხუანდე რამოსმა სთხოვა, ინფორმაცია არ გაეხმაურებინა. ამიტომ, სენიორ დიასი ზოგადად ამბობს, რომ ალბიონელები "ბარსელონის" მიერ დასახელებულ 48 მილიონ ევროს თავისუფლად შეწვდებიან. ამის შესახებ ჩვენმა ესპანელმა კოლეგამ "რადიო მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

შესაძლოა, "ტოტენჰემს" მართლაც ჰქონდეს 48 მილიონის გადახდის თავი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ინგლისელები სულელებივით მივარდებიან და ამხელა ფულს პირველივე დღეს გადაიხდიან. ბუნებრივია, ისინი კატალონიელებთან სერიოზულ ვაჭრობას გააჩაღებენ. როგორც ყოველთვის, გადამწყვეტი სიტყვა ამჯერადაც თავად ფეხბურთელს ეკუთვნის. სამწუხაროდ, მრავალი მცდელობის მიუხედავად, ამ საკითხთან დაკავშირებით ეტოოსთან დალაპარაკება ვერც ერთმა ჟურნალისტმა ვერ შეძლო. სამუელი ვირზე თუ შეჯდება, მას ვერაფერს გადააფიქრებინებ.

### ბეგირისტაინი რეალს ვილიას ეცილება

ესპანეთში ეჭვი არავის ეპარება, რომ **დავიდ ვილია** მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე "ვალენსიას" დატოვებს და სხვა კლუბში გააგრძელებს კარიერას. ესპანელ ფორვარდს თანამშრომლობა ყველაზე ადრე "რეალმა" შესთავაზა. სხვათა შორის, მადრიდელები მას ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში შეეხმიანენ, მაგრამ "ღამურებმა" ვილიას იანვარში გაყიდვა არ ისურვეს. ახლა კი მისი ტრანსფერი გარდაუვალია. საკითხავი მხოლოდ ის არის, რომელ გუნდს დარჩება დავიდი. სრულიად მოულოდნელად, მისი გადაბირების სურვილი "ბარსელონას" გაუჩნდა. ამის შესახებ, გუშინ კატალონიის რადიო საუბრობდა. ბარსელონელმა ჟურნალისტებმა პირდაპირ ეთერში სატელეფონო ჩართვით ჩიკი ბეგირისტაინი ალაპარაკეს. "ბარსას" გენერალური დირექტორის განცხადებას თქვენს სამსჯავროზეც გამოვიტანთ: "ვილია ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ესპანელი ფორვარდია. "ბარსელონა" კი საუკეთესო ფეხბურთელებისადმი ინტერესს ყოველთვის იჩენს. გულწრფელად შემიძლია მოგახსენოთ, რომ ჩვენ მისი შეძენა გვსურს. რა თქმა უნდა, ამ მიზანს იოლად ვერ მივაღწევთ, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. ბევრჯერ მითქვამს, რომ ჩვენს გუნდს რთული მოლაპარაკებების გამარჯვებით დასრულების დიდი გამოცდილება აქვს. მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. მჯერა, ყველაფერი კარგად დასრულდება და ვილია მომავალ სეზონში "კამპ ნოუზე" ითამაშებს."

კატალონიის რადიოს წამყვანმა ბეგირისტაინს შეახსენა, რომ დავიდის გადაბირების სურვილი პირველად მადრიდის "რეალმა" გამოთქვა. აღმოჩნდა, რომ სენიორ ჩიკის დედაქალაქელთა კონკურენცია ოდნავადაც არ აშინებს: "რა მოხდა, რომ ვილიას ყიდვა "რეალსაც" სურს. დავიდი ისეთი მაღალი დონის ფორვარდია, მასთან თანამშრომლობის სურვილი ნებისმიერ დიდ გუნდს გაუჩნდება. უკვე მოგახსენეთ, რომ მიზანს იოლად ვერ მივაღწევთ. სხვათა შორის, როცა ამას ვამბობდი, "რეალთან" კონკურენციასაც ვგულისხმობდი. მე მადრიდელების არ მეშინია. "ბარსელონა" მზადაა, "ვალენსიის" ფორვარდს საუკეთესო პირობები შესთავაზოს. ცხადია, სამეფო კლუბის მესვეურებიც სერიოზულად იბრძოლებენ. ვნახოთ, ამ ბრძოლას ვინ მოიგებს."

ორი დღის წინ ბარსელონაში ვილიას მენეჯერი **ხოსე ლუის ტამარგო** იმყოფებოდა. ჟურნალისტებმა ის "ბარსას" ოფისიდან გამოსვლისას შენიშნეს. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ დავიდი "კამპ ნოუზე" გადაბარგების შესაძლებლობას სერიოზულად განიხილავს. მას მხოლოდ "რეალში" თამაში რომ სურდეს, ბუნებრივია, საკუთარ მენეჯერს კატალონიაში არ გააგზავნიდა. შესაძლოა, ვინმემ თქვას, დიდი ამბავი, სენიორ ტამარგო ბარსელონაში "ბარსასა" და "ვალენსიის" თამაშის სანახავად იქნებოდა ჩასულიო. კეთილი, შეხვედრა სენიორ ხოსე ლუისმა მართლა ნახა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ბეგირისტაინის კაბინეტში ყავის დასალევად არ მივიდოდა. ასე რომ, ვილიას "ბარსელონაში" გადაბარგება გამორიცხული სულაც არ არის.

### ადებაიორი რაღა შუაშია?

ამასობაში, "დიარიო სპორტში" ისეთი ინფორმაცია გამოქვეყნდა, რომ სულ დავიბენით. მაშინ როცა, ჩიკი ბეგირისტაინი კატალონიის რადიოს პირდაპირი ეთერით ვილიას მოსალოდნელ ტრანსფერზე საუბრობდა, ბარსელონურმა გაზეთმა **ემანუელ ადებაიორით** დაინტერესების შესახებ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა. კატალონიური გამოცემა პუბლიკაციას იმის შეხსენებით იწყებს, რომ ბეგირისტაინის ერთ-ერთი უპირველესი სამიზნე **კარიმ ბენზემაა**. სხვათა შორის, "ლიონის" ფორვარდისადმი სიმპათიებს ესპანური გრანდის გენერალური დირექტორი არასოდეს მალავდა. ორი თვის წინათ ის საფრანგეთშიც კი იმყოფებოდა. მართალია, მაშინ ლიონიდან კონკრეტული პასუხი არ ჩამოუტანია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მოლაპარაკებების ჩაშლის შესახებაც არავის დაუძრავს სიტყვა. მიუხედავად ამისა, "დიარიო სპორტი" სრული სერიოზულობით აცხადებს, რომ "ბარსა" "არსენალს" ადებაიორის გაყიდვას სთავაზობს. თანაც საკმაოდ სოლიდურ თანხად. კატალონიელი კორესპონდენტების მტკიცებით, ეს თანხა 23 მილიონ ევროს შეადგენს.

ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად მოეხსენებათ, რომ ადებაიორი "არსენალში" 2006 წელს "მონაკოდან" გადავიდა. მიმდინარე სეზონში მან არაერთი ჩინებული ორთაბრძოლა ჩაატარა. ემანუელმა წლეულს მთლიანობაში 24 გოლი გაიტანა. აფრიკელს მხოლოდ კრისტიანო რონალდო უსწრებს. **ტიერი ანრის** "არსენალიდან" წასვლის შემდეგ, ადებაიორი ლონდონელთა ერთ-ერთ მთავარ დამრტყმელ ძალად იქცა. აღსანიშნავია, რომ ემანუელს კატალონიელებიც ანრის სავარაუდო შემცვლელად მოიაზრებენ. ტიერის ბედი ჰაერშია გამოკიდებული. მართალია, ფრანგმა ფორვარდმა საგანგებო პრესკონფერენციაზე ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ "კამპ ნოუს" დატოვებას არ აპირებს, თავს მაინც ვერავინ დადებს, რომ ანრი მომავალ სეზონსაც "ბარსელონაში" გაატარებს. ესპანელი ჟურნალისტების მტკიცებით, ტიერი ჩიკი ბეგირისტაინის შავ სიაშია მოხვედრილი. მოკლედ, ასეა თუ ისე, "დიარიო სპორტი" სრული სერიოზულობით წერს, რომ ემანუელ ადებაიორი ბეგირისტაინის ერთ-ერთი რჩეულია. ავტორიტეტული გაზეთი "არსენალის" ფორვარდს საუცხოოდ ახასიათებს. ჩვენი ესპანელი კოლეგები აფრიკელის საუკეთესო თვისებებად სისწრაფეს, თამაშის წაკითხვის უნარს და უხვგოლიანობას მიიჩნევენ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ფილიპო ინძაგისთან

# კარიერის დასრულებაზე აღარ მკითხოთ

ფილიპო ინძაგი ბრწყინვალე ფორმაშია. ბოლო ხუთ მატჩში მან 9 გოლი გაიტანა, რაც, დაგვეთანხმებით, ფენომენალური შედეგია. ეს ყველაფერი კი ხდება მაშინ, როცა ბევრს ის უკვე ჩამოწერილი ჰყავდა და მალე კარიერის დასრულებასაც უწინასწარმეტყველებდა. დღეს პიპოს ამის გაფიქრებაც არ უნდა და ყველას სთხოვს, ამ თემაზე არ დაელაპარაკონ. ეს კი არა, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისკენ უჭირავს თვალი და იმედი აქვს, რომ რობერტო დონადონი 23-კაციან სიაში მის გვარსაც ჩაწერს. მანამდე კი ის "კორიერე დელო სპორტს" ესაუბრა...



**- თქვენ ინარჩუნებთ მოტივაციას იმისდა მიუხედავადაც, რომ ფეხბურთში უკვე ყველაფერი მოიგეთ, რისი მოგებაც შეიძლებოდა...**

- დამიბრუნეთ ძველი დრო, როცა 20 წლის ვიყავი, და ამის საფასურად ყველაფერს მოგცემთ: გოლებს, ტიტულებსა და ფულსაც. სიამოვნებით დავთანხმდებოდი ამგვარ გაცვლას, რათა ეს 15-წლიანი პერიოდი ისევ თავიდან გამევლო. ამის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია.

**- რაშია თქვენი მუდმივი ახალგაზრდობის საიდუმლო?**

- იმაში, რომ თამაშისგან უსაზღვრო სიამოვნებას ვიღებ.

**- ...ან, იქნებ, თქვენსა და "ეშმაკს" ("მილანის" სიმბოლოდ ხშირად ეშმაკის გამოსახულებას იყენებენ ხოლმე - რედ) შორის შეთანხმებაში?**

- არა მხოლოდ. ალბათ, ამაში წვლილი მიუძღვის "მილანის" ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანისაც, რომელმაც უფლება მომცა, კონტრაქტის დასრულების შემდეგ, რაც 2009 წლის ივნისში მოხდება, თავად მივილო გადაწყვეტილება, თუ კიდევ რამდენ ხანს დავრჩები "მილანში". იმ დღეს, როცა მან ეს სიტყვები თქვა, უბედნიერესი კაცი ვიყავი. მან კარგად იცის, რომ როცა მე ვიგრძნობ კარიერის დასრულების მომენტს, როცა დავინახავ, რომ ძველებურად ველარ ვთამაშობ, დავიხურავ ქუდს და წავალ.

**- აღნიშნეთ მილანურ დერბიში გატანილი გოლი?**

- არა, სახლში დავრჩი. თითქმის 35 წლის ვარ და მირჩევნია, ძალების დროულად აღდგენაზე ვიზრუნო. თუმც ხანდახან გამონაკლისის გაკეთებაც შეიძლება.

**- კვირაში რამდენ სალამოს უთმობთ აქტიურ გართობას?**

- ერთს... მაქსიმუმ ორს.

**- და დანარჩენი? მაკარონი ბრეზაოლათი ან DVD-ის ყურება?**

- აბსოლუტურად სწორად შენიშნეთ. მართლაც ძალიან მიყვარს სიმშვიდე და ზომიერება. ყოველთვის ვცდილობ, ამგვარი ცხოვრების რეჟიმიდან არ ამოვვარდე.

**- და არ მოგბეზრდათ სპორტსმენის ასკეტური ცხოვრება, როცა ბევრ სიამოვნებაზე გიწევთ უარის თქმა?**

- ხუმრობთ? თქვენ წარმოიდგინეთ, ფეხბურთისგანაც უზომოდ დიდ სიამოვნებას ვიღებ. ამ სიამოვნებაზე უარის თქმა კი მაშინ მომიწევს, როცა ბუცებს ლურსმანზე ჩამოვკიდებ.

**- რა სტიმული გქონდათ ამისთანა, ესოდენ ბრწყინვალე ფორმას რომ მიაღწიეთ?**

- ალბათ, ის ტანჯვა, რაც ტრიბუნაზე ჯდომით გადავიტანე. "მილანი"-"ატალანტას" მატჩს (1:2 - რედ) რომ ვუყურებდი, მინდოდა, მოედანზე შევვარდნილიყავი და გუნდს დავხმარებოდი, თუნდაც ამას ტიფოზებისგან სტვენა მოჰყოლოდა. სწორედ იმ დღეს, ჩემში თითქოს ნაპერწკალი აინთო...

**- როგორ შეაფასებდით განვლილ დერბის?**

- პირველად მოხდა ჩემს კარიერაში, რომ ზედიზედ ხუთ შეხვედრაში გავიტანე გოლი, თან ისეთ რთულ ჩემპიონატში, როგორიც ჩვენია. მართალია, კარგ ფორმაში ვარ, მაგრამ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ეს "მილანის" დამსახურებაა. თვითონ "მილანში" ყოფნაც კი განსაკუთრებულ მოტივაციას მაძლევს. მიხარია, რომ მილანური დერბის მოგებით ქომაგებს დიდი სიამოვნება მივანიჭეთ და ბევრს, იქნებ, დავავიწყეთ კიდეც ის ჩავარდნები, რაც ამ სეზონში გვქონდა. ახლა ისლა დაგვრჩენია, მეოთხე ადგილი შევინარჩუნოთ. ამისთვის კი "ნაპოლისა" და "უდინეზეს" დამარცხებაა საჭირო.

**- რა შეიძლება იყოს ბოლო ტურებში "მილანის" წარმატების პირობა?**

- ქომაგები და გუნდური სული. უკანასკნელ გასვლით შეხვედრებშიც კი მათგან უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობდით. რაც შეეხება გუნდს, ახლა ჩვენ მშვიდად ვართ, განწყობაც ჩინებულია და გვჯერა, რომ ბოლო ორ ტურში რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდება. იმ ჩავარდნების შემდეგ, გარკვეული დასკვნები გავაკეთეთ და კარგია, რომ გუნდმა ასე სწრაფად მოახდინა რეაგირება. "მილანისგან" სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო...

**- თქვენი გოლები ბოლოდროინდელ წარმატებებში გადამწყვეტ ფაქტორად იქცა. ასე არ არის?**

- კაკასთან ერთად შესანიშნავი ტანდემი შევქმენით, უსიტყვოდ ვუგებთ ერთმანეთს. თუ დააკვირდით, "მილანის" ბოლო გოლები რაღაცით ჰგავდა კიდეც ერთმანეთს.

**- ევროპის ჩემპიონატი ახლოვდება. არ ფიქრობთ იქ გამგზავრებაზე?**

- მე ჩემი ღირსება მაქვს და არავის არაფერს ვთხოვ. უბრალოდ, ძალიან მიყვარს ნაკრების ლურჯი მაისურა და მინდა, "სკუადრა აძურას" კიდევ გამოვადგე.

**- მეასე მილანურ გოლზე არ ოცნებობთ?**

- დიდებული იდეაა. იმედი მაქვს, აღნიშნულს "ნაპოლისთან" მატჩში მივუახლოვდები.

**- რას გააკეთებთ კარიერის დასრულების შემდეგ? რაიმე ჩანაფიქრი თუ გაქვთ?**

- ძალიან მინდა "მილანში" დარჩენა და კლუბის რომელიმე სტრუქტურაში მუშაობა. ასე ადვილი არ არის ლეგენდარულ შავ-წითელ მაისურაზე უარის თქმა. შესაძლოა, ახალგაზრდულ სექტორშიც ვიმუშაო მწვრთნელად. უზარმაზარი გამოცდილება დამიგროვდა და კარგი იქნებოდა, ეს ყველაფერი მოზარდი თაობისთვის გამეზიარებინა... შეიძლება, ერთი რამ გთხოვოთ?

**- დიახ, რა თქმა უნდა...**

- კარიერის დასრულებაზე აღარ მკითხოთ. ამის გაფიქრებაც კი ცუდ გუნებაზე მაყენებს...

**გიორგი გელაშვილი**

მოსალოდნელი გადაადგილებები

# სითიმ სკოლარი არჩია

მანჩესტერ სითიში" რომ მწვრთნელის შეცვლა მზადდება, ამაზე უკვე გამცნეთ. მზადდება კი არა, გადაწყვეტილი ამბავია: სეზონის დასრულებისთანავე, **სვენ გორან ერიქსონი** თანამდებობას დატოვებს. კლუბის მეპატრონე **ტაქსინ შინავატრა** იმედგაცრუებულია. გასულ ზაფხულს მან საკმარისი თანხა გაიღო, თუმცა შედეგი ვერ ნახა. "მანჩესტერ სითიმ" კარგად დაიწყო სეზონი, მაგრამ უმთავრესი ამოცანა - ჩემპიონთა ლიგის საგზური, ან მინიმუმ უეფას ზონა, შეუსრულებელი დარჩა.

ტაილანდელ ექსპრემიერს ერიქსონთან უკვე ჰქონდა შეხვედრა. მან განუმარტა მწვრთნელს, რომ არ არის ის სპეციალისტი, ვინც "მანჩესტერ სიტის" სჭირდება. სვენი გაოცებული დარჩა, თუმც ბრძოლას არ აპირებს და სეზონის დასრულებას დაელოდება. საინტერესოა, რომ ამ ვითარებაშიც კი, მას სურვილი აქვს, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გუნდს აზიურ ტურნეშიც გაჰყვეს...

BBC-ის ინფორმაციით, შინავატრამ უკვე გასცა განკარგულება, **ლუიშ ფელიპე სკოლარისთან** მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე. სკოლარი 59 წლისაა. 2002 წელს მან ბრაზილიას მსოფლიო ჩემპიონატი მოაგებინა. შემდეგ, პორტუგალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალში, ხოლო მომდევნო მუნდიალზე მეოთხე ადგილზე გაიყვანა. მოკლედ, "დიდი ფილი" ზღვა გამოცდილების პატრონია. სხვა საქმეა, რამდენად აინტერესებს მას საკლუბო ფეხბურთში მუშაობა, თან ინგლისში და თანაც ისეთ ოდიოზურ მფლობელთან, როგორიც შინავატრაა. ყოველ შემთხვევაში, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ერიქსონის გამოცდილება: აზიელ მილიარდერს შედეგი დაუყოვნებლივ უნდა, ის არ ცნობს გუნდის შენების პროცესს, რომელიც გრძელი და ეკლიანი გზაა.

მარტო ხელფასის სახით, სკოლარის წლიურად 3.2 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. შინავატრა პასუხს ელოდება. მაგრამ "ფელიპაოს" წინ ევროპის ჩემპიონატი აქვს "სიტისთვის", ალბათ, არ სცხელა. აქ გასათვალისწინებელი იქნება ერთი არასაფეხბურთო ფაქტორიც. სკოლარის ოჯახი პორტუგალიაში ცხოვრობს, მისი ორივე ვაჟიც იქვე იღებს სწავლა-განათლებას. სწორედ ეს იყო ძირითადი ხელისშემშლელი მომენტი, რის გამოც მან ინგლისის ნაკრებში მუშაობაზე უარი თქვა.

სხვათა შორის, ერიქსონის არ იყოს, "სიტის" ფანებიც არ არიან დიდად გახარებულები. მიუხედავად ყველაფრისა, ისინი შვედს პატივს სცემდნენ. ამიტომ, შინავატრა ჩქარობს, რათა რაც შეიძლება მალე ახაროს გულშემატკივრებს, რომ გუნდის ახალი მწვრთნელი იქნება კაცი, რომელმაც 2002 წელს მსოფლიო ფეხბურთის უმაღლესი მწვერვალი დაიპყრო.



# გრანტს რაიკაარდი შეცვლისო



ინგლისურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, სეზონის დასრულებისთანავე, **ავრამ გრანტი** პოსტს **ფრანკ რაიკაარდს** დაუთმობს. საინტერესოა, რომ ეს, თურმე, თავად გრანტის ინიციატივა ყოფილა. მისი მეთაურობით "ჩელსის" დუბლის შანსი გაუჩნდა, რაც **ჟოზე მოურინიოს** დროსაც არ ყოფილა. მაგრამ ავრამმა "სტემფორდ ბრიჯზე" მაინც ვერ მოიპოვა ის პოპულარობა და ნდობის კრედიტი, რაც მწვრთნელისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ცხადია, ეს **რომან აბრამოვიჩმაც** იცის და ხვდება, რაშიცაა საქმე. ამიტომ, ის გრანტს კალთებს არ დაახევს, თანაც, მას ძალიან მოსწონს რაიკაარდი და ის სტილი, რომლითაც "ბარსელონა" თამაშობს (ალბათ, ოლიგარქს უფრო წინა სეზონების შთაბეჭდილება მოსდევს). მით უმეტეს, აბრამოვიჩს ხელ-ფეხი გაეხსნება იმ შემთხვევაში, თუკი "ჩელსი" ვერც პრემიერლიგას მოიგებს (ეს "არისტოკრატებზე" ნაკლებადაა დამოკიდებული) და ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც ვერ იყოჩაღებს.

საინტერესოა, რომ ეს ინფორმაცია პრესას "პორტსმუთის" ნახევარმცველმა **რიჩარდ ჰიუზმა** გაუმხილა. როგორც ირკვევა, ჰიუზი გრანტის მეგობარია. ფეხბურთელის თქმით, ებრაელ სპეციალისტს, რომელიც მწვრთნელად დანიშვნამდე "ჩელსის" ტექნიკური დირექტორი იყო, ძველ სამუშაოზე დაბრუნება სურს. ჰიუზი ამტკიცებს, რომ ავრამს არ უყვარს წინა პლანზე ყოფნა - მას ურჩევნია, არ ჩანდეს, რადგან ფიქრობს, რომ კლუბისთვის ასე უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეუძლიაო...

**გიორგი გელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიფა

# ზეპური რევოლუცია

## მსოფლიოს ბრაზილია წალეკავს. ზეპი ეროვნების შეცვლას კრძალავს. ფიფას მომავალმა კონგრესმა, შეიძლება, რევოლუციური გადაწყვეტილებები მიიღოს

ფიფას პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმა** ძველი კამპანია განაახლა. ის ისევ მიუბრუნდა თემას, რასაც სატრანსფერო ლიმიტები ჰქვია. მისი აზრით, ევროპული კლუბები ანადგურებენ, ასე ვთქვათ, მშრალზე ტოვებენ აფრიკულ ფეხბურთს, ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშეების მინვევით და პროფესიული ლიგების ზრდას ხელს უშლიან. *"მხოლოდ ერთი კონტინენტი არ იქნება ფოკუსირებული ფეხბურთზე"*, - აღნიშნა ბლატერმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე.

ბლატერი აპირებდა "ექვსი პლუს ხუთი" წესის შემოღებას, რომელიც აიძულებდა კლუბებს, 2012 წლიდან სასტარტო შემადგენლობაში ჰყავდეთ 6 ადგილობრივი და 5 უცხოელი ფეხბურთელი. ფიფას პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ახალი წესი ევროპის ელიტურ კლუბებს, მაგალითად, "არსენალს", "ჩელსის" და "ინტერს", გუნდის დაკომპლექტების მეთოდებს გადაასინჯვინებს. ამჟამად, ხსენებულ კლუბებში, მოედანზე უფრო მეტი უცხოელი ფეხბურთელი თამაშობს, ვიდრე ადგილობრივი.

*"თუ ფიფა შემოიღებს 6+5 სისტემას, ფრიკელი, აზიელი და, განსაკუთრებით, სამხრეთამერიკელი ფეხბურთელები შინ დარჩებიან. ეს კი, ამ კონტინენტებზე ფეხბურთის განვითარებისთვის კარგი იქნება"*, - დაასკვნა ბლატერმა და იქვე დაამატა, რომ ევროპის გარეთ, ფეხბურთის ფედერაციებმა მის გეგმას მხარი დაუჭირეს, რადგან: *"სხვა კონტინენტები იქით ამარაგებენ ევროპას მოთამაშეებით"*.

*"ახლა, ჩვენთვის მთავარია, არ დავუშვათ აფრიკული ფეხბურთის დაღმასვლა"*, - განაცხადა ბლატერმა, რომელიც განაში მოგზაურობისას, საკუთარი გეგმის განხილვის დროს. თუმცა ამ ლიმიტაციაში ნეგატიური მომენტი ისაა, რომ ბევრი ფეხბურთელი ძლიერ კლუბში ველარ მოხვდება.



ბლატერის აზრით, მოსალოდნელი ცვლილება ევროპულ ფეხბურთსაც წაადგება. მას სურს, დაეხმაროს ეროვნულ გუნდებს გაძლიერებაში, ხოლო ადგილობრივ ფეხბურთელებს - შესაძლებლობების უფრო მეტად გამოვლენაში. ინგლისშიც კი, სადაც საფეხბურთო კლუბებს ნიჭიერთა მონოპოლიზაციაში აკრიტიკებდნენ, უკვე აქვთ სურვილი, გადახედონ უცხოელ ფეხბურთელთა გადანაწილების საკითხს. მიზეზი ცნობილია: ინგლისის ეროვნული ნაკრების პერმანენტული წარუმატებლობები, რაც ბოლო ხანს ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩენაში გამოიხატა.

ცნობილია, ბლატერის მიზნებსა და გეგმებს მხარს არ უჭერს ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია (უეფა) და ევროპელ ადვოკატთა კავშირი. ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების აზრით, მოთამაშეებისთვის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა არაკანონიერი გადაწყვეტილება იქნება. უეფას მიაჩნია, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოთ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც 15-დან 21 წლამდე პერიოდში, დაახლოებით სამი წლის განმავლობაში ვარჯიშობდნენ კლუბებთან ერთად.

*"ვთხოვ ევროპას, არა მარტო ევროპულ ფეხბურთს, არამედ ევროსაბჭოსაც, გამოიჩინონ სოლიდარობა მსოფლიო ფეხბურთისადმი. მთელ მსოფლიოში კლუბების დონის ამაღლებისთვის თანხის დახარჯვა არ კმარა. უნდა გაითვალისწინო, აგრეთვე, სპორტული და პატიოსანი თამაშის სულისკვეთება"*, - ამბობს ბლატერი.

შემოთავაზებულ წესებს განიხილავენ 29-30 მაისს, სიდნეიში დანიშნულ ფიფას კონგრესზე. ბლატერი იმედოვნებს, რომ მიიღებს 208 ეროვნული ფედერაციის მანდატებს, რათა ევროსაბჭოსგანაც მიიღოს მხარდაჭერა.

■ ■ ■

პარალელურად, ფიფა ახალ დოკუმენტზეც მუშაობს. თვის ბოლოს, ბლატერი წარადგენს უმკაცრეს კანონს, რომლის მიხედვითაც იკრძალება ეროვნების შეცვლა. ეს მოხდება იმიტომ, რომ შეწყდეს ბრაზილიელების დომინირება. როგორც ფიფას მეთაური ამტკიცებს, აფრიკის ბევრი ქვეყანა და ევროპა შეწუხებულია არსებული კანონებით, რომლის მიხედვითაც ფეხბურთელს შეუძლია, ითამაშოს არა იმ ქვეყნის გუნდში, სადაც დაიბადა, არამედ სხვა ქვეყანაში, თუ იქ უცხოვრია ორი წლის განმავლობაში, ანდა, ჰყავს იქ დაბადებული დედ-მამა ან ბაბუა.

*"წინასწარმეტყველი არ ვარ, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ 2014 წლის მსოფლიო თასზე ფეხბურთელების ნახევარი ბრაზილიიდან იქნება წამოსული და ჩვენ ეს უნდა აღმოვფხვრათ. აღმასრულებელი კომიტეტი კონგრესს წარუდგენს კანონებს, რომლის მიხედვითაც ფეხბურთელს უკვე ხუთი წელიწადი მოუწევს იცხოვროს იმ ქვეყანაში, რომლის ეროვნულ გუნდშიც თამაშის უფლების მიღება სურს"*, - განაცხადა ბლატერმა.

მოსალოდნელია, რომ სიდნეის კონგრესზე ამ წინადადებას მხარს დაუჭერს ფიფას წევრი ასოციაციების 75 პროცენტი. 2004 წელს, ფიფა აიძულეს, გაემკაცრებინა წესები, მას შემდეგ, რაც სამი ბრაზილიელი ფეხბურთელი ყატარის გუნდის ღირსებას იცავდა 2006 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპზე. ამ ძალისხმევის მიუხედავად, ბევრი ქვეყანა და ფეხბურთელი მაინც განაგრძობს "ორწლიანი ფანჯრის" გამოყენებას. მაგალითად, "არსენალის" ბრაზილიელი ნახევარმცველი **ედუარდო და სილვა** ხორვატიის ეროვნულ გუნდში თამაშობს იმის გამო, რომ კარგა ხანს ზაგრების "დინამოში" ირიცხებოდა.

ვარსკვლავი

# კაიზერტონი

ჯეიმს ჰორნკასლი

**ლუკა ტონიმ თავისი უამრავი გოლით დაამტკიცა, რომ ძლიერი ფეხბურთელია და სამართლიანადაც დაიმსახურა გერმანელი გულშემატკივრებისგან მეტსახელი - "კაიზერი", რითიც აქამდე მხოლოდ ფრანც ბეკენბაუერს მოიხსენიებდნენ. არადა, ტონის 14 სეზონიდან 7 სერია B-სა და C 1-ზე მოდის, სადაც ის სრულიად უცნობ კლუბებში, "ფიორენცუოლასა" და "ლოდიჯანიში" თამაშობდა...**

ლუკა ტონის პირველმა მწვრთნელმა **ალბერტო კავაზინმა** გიგანტური აღნაგობის ფეხბურთელზე თქვა: *"მოზარდობისას, სიმაღლე მას ეხმარებოდა, პირველ გუნდში თამაშისას კი ხელს უშლიდა"*. სკოლაში სწავლის დროს ტონის "ტორტელინო" შეარქვეს და იტალიურ ეროვნულ კერძს, ხორცით მაგრად გატენილ პასტას შეადარეს. მიუხედავად იმისა, რომ 2000 წელს, 23 წლისამ, სერია A-ში პირველი გოლი გაიტანა, მას კარგა ხანს ვერავინ ამჩნევდა. 2003 წელს კი, "პალერმოში" გადასვლის შემდეგ, გამოჩნდა ის მძიმეწონოსანი გოლეადორი, რომელსაც ახლა ყველა კარგად იცნობს და აღიარებს.

კვირას, 30 წლის სპორტსმენმა პირველი ბუნდესლიგური ტიტული იზეიმა. ესაა მისი მესამე ჯილდო მას შემდეგ, რაც "ფიორენტინიდან" "ბაიერნში" გადავიდა. წლევანდელ სეზონში, კლუბსა და ქვეყნის მთავარ გუნდში გატანილი 39 გოლი თუ ჩავთვალეთ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ტონის ანგარიშზე 148 გოლი გამოდის.

"ვიჩენცასა" და "ბრეშას" ყოფილი თავდამსხმელი, ეჭვგარეშეა, პლანეტის საუკეთესო ცენტრფორვარდად ითვლება. "ბაიერნის" გულშემატკივრებმა ის ლეგენდარულ **გერდ მიულერს** შეადარეს. ის მოძრაობს, როგორც ფანტომი, პოლტერგეისტივით გადადის შეტევაზე და გოლებს ზეიმობს ისეთი ღიმილით, რომელიც კასპერს, მეგობრულ მოჩვენებას, მოგაგონებთ. წლების განმავლობაში, ტონის, როგორც ფეხბურთელის ზრდა, სასიამოვნო სანახავი იყო. ამისთვის მადლობა უნდა უთხრან იტალიურ სამწვრთნელო სისტემას, რომელიც საოცრად მაღალ დონეზე ზრუნავს ფეხბურთელებზე.

ახლა უკვე, ტონი შეიძლება იმ ფეხბურთელებს გავუტოლოთ, როგორებიც არიან **კრისტიანო რონალდო** და **ლეო მესი**, რომლებიც ჩემპიონებად დაიბადნენ. წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ტონის დაულალავი შრომა, მუდმივი ფიქრი იმაზე, თუ როგორ და რა უნდა მოიმოქმედოს, რომ მთელი თავისი შესაძლებლობები გამოავლინოს. სწორედ ამიტომ აღმერთებენ და აღმერთებდნენ მას, მიუხედავად იმისა, რომ 10 კლუბიდან, სადაც უთამაშია, ორ წელზე მეტხანს არსად გაჩერებულა.




ადამიანს, რომელიც კვირაში 153 000 გირვანქა სტერლინგს იღებს, 29 წლისა ხდება მსოფლიო ჩემპიონი და იგებს ევროპის საუკეთესო სნაიპერისთვის დაწესებულ "ოქროს ბუცს", ავადსახსენებელი და ყბადაღებული ვარსკვლავური ავადმყოფობის არანაირი ნიშანწყალი არ ეტყობა. არადა, ამის წინაპირობა ნამდვილად არსებობს, რადგან სერია A-ს ისტორიაში ტონი მეშვიდე ფეხბურთელია, ვინც ერთ სეზონში 30-ზე მეტი გოლის გატანა შეძლო და ამით, "ფიორენტინის" ისტორიაშიც ოქროს ასოებით ჩაიწერა.

ერთ ცნობილ ფლორენციელს, **ნიკოლო მაკიაველის**, მიაჩნდა, რომ შეუძლებელია, ვინმეს ერთდროულად უყვარდე და თან ეშინოდეს შენი. ლუკა ტონი კი სწორედ იმას ამტკიცებს, რომ მაკიაველი ცდებოდა...

გვერდი მოამზადა
**დავით ჩუბინიძემ**

## უცხოური ფეხბურთი



# ხორხე ვალდანო

# საფეხბურთო ისტორიები

გაგრძელება. დასაწყისი №41

### დაიხოცეთ, მაგრამ უკან არ დაიხიოთ

*"თუ საჭიროა, - დაიხოცეთ, მაგრამ ღალატი არ დაუშვათ"*, - ასეთი ფრაზით გაითქვა სახელი ესპანეთში კოლუმბიელმა **ფრანსისკო "პაკო" მატურანამ.** ფეხბურთისგან არავინ კვდებოდა, მაგრამ ნაგების შიშით ბევრი მიდიოდა ღალატზე. ამიტომაც, მწვრთნელის პიროვნებას ყველაზე კარგად მაშინ შეიცნობ, როცა მას ნაგების დრო მოუვა. სწორედ მაშინ მოწმდება მისი ინსტინქტის ხარისხი, პიროვნებისა და მრწამსის სიმტკიცე.

მატურანას იდეები ჰქონდა და კარგი ფეხბურთელების ჯგუფიც ჰყავდა მედელინის "ნასიონალში" მუშაობის დროს. მათ ერთად მოიგეს კოლუმბიური ფეხბურთის ისტორიაში პირველად ლიბერტადორესის თასი, ამის მერე, უკვე ნაკრების რიგებში, 28-წლიანი შესვენების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდნენ (1990 წელს იტალიაში) და იგივე ოთხი წლის შემდეგაც გაიმეორეს.

1990-91 წლებში, მატურანამ თავისი პრესტიჟი ესპანური "ვალიადოლიდის" სამსახურს დაუქვემდებარა და ახალ ფეხბურთელებს მოედანზე ფიქრში დაეხმარა, დაარწმუნა ისინი, რომ სივრცე მოწინააღმდეგეზე მნიშვნელოვანია. სამეფოში სახელად "ადამიანი ადამიანის წინააღმდეგ" მან თავისი წესი შეიტანა - "ზონური პრესინგი". მეთოდური და დაძაბული შრომის წყალობით, მატურანამ დადებითი პასუხი მიიღო: სისტემის ჰარმონიული ფუნქციონირება და "თბილი" მეცხრე ადგილი სატურნირო ცხრილში.

როგორც ჩანს, მადრიდის "რეალის" გაწვრთნის არარეალიზებულმა შესაძლებლობამ, მატურანაში ტრიუმფისადმი ნოსტალგიის გრძნობა გააღვივა. მან გაიხსენა ისინი, ვინც მისი საუკეთესო სამწვრთნელო პერიოდის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ. ცნობილი ტრიო - **რენე იგიტა, ლეონელ ალვარესი** და **კარლოს ვალდერამა** მის დაძახილს გამოეხმაურნენ და ოკეანის გაღმა გაემგზავრნენ. მაგრამ საშუალო დონის "ვალიადოლიდში" ძალიან ბევრი "ტროპიკების" გაკვალვა ყოფილა საჭირო. მეკარე-ლიბეროს ადაპტირებისთვის საჭირო ნიჭი არ აღმოაჩნდა, სიმშვიდემაც უღალატა და იღბალმაც: სულ რვაჯერ შეცდა, მაგრამ გუნდს ეს რვა გაშვებულ გოლად დაუჯდა. იგიტა დანებდა და სახლში მისმა დაბრუნებამ ძალიან იმოქმედა მატურანაზე.

სამხრეთი ამერიკის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული ვალდერამა ასევე ვერ შეესაბამებოდა თავის დონეს. მან მინდორი თითქმის უბრძოლველად დატოვა და მატურანა კიდევ უფრო ნაგებულ მდგომარეობაში დატოვა. წავიდა ალვარესიც, დიდი შესაძლებლობების ნახევარმცველი, ჭკვიანი ტაქტიკოსი, მებრძოლი - ვერ გაუძლო კრიტიკას, რომელიც მასში მხოლოდ კოლუმბიელს ხედავდა.

აი, ასე, სრულ მარტოობაში აღმოჩნდა, უამინდობაში მოხვედრილი პილოტივით, იმ კაპიტანივით, ვინც განწირულია, უკანასკნელმა დატოვოს გემი, რომელიც მისი და სხვების შეცდომების გამო იძირება. და სადღაც გადაკარგულში არარეალიზებული დარჩა მისი ფართო სულის იდეა, რომელსაც გუნდი ერთნაირი წარმატებით მიჰყავს როგორც გამარჯვების, ასევე ფიასკოსკენ.

ძველი ისტორიაა: "ვალიადოლიდი" მუდმივ პრობლემებს განიცდიდა და მისი მწვრთნელი ყოველთვის ბეწვის ხიდზე გადიოდა. მატურანას შეიძლებოდა ეჭვები გასჩენოდა, მაგრამ მისი კონცეფციები საჯარო განხილვას არ ექვემდებარებოდა. მას ნაგების განცდა ერგო, რაც ამ პროფესიაში "ცოტათი სიკვდილს" ნიშნავს, და მან ეს გააკეთა, არ დაუშვა ღალატი, როგორც თავიდან ამბობდა.

### ბედნიერი გიჟი

დონ **მარსელინიო მატურანა**, "პაკოს" მამა, დღემდე მედელინის გარეუბანში, პატარა სახლში ცხოვრობს. გარე კედელზე პლაკატია გაკრული სიტყვებით, რომელიც დონ მარსელინიოს ფილოსოფიასა და სულს გამოხატავს: "ბედნიერი გიჟის თავშესაფარი". ამ სახლში დაიბადა მისი ცხრა შვილი და ამ სახლში მოაწყო მან დიდი ნადიმი, როცა მისი უფროსი შვილის კოლუმბია იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა.

"პაკო" მამის სურვილს დაჰყვა და სტომატოლოგი გახდა, თანაც უნივერსიტეტი ფრიადზე დაამთავრა, მაგრამ სულითა და სხეულით ის ფეხბურთს ეკუთვნოდა, რომლითაც ბავშვობაში დაავადდა. *"მე მარტივი გზით მივდიოდი, რომელიც თამაშისადმი ფანტასტიკური ლტოლვით და თამაშისგან სიამოვნების მიღების სურვილით იყო განპირობებული"*.

"პაკოს" ცხრაწლიანი პროფესიული კარიერა ჰქონდა, თანაც ყოველთვის ცენტრალური მცველის პოზიციაზე თამაშობდა. ეს ის ამპლუაა, რომლის წყალობითაც უკეთესად შეიცნობდა ფეხბურთელს და იმ აზრამდე მიდიოდა, რომ ფეხბურთი შესანიშნავია, თუ გონებით თამაშობ. გამოცდილების ხარჯზე, ის შორს წავიდა, კარგად აღქმის უნარის წყალობით, ყველაფერი ღირებული შეითვისა, ინტელექტის ხარჯზე კი, გეგმა შეიმუშავა. და თავისი ცოდნის გამოყენებისთვის ობიექტი სჭირდებოდა. ერთი წელი მოკრძალებულ "კრისტალ კალდასში" იმუშავა, 1987 წლიდან კი, თავიდან მედელინის "ატლეტიკო ნასიონალი" ჩაიბარა, ბოლოს კი, ნაკრები და კარგი გემოვნებისა და თავდადებისთვის საკუთარ ბრძოლას საერთაშორისო გაქანება მისცა.

მატურანას გამოჩენამდე, კოლუმბიური ფეხბურთი საკმაოდ მიმზიდველი იყო, მაგრამ არანაირი წარმატება არ ჰქონია. მრავალრიცხოვანი უცხოელები კომპენსირებას უკეთებდნენ ეროვნული ფეხბურთელების ხასიათის დეფიციტს. "პაკო" მატურანამ თავის გუნდებს სიმტკიცე შემატა და რაც მთავარია, მათ ერთი მარტივი რამ გააგებინა - ერთია მოედანზე გასვლა და მეორე - მოსაგებად გასვლა.

"პაკომ" და მისმა გუნდმა გაუბედურებულ კოლუმბიას გმირობის რწმენა შთაბერა. კოლუმბიელებმა ურთიერთსროლა შეწყვიტეს, რათა ჯერ ლიბერტადორესის თასზე ისტორიული ტრიუმფი, შემდეგ კი მსოფლიო ჩემპიონატებზე წარმატებული გამოსვლა ერთად აღენიშნათ. ფეხბურთი პრობლემებს ვერ წყვეტს, მაგრამ სიხარული მოაქვს. საზოგადოებაში, სადაც კრიმინალი ბატონობდა, მატურანა თავისი ფეხბურთის წყალობით მშვიდობის სიმბოლო გახდა.

ბოგოტის მერმა **ანდრეს პასტრანა არანგომ** თქვა: *"ნაკრებმა ქვეყანას ახალი სუნთქვა შთაბერა"*. სწორედ ამით არის ფეხბურთი ღირებული, რომ განსაკუთრებულ სამყაროს ქმნის, რომელიც რეალურზე მაღლა დგას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო სწორედ კოლუმბიისთვის და სწორედ იმ პერიოდში, კერძოდ 1989 წელს. შეგახსენებთ, რომ იმ წლის 15 ნოემბერს, 22 საათსა და 50 წუთზე, მედელინში საფეხბურთო მსაჯი **ალვარო ორტეგა** 9-კალიბრიანი ტყვიით განგმირეს. ერთი წლით ადრე, იმავე მედელინში გაიტაცეს მსაჯი **არმანდო პერესი**. რამდენიმე დღის შემდეგ, მას თავის კოლეგებისთვის წერილი გამოატანეს: *"ყველას გავაქრობთ, ვინც სტვენა არ იცის"*. ეჭვი არ მეპარება, რომ ის ადამიანები, რომლებმაც ალვარო ორტეგა მოკლეს და არმანდო პერესი გაიტაცეს - პროფესიონალები არიან, ისინი ტოტალიზატორზე თამაშობენ და ნარკობიზნესთან არიან შეკრულნი, *"ისინი დაიღალნენ მსაჯების მიზეზით ფულის დაკარგვით. მსაჯები ხომ შედეგების ლოგიკურობას არღვევენ"*.

### სამუშაო და ინტელექტი

თამაშში ასე სასურველი ბალანსი შეიძლება ერთი ფრაზით გამოიხატოს: *"გავზარდოთ მოედანი შეტევისას და შევამციროთ ის დაცვის დროს"*. დანარჩენი ტექნიკაზე, ნიჭსა და მოთამაშეთა ფანტაზიაზეა დამოკიდებული.

მე ყოველთვის თანავუგრძნობდი იმ მოთამაშეების მძიმე, თითქმის აუტანელ ცხოვრებას, რომლებსაც ნიჭი იმის კეთების უფლებას აძლევდათ, რასაც მწვრთნელი უკრძალავდა. ფრანსისკო მატურანა - ტალანტების შთამაგონებელია. არა თქმა უნდა, მას სჯერა თავისი სამუშაოს აუცილებლობის, რადგან ფეხბურთს 11 ადამიანი თამაშობს, რომლებიც საერთო იდეის ბაზაზე უნდა გააერთიანო. და ამასთან, მასვე სჯერა თითოეული ფეხბურთელის, იმიტომ, რომ ბურთისართმევა, პასი და გოლი - ეს ინდივიდუალისტების პირადი საქმეა. მატურანასთვის *"ფეხბურთი - ეს არის კოლექტიური ორგანიზაციისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენის კომბინაცია"*. ფრანსისკო "პაკო" მატურანა - ეს იგივე **არიგო საკია**, ოღონდ ტროპიკული შესრულებით.

დიზაინის სამყაროში შემსრულებლები და მოდის კანონმდებლები ცოტანი არიან, და იმათი მთელი ლეგიონი არსებობს, რომლებიც მათ კოპირებას ეწევიან. ფეხბურთის ორტიბაზეც მრავლად არიან ისეთი გამარჯვებულები, რომლებმაც ტრიუმფს მოპარული იდეებით აღწევენ. და ცოტანი ისეთები, რომლებსაც ახალი გზები გაჰყავთ. ამიტომაც ყველა უნდა მიესალმოს ესპანეთში იდეებით დახუნძლული უჩვეულო მწვრთნელის ჩამოსვლას. როგორც საკის "მილანი", მატურანას გუნდები უტევდენ კარს, როცა ბურთს ფლობდნენ და უტევდნენ მოწინააღმდეგეს, როცა ბურთს კარგავდნენ. დაცვის დროს, შეტევაზე მომართულნი რომ ყოფილიყვნენ, მის გუნდებს მეკარე-ლიბერო ჰყავდა, დაცვას ზონური პრინციპით აწყობდნენ და მცველები მაქსიმალურად იყვნენ დაშორებულნი საკუთარ კარს, ჰყავდათ ორი საყრდენი ნახევარმცველი, კიდევ ორი შემტევი და ორიც თავდამსხმელი. ამასთან, შეტევა და დაცვა - აბსოლუტურად ყველას საქმე იყო.

ქვეყანაში, რომელიც სავსეა უცხოელი მეკარეებით, მან ნომერ პირველი პოსტი თავისუფალ მეკარე **რენე იგიტას** ჩააბარა. ამ აღმოჩენაზე ყურადღების შეჩერება ნიშნავს, რომ მატურანასი უკეთ გესმის. იგიტამ კარდინალურად შეცვალა მეკარის ფუნქციები, როცა ხშირად ტოვებდა საჯარიმოს ფარგლებს. ეს გამოხტომები საშუალებას აძლევდა მოკლე პასებით ეთამაშა მცველებთან, აქ გამოჩნდა მისი პასის სიზუსტე და რაც მთავარია, მისი არაორდინალური პიროვნება. რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ის ლიბეროდ? პასუხები სეტყვასავით ცვიოდა: *"იმიტომ, რომ ის მეკარეა"*, *"იმიტომ, რომ ასე არავინ აკეთებს"*, *"იმიტომ, რომ ეს სარისკო საქმეა"*...

მატურანას პასუხები ისევე შორს იყო სიფრთხილისგან, როგორც იგიტას კარიდან გამოსვლები: *"მეკარე-ლიბერო წინააღმდეგობაში არ მოდის ფეხბურთთან, როგორც სპექტაკლთან და არც ფეხბურთთან, როგორც ტრადიციულ სახეობასთან. დიახ, მისი მოქმედება რისკს უკავშირდება, მაგრამ ცხოვრება - ეს რისკია და თავისუფალია მხოლოდ ის, ვინც რისკზე მიდის"*.

**გია თვალაბეიშვილი**

გაგრძელება იქნება



მეკარე რენე იგიტას მეგობრული შარჟი



ფრანსისკო მატურანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ნახევარფინალი. სამ მოგებამდე. პირველი მატჩები

# მოსეშვილი ფორას იძლევა: პირველს დაგითმობთ, მაინც მოგიგებთ!



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დღეს საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფი იწყება. ნახევარფინალებში ერთმანეთის წინაშე წარდგებიან თსუ-"ავიამშენი" და "ენერჯი"-"ვითა". პირველი წყვილი 15:15 საათზე სპორტის სასახლეში ითამაშებს, ხოლო მეორე - 19 საათზე, რუსთავში. ამ შეხვედრებთან დაკავშირებით გუშინ კლუბ "12 მაგიდაში" პლეი ოფის მონაწილეები შეიკრიბნენ და კარსმომდგარ მატჩებზე ისაუბრეს.

## თსუ vs ავიამშენი

**პირველი სიტყვა მეორეადგილოსანი თსუ-ს დამრიგებელ ნუგზარ ჭეიშვილს ერგო:**

- 5 მაისს გამართულ ვარსკვლავთა მატჩში სამი ნომინაციიდან ორში თსუელმა გაიმარჯვა: დავით ბერიშვილმა სამქულიანების კონკურსი მოიგო, ხოლო დავით არწივიძემ წინაღობები ყველაზე სწრაფად გადალახა. მესამე დათომ, ბარბაქაძემ ჩატენვების კონკურსის ფინალში ვიქტორ სანიკიძესთან დათმო. ეს ნათლად მიუთითებს, რომ თსუ პლეი ოფს მომზადებული ხვდება. მცირე ტრავმები აქვთ ფანჩულიძეს და ბარბაქაძეს, თუმცა "ავიამშენთან" მათ მოედანზე აუცილებლად იხილავთ. "ავიასთან" შარშან სამივე მატჩში თანაბარი ბრძოლა იყო და ბოლო წამებზე დავმარცხდით. შარშანწინ კი "ავიატორებს" მოსაგებად 5 შეხვედრის გამართვა დასჭირდათ. ვფიქრობ, წლევანდელი ნახევარფინალიც ორი წლის წინანდელის მსგავსი იქნება - ხუთივე თამაშის ჩატარება მოგვიწევს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ფინალში ჩვენ უნდა გავიდეთ. მართალია, პროგრამა მინიმუმი შევასრულეთ, პლეი ოფში მოვხვდით, მაგრამ ნამდვილად არ ვაპირებთ მეტოქისთვის ფინალის საგზურის დათმობას.

**თსუ-ს უკანახაზელმა მიხეილ ფანჩულიძემ საუბარი საკუთარი ტრავმით დაიწყო:**

- ქუსლები მაქვს დაბეჟილი და ვმკურნალობ. ხვალ თამაშს ვაპირებ. ნახევარფინალისთვის კარგად მოვემზადეთ, გაძლიერებული ვარჯიშები გვქონდა და მაქსიმალურად ვეცდებით ფინალში მოვხვდეთ. ჩემს გუნდს ბოლო წლებში ერთხელაც არ უთამაშია ფინალურ სერიაში...

**სტუდენტთა მეტოქის "ავიამშენის" მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა საუბარი საინტერესო ფრაზით დაიწყო: პირველი მატჩისთვის სანახევროდ ვართ მომზადებულები და მის წაგებას ვეცდებითო...**

**იქვე თსუ-ს თავკაცი ნუგზარ ჭეიშვილი გამოეხმაურა: თუ ასეა, ახლავე შევთანხმდეთ, ოფიციალური დოკუმენტი შევადგინოთ და მეორე მატჩიდან სერიას 1:0 მოგებით დავიწყებთო. გუშინ სიტყვა საქმედ არ ქცეულა. ამის იმედი არც არავის უნდა ჰქონდეს, რადგან ლევან მოსეშვილის სიტყვები მხოლოდ მეტოქის მოდუნების იარაღად უნდა მივიჩნიოთ. მან საუბარი ტრავმებით დაიწყო:**

- ნახევარფინალურ სერიაში დაგვაკლდება კაპიტანი ირაკლი ხოშტარია, რომელმაც მხარი ჯერაც ვერ მოიშუშა. უკვე შემოგვიერთდნენ ტრავმირებულები გიორგი ნიკოლაძე და ვახტანგ მინაშვილი, თუმცა ისინი ოპტიმალურ ფორმაში არ არიან. ვეცდებით, მეორე მატჩიდან თამაში ნელ-ნელა გავაუმჯობესოთ და ფინალში გავიდეთ. ფინალური სერიისთვის ხომ დიდი ხანია ვამზადებთ ახალგაზრდა ნოდარ ბერაიას. მას არაერთი პლუსი აქვს, რომელთა ჩამოთვლას ახლა არ მოვყვები. ნოდარისთვის სათამაშო დროის გაზრდას ხელი შეუწყო ძირითადი შემადგენლობის უკანახაზელების ხოშტარიასა და ნიკოლაძის ტრავმებმა. თუმცა ჩემს გუნდში ახალგაზრდებისთვის ყოველთვის "გზა ფართო" იყო.

## ენერჯი vs ვითა

**რეგულარულ ჩემპიონატში ერთ-ერთ მთავარ ფავორიტ "ენერჯი ინვესტს" "ვითამ" ორი მატჩი მოუგო (ექვსიდან), მათ შორის ერთი რუსთავში. ამის გათვალისწინებით ამ წყვილში ც საინტერესო ორთაბრძოლებს უნდა ველოდეთ, თუმცა ფავორიტი მაინც "ენერჯია".**

**"ვითას" მწვრთნელმა მიხეილ კობეშავიძემ კარგი ამბავი გვამცნო:**

- ჩვენი ცენტრი დავით ბერძენიშვილი, რომელსაც აორტა ჰქონდა დაზიანებული, რეანიმაციიდან უკვე პალატაში გადაიყვანეს. მისი არყოფნა ძალიან დაგვეტყობა. ფაქტობრივად ნომინალური ცენტრი აღარ დაგვრჩა. ახალგაზრდა მეფარე ლუკა ნოზაძეს ფეხი აწუხებს, თუმცა მას რუსთავში მაინც ვათამაშებთ. "ვითა" სეზონის დასაწყისში აღდგა და პირველივე წელს ჩემპიონობის მოპოვება ნაკლებად რეალური იყო. მით უმეტეს, რომ ჩემპიონატში საკმაოდ ძლიერი თსუ, "ავია" და "ენერჯი" თამაშობენ. თუმცა, როგორც ყოველთვის, "ვითას" მიზანი ახლაც ოქროს მედლის მოპოვებაა.

**ვითელთა კაპიტანი ვაკო ბეჟანიშვილი ოპტიმისტურადაა განწყობილი:**

- "ვითა"-"ენერჯის" წყვილში ფავორიტი რუსთავური გუნდია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მოქმედი ჩემპიონია, მეორეც - რეგულარული პირველობა დამაჯერებლად მოიგო და მესამე - მოედნის უპირატესობა მის მხარესაა. მესამე მატჩს სპორტის სასახლეში ვატარებთ, მაგრამ არც ამ შემთხვევაში ვიქნებით მასპინძლები, რადგან იმ არენაზე ვარჯიშის საშუალება არ გვაქვს. ყოველივე ზემოთ თქმულის მიუხედავად, "ვითა" მაინც საჩემპიონოდ ემზადება.

**"ენერჯის" მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა მეორე წყვილში თსუ-სა და "ავიმშენს" ფინალში გასვლის შანსები 50/50-ზე შეაფასა. "ვითა"-"ენერჯის" დაპირისპირებაში კი მცირე უპირატესობა საკუთარ გუნდს მიანიჭა:**

- ფინალში თამაშის მეტოქეზე მეტი შანსი კი გვაქვს, მაგრამ დღეს მხოლოდ ხვალინდელ მატჩზე ვფიქრობ. ხვალ ზეგინდელზე ვიზრუნებთ და ასე ეტაპობრივად უნდა მივაღწიოთ ჯერ ფინალამდე, შემდეგ - ოქროს მედლებამდე. სეზონის დასაწყისშიც ვთქვით, რომ ამ პირველობაზე "ენერჯის" მიზანი ჩემპიონობა იქნება.

**"ენერჯისა" და ნაკრების გამთამაშებელმა ლაშა გამყრელიძემ აღნიშნა, რომ ფეხის ტრავმა უკვე მოიშუშა და ფორმას ნელ-ნელა კრეფს:**

- თავს კარგად ვგრძნობ და ნახევარფინალისთვის აქტიურად ვემზადები. "ვითას" არაერთი კარგი მოთამაშე ჰყავს, რომელთაგან ვინმეს გამორჩევა მიჭირს. ისინი თავისსას ეცდებიან, მაგრამ ჩვენც საბრძოლველად ვემზადებით. თუ არ ვიბრძოლეთ, ისევე წავაგებთ, როგორც რეგულარულ ჩემპიონატში დავმარცხდით. დიდი იმედი მაქვს რუსთაველი ქომაგის მხარდაჭერის. გულშემატკივრები ყოველთვის გვერდში გვიდგანან და ჩვენც ვცდილობთ, იმედები არ გავუცრუოთ.

ვაჟა სიმონიშვილი




ლეგიონერები

# მარკოიშვილი და ცინცაძე ფინალში

ესტონეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში **გიორგი ცინცაძის** ტარტუს "როკმა" ნახევარფინალურ სერიაში 3:0 დაამარცხა ტარტუს "ფაუსტო" და ფინალის საგზური მოიპოვა. მესამე მატჩში ცინცაძის გუნდმა 87:77 იმარჯვა, ქართველმა გამთამაშებელმა კი 37 წუთში 10 ქულა, 8 შედეგიანი გადაცემა და 5 მოხსნა მიითვალა. ფინალში გიორგის გუნდის მეტოქე სავარაუდოდ ტალინის "კალევი" იქნება, რომელიც 2:0-ს უგებს ნახევარფინალურ სერიას "პირიტას".

**ვლადიმერ ბოისას** "არისი" საბერძნეთის საკალათბურთო პირველობის პლეიოფში თამაშობს. საპასუხო მეოთხედფინალურ შეხვედრაში "არისმა" "მარუსის" 98:95 მოუგო და სერიაში ანგარიში გაათანაბრა - 1:1. დღეს ამ გუნდებს შორის გადამწყვეტი შეხვედრა ნახევარფინალისტის ვინაობას გამოავლენს. ვლადიმერ ბოისამ 27 წუთი ითამაშა და გუნდს 10 ქულით და 2 მოხსნით შეეწია.

**მანუჩარ მარკოიშვილმა** უკრაინის ჩემპიონატის ფინალში თამაში გაინაღდა, მისმა "კიევმა" ნახევარფინალური სერიის მესამე მატჩიც მოუგო ლვოვის "პოლიტეხნიკა-გალიჩინას" ლვოვში მესამე მატჩში მანუჩარის გუნდმა 89:67 გაანადგურა. ქართველმა ლეგიონერმა 19 წუთი ითამაშა და გუნდს მხოლოდ 7 ქულით შეეწია.



ვლადიმერ ბოისა

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჭიდაობა

# ესეც განრიგი: ევროპა, ათ დღეში კი მსოფლიო!

9-11 მაისს ქართველი მოჭიდავეებისთვის მნიშვნელოვანი დღეებია - "ანტიკოსები" რომში სეზონის პირველ სალიცენზიო ტურნირში იჭიდავებენ და მსოფლიო ჩემპიონატზე დაკარგული ლიცენზიების მოპოვებას შეეცდებიან, ორივე სტილის მოჭიდავე ახალგაზრდები კი სტამბოლში, ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ. შეგახსენებთ, რომ "მარადიულ ქალაქში" **ლაშა გოგიტაძე (55), მუხრან მაჭუტაძე (66), მანუჩარ კვირკველია (74) და რევაზ ჭელიძე (120) გაემგზავრნენ.**

გაცილებით სოლიდური და მრავალრიცხოვანია სტამბულში წარგზავნილი დელეგაცია. გარდა იმისა, რომ იქ ორი ნაკრებია, მწვრთნელებმა ზოგიერთ წონაში რამდენიმე მონაწილე წაიყვანეს - ეს გუნდები 15-20 ივლისს სლოვაკურ კოშიცეში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან და კანდიდატებს არჩევენ. მით უფრო, ევროპული და საერთაშორისო ფედერაციების შეუთანხმებლობით, ამ ტურნირს სულ რაღაც ათ დღეში მსოფლიო ჩემპიონატი მოსდევს - 29 ივლისს სწორედ სტამბოლში იწყება და მწვრთნელები, პრაქტიკულად, ორ-ორ შემადგენლობას არჩევენ. ამიტომ არაა გასაკვირი, თუ საერთაშორისო ტურნირებზე რამდენიმე კანდიდატი მიჰყავთ.

მოგეხსენებათ, ორივე გუნდმა დიდი წარმატებით იჭიდავა საერთაშორისო ტურნირებში - "ანტიკოსებმა" - გერმანიაში, "თავისუფლებმა" - აზერბაიჯანში. პრაქტიკულად, ისე მოხდა, რომ "თავისუფლებმა" ბაქოდან პირდაპირ გადაინაცვლეს სტამბოლში - ორივე ნაკრები გუშინ თბილისიდან ავტობუსით გაემგზავრა.

"ანტიკოსთა" თავკაცმა **ვლადიმერ ადეიშვილმა** იქ **ზურაბ მაჭარაშვილი** (50), **გიგა გოგიბერაშვილი** (55), **უჩა შავაძე, არჩილ თურმანიძე** (ორივე - 60), **რამაზ ვაშაყმაძე, ბესიკ სალდაძე, ლაშა ლოლაშვილი** (66), **არსენ კახაბრიშვილი** (74), **გიორგი ღვინიაშვილი** (84), **ვასილ იმერლიშვილი, ბექა ჩოქლიანი** (96), **რამინ შაქარაშვილი, გიორგი კბილაშვილი** (მძიმე) წაიყვანა. ამათგან მაჭარაშვილი, კახაბრიშვილი და ღვინიაშვილი აპრილის ბოლოს გერმანულ ფრანკფურტში ჩემპიონები გახდნენ, შავაძე, იმერლიშვილი და შაქარაშვილი კი მესამეზე გავიდნენ.

"თავისუფალთა" თავკაცმა **ნუგზარ სხირელმა** ავადმყოფობის გამო რამდენიმე ლიდერი ვერ იახლა, თუმცა მაინც ძლიერი გუნდით გაემგზავრა თურქეთში: **დავით ბერძნიშვილი** (55), **გიორგი მაყიშვილი, თენგიზ ჩოჩიშვილი** (60), **ზაურ აბრამიშვილი** (66), **გიორგი მარსაგიშვილი, მარად ზოიძე, გიორგი სანოძე** (74), **თორნიკე სვანიძე, ბექა ჭელიძე** (84), **გიორგი ჩიქოვანი** (96), **ლევან ბერიანიძე** (მძიმე). ამათგან ჩიქოვანი და ბერიანიძე ბაქოში ჩემპიონები გახდნენ, ჭელიძე მეორეზე გავიდა, აბრამიშვილმა, მარსაგიშვილმა ზოიძემ და სვანიძემ კი ბრინჯაოები მოიპოვეს.

ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობების დიდი ნაწილი უკვე ცნობილია, თუმცა მწვრთნელები კონკრეტული ფალავნების დასახელებისგან თავს იკავებენ. სავარაუდოდ, იქ პრიორიტეტი საქართველოს ჩემპიონებს მიეკუთვნებათ, თუმცა წაგებულნი არც მეორე ნომრები დარჩებიან - ისევ და ისევ ზემოთ ნახსენები უცნაურობისა და ფედერაციების შეუთანხმებლობის გამო, მათ უფრო მაღალი რანგის ტურნირზე მოუწევთ ასპარეზობა. მაგრამ სათადარიგოები ლიდერებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაანაცვლებენ, თუ მათ წარმატებით ვერ იჭიდავეს.

ირაკლი თავაძე

ხელბურთი. ლეგიონერი

# ერთიც და ჩემპიონია

მაკედონიაში დასასრულს უახლოვდება სახელბურთო ჩემპიონატი. შეჯიბრების დასრულებამდე 2 ტურით ადრე, **რეზო ჭანტურიას** "მეტალურგი" კვლავ პირველ ადგილზეა და უშუალო კონკურენტ "ვარდარს" 3 ქულით უსწრებს.

შემდეგი ტური 10 მაისს შედგება. "მეტალურგი" საკუთარ "ავტოკომანდაზე" მიიღებს მეოთხეადგილოსან "პრესპას" და თუკი მოიგებს, ბოლო ტურის წინ ოფიციალურად გაინაღდებს ჩემპიონობას. დასკვნით ტურში კი მეტალურგებს მესამე საფეხურზე მყოფ "მლადოსტთან" გასვლითი მატჩი ელით.

ამას გარდა, ჭანტურიას კლუბს კიდევ ერთი ტიტულის მოგების შანსი აქვს - მაკედონიის თასის ფინალში მოსისხლე მტერ "ვარდარს" ეთამაშება, რომელმაც შარშან ორივე საშინაო ტიტული მოიპოვა.

კობა ხატისაშვილი

რაგბი. მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ტურნირი

# ქალთა შვიდკაცაზე, ბოსნიაში

საქართველოს ქალთა ნაკრები ბოსნიის ქალაქ ზენიცაში მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ტურნირში მიირებს მონაწილეობას. ჩვენი ქალთა გუნდი აქ შვიდკაცა რაგბიში, მასპინძლებთან ერთად, ბულგარეთის, ხორვატიის, ფინეთის, ისრაელის, ლატვიის, ლიტვის, რუმინეთის, სერბეთის, სლოვენიისა და ავსტრიის ნაკრებ გუნდებს დაუპირისპირდება.

აღსანიშნავია, რომ კიდევ ერთი ტურნირი ბელგიაში გაიმართება. ამ ორ შეჯიბრებაში პირველ ორ ადგილზე გასულ გუნდებს და მესამე საუკეთესოს კიდევ ერთ, დასკვნით ეტაპზე მიიწვევენ 14-15 ივნისს საფრანგეთის ქალაქ ლიმოჟში. 14 გუნდი მსოფლიო თასის 6 საგზურს გაითამაშებს.

მწვრთნელებმა **ზურაბ დუგლაძემ** და გიორგი ოკმელაშვილმა ბოსნიაში შემდეგი მორაგბეები იახლეს: **ნინო არაბული, ნინო დევიძე, ნათია მესხი, თამთა მთვარაძე, ოლგა ნაცვლიშვილი, ანა პოლოსიანი, მაკა ტყებუჩავა, მარიამ ქველაძე, თამარ ჩხუბიანიშვილი.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ლეგიონერები

# დათუნაშვილი ელიტაში



ლევან დათუნაშვილი ორიაკში გადადის

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ დივიზიონებში პლეი ოფი დაიწყო. ფედერალ ერთში **თედო ზიბზიბაძის** „პერიგომ" გასვლით შეხვედრაში ფრეს მიაღწია „ვალანსთან" 20:20. თედომ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

სტუმრად ნააგო „ექსთან" **შალვა სუთიაშვილისა** და **დავით გასვიანის** „ბობინიმ" 19:31. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ. საპასუხო შეხვედრაში წარმატების მიღწევის შემთხვევაში პარიზული გუნდი სწორედ „პერიგოსა" და „ვალანსს" შორის გამარჯვებულს შეხვდება. საპასუხო შეხვედრები 18 მაისს გაიმართება.

ფედერალ 2-ში დასრულდა რეგულარული გათამაშება. რომლის შედეგების მიხედვითაც, თავიანთ ჯგუფებში პირველ ადგილზე გასულმა **დავით ბოლღაშვილის** „ლილმა" და **ლევან დათუნაშვილისა** და **რეზო გიგაურის** „მონლუსონმა" ფედერალ 1-ის საგზურები ავტომატურად მოიპოვეს.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მორაგბეები „მონლუსონში" კარიერის გაგრძელებას აღარ აპირებენ. **ლევან დათუნაშვილმა** უკვე მოაწერა ხელშეკრულებას ხელი ელიტური მეორე დივიზიონის „ორიაკთან". აქვე გააგრძელებს კარიერას **მალხაზ ურჯუკაშვილიც** და ასევე „ბიარიციდან" გადმობარგებული შერკინების პირველხაზელი **გიორგი ჟღენტი. რეზო გიგაურის** მომავალი გუნდი კი ჯერჯერობით ცნობილი არაა.

H ჯგუფში **ბადრი ხეხელაშვილის** „კონიაკი" მეორე ადგილს დასჯერდა და ახლა ფედერალ 1-ში გადასვლას პლეი ოფის მეშვეობით შეეცდება. ხეხელაშვილის გუნდი მეთექვსმეტედფინალში გავიდა და „ლილსა" და „რომფორს" შორის გამარჯვებულს ელოდება. იმისათვის, რომ ზედა დივიზიონში აინაცვლოს, „კონიაკმა" ნახევარფინალში უნდა გააღწიოს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# ქუთაისელ ქალებსაც უნდა ვასწავლოთ!



Fira AER-ის ძრეზიდენტი ჟან კლოდ ბაკე და ქუთაისელი გოგონები

**საქართველოში ქალთა რაგბი ახალი ხილია. გუნდების ჩამოყალიბება ცოტა ხნის წინ დაიწყო და ახლა მისი პოპულარიზაცია მიმდინარეობს. ქალთა სექცია თბილისის გარდა ქუთაისშიც არსებობს. ქუთაისის სარაგბო სკოლის დირექტორის იოსებ დიაკონიძის თაოსნობით შეიქმნა გოგონათა გუნდი, რომელშიც ამჟამად 22 სპორტსმენი ირიცხება. გუნდი ძირითადად 24-ე საჯარო სკოლის ბაზაზეა დაკომპლექტებული, სადაც ექსპერიმენტის სახით რაგბი დაწყებით კლასებში ფიზკულტურის ნაცვლად ისწავლება. ქუთაისელ გოგონებს სათავეში გამოცდილი მწვრთნელები რამაზ სვანაძე და ალეკო ნიქაბაძე უდგანან. ქალთა რაგბის დღევანდელ მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებზე „ლელო" მათ გაესაუბრა.**

**ალეკო ნიქაბაძე:** - რამაზ სვანაძესთან ერთად წლების მანძილზე ვმუშაობდი. ჩვენ ბიჭებში არაერთი თაობა აღვზარდეთ და ახლა გვინდა გოგონათა რაგბისაც ჩავუყაროთ საფუძველი. ყველა ღონეს ვხმარობთ, რომ ქუთაისში ძლიერი გუნდი ჩამოვაყალიბოთ და ჩვენს ქალაქში ქალთა რაგბი პოპულარული გავხადოთ.

**რამაზ სვანაძე:** - შალვა ქურციკიძესთან ერთად ქუთაისური რაგბის ერთ-ერთი ფუძემდებელი ვარ. 1966 წელს ქუთაისში რაგბის პოპულარიზაცია დავიწყეთ და იმდენს მივაღწიეთ, რომ ჩვენი ქალაქი საბჭოთა კავშირის რაგბის ცენტრი გავხადეთ. სურვილი გვაქვს, რომ ასეთივე დიდი წარმატებებს მივაღწიოთ ქალთა რაგბიშიც.

**- ადრე თუ იყო გოგონათა გუნდის ჩამოყალიბების მცდელობა?**

- (ა.ნ.) არა, გოგონათა გუნდის ჩამოყალიბების იდეა ცოტა ხნის წინათ გაჩნდა. ეს არის ერთ-ერთი პირველი გუნდი, რომელიც საქართველოში ჩამოყალიბდა. იმედია, გარკვეული ხნის შემდეგ ქალთა შორის საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდება და ამ გოგონებს თავის გამოჩენის შესაძლებლობა მიეცემათ.

**- ქალთა რაგბის პოპულარიზაციაში ვინმე თუ გეხმარებათ?**

- (რ.ს.) ჩვენთან ერთად გუნდს ქუთაისის სარაგბო სკოლის დირექტორი სოსო დიაკონიძე ხელმძღვანელობს. ეს ადამიანი ყოველნაირად გვერდით გვიდგას, ყურადღებას არ გვაკლებს. ინვენტარითა და ფორმებით გვამარაგებს.

(ა.ნ.) არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენი გუნდი 24-ე საჯარო სკოლის ბაზაზე არსებობს. სკოლის დირექტორი სოფიო ხარშილაძე ყველანაირად გვერდით გვიდგას. გოგონათა გარდა, ჩვენ ვაჟთა გუნდიც გვყავს. ორი დარბაზი გამოგვიყო და ვარჯიშები შეუფერხებლად მიმდინარეობს. ამ სკოლაში ექსპერიმენტის სახით 1-4 კლასებში ფიზკულტურის ნაცვლად რაგბის გაკვეთილებს ვატარებთ და ბავშვებიც დაინტერესებული არიან.

**- ბავშვების შერჩევა როგორ ხდება, გოგონების მშობლებისგან პრობლემები არ გხვდებათ?**

- (რ.ს.) პირიქით, ჩვენც გვიკვირს ისე არიან მშობლები დაინტერესებული. ექვსი თვეა, რაც ჩვენი გუნდი არსებობს, მშობლები ვარჯიშებზე გვესწრებიან, უყურებენ რას ვაკეთებთ, როგორ ვშრომობთ და კმაყოფილები არიან.

**- ქალთა რაგბი საქართველოში მაინც უცხო ხილია. თქვენი აზრით, რა პერსპექტივა აქვს მას?**

- (რ.ს.) ვფიქრობ, უზარმაზარი პერსპექტივა აქვს. ქალთა შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები იმართება, ტარდება საკლუბო ტურნირებიც. მოვა ის დრო, როცა ჩვენი გოგონები ასეთ რანგის ტურნირებში მიიღებენ მონაწილეობას. საფრანგეთის ქალთა ნაკრების მენეჯერ ნიკოლ სმიტთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. 10 წლის წინათ საფრანგეთის ქალთა ნაკრებს ქუთაისში ჩამოსვლა უნდოდა, მაგრამ მაშინ ეს არ მოხერხდა, რადგანაც გუნდი არ გვყავდა. ეს კონტაქტებიც რომ არ იყოს, ახლა ისეთ დონეზეა საქართველოს რაგბის კავშირი, რომ თავად მოგვიძებნის სპარინგპარტნიორებს. შემოდგომაზე საფრანგეთში იგეგმება შეკრება, სადაც ამ ბავშვებს წავიყვანთ და იქ რომელიმე ფრანგულ გუნდთან ერთად მოვამზადებთ. ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რომ ქალთა რაგბი საქართველოში პოპულარული გახდეს.

**დავით კოხრეიძე**
**ქუთაისიდან**

# დაპირებით დაპურება?




დიდ დიღომში, 187-ე საჯარო სკოლის ტერიტორიაზე, ნაცვლად იმისა, რომ სკოლის სპორტული სარბიელი მოწესრიგებულიყო, საფეხბურთო მოედნის გვერდით ავტოსადგომი მოეწყო და სპორტული ობიექტით სარგებლობა (აქ მოსახლეობაც ვარჯიშობდა) საგრძნობლად შეიზღუდა. დააკვირდით ფოტოს, ავტოსადგომი თითქმის პირდაპირაა მიბმული საფეხბურთო კართან. ასე რომ, ბურთის კარში ძლიერად დარტყმაც კი სახიფათოა... მანქანებისთვის.

თავის დროზე ეს ობიექტი მოინახულეს თბილისის მერიის სპორტის სამსახურის ხელმძღვანელებმა და მოსახლეობას სპორტული კომპლექსის გაფართოება-კეთილმოწყობას (ავტოსადგომის გაუქმებითა და ტერიტორიის მიერთებით) დაჰპირდნენ. მაგრამ დღემდე დაპირება დაპირებად რჩება. არადა, გავრცელდა ხმა, რომ პროექტი შედგენილია... იქნებ, საბურთალოს რაიონის დეპუტატობის კანდიდატებმა ეს ადგილიც მოინახულონ და ადრინდელი დანაპირები მოიკითხონ. დაპირებით უკვე დაპურებული მოსახლეობა გადაწყვეტილების მოლოდინშია.

ტანვარჯიშში. ევროპის ჩემპიონატი

# გიორგაძე და ნოზაძე შვეიცარიაში



ბატუტზე მხტომელების შემდეგ, ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრნენ ჩვენი სპორტული სტილით ტანმოვარჯიშეები. ევროპის ჩემპიონატი შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში 8-11 მაისს გაიმართება და მასში 2 ქართველი იასპარეზებს - **ილია გიორგაძე** და **პაატა ნოზაძე**. გიორგაძე პეკინის ოლიმპიადისათვის ემზადება და მისთვის კონტინენტის პირველობა მოსამზადებელი ეტაპის ერთ-ერთი ნაწილია, ხოლო ახალგაზრდა ნოზაძე ლოზანაში გამოცდილებას მიიღებს.

ილია, ძირითადად, მოსკოვში ვარჯიშობდა. თუმცა ევროპის ჩემპიონატისთვის ნოზაძესთან ერთად, საბერძნეთის ქალაქ სალონიკიში გაიარა შეკრება.

ტანვარჯიშის თემა იმით დავამთავროთ, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, მსოფლიო თასის ეტაპებისათვის ემზადება პეკინის ოლიმპიადის კიდევ ერთი ლიცენზიანტი - ბატუტზე მხტომელი **ლუბა გოლოვინა**. იგი 14-19 მაისს, იაპონიურ ოსაკაში იხტუნავებს, ივლისში კი ესპანეთის დედაქალაქ მადრიდის მსოფლიო თასზე გაივლის გენერალურ რეპეტიციას ოლიმპიადისთვის.

დასკვნით შეკრებას ლუბა უკრაინის ნაკრებთან ერთად გაივლის. უკრაინელები წინასაოლიმპიადო შეკრებას ან ხარკოვში ჩაატარებენ, ანდა ნიკოლაევში.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი. ინტერვიუ ირაკლი ლაბაძესთან

# მოგებული მარათონი და მზადება უიმბლდონისთვის



ირაკლი ლაბაძე დევისის თასზე, სლოვაკეთის წინააღმდეგ

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელად კვლავაც 26 წლის ირაკლი ლაბაძე რჩება, მიუხედავად იმისა, რომ რეიტინგ-სიიდან გავარდა. ყველამ ვიცით, ლაბაძეს ტრავმა აწუხებდა, მარჯვენა მაჯაზე ოპერაცია გაიკეთა და წელიწადზე მეტი მოუწია უჩოგბურთოდ ცხოვრება. სპორტსმენისათვის კარიერის ასეთი შეფერხება დიდი ფსიქოლოგიური წნეხია და არსებობს შანსი, რომ გვერდზე გადგეს და სხვა საქმიანობას მიჰყოს ხელი. ამ პრობლემის წინაშე ირაკლიც მდგარა, მაგრამ საბედნიეროდ კეთილი ხალხის რჩევითა და თანადგომით აზრი შეუცვლია და დღეს ის კვლავ მოქმედი ჩოგბურთელია.

ირაკლი წლებია, ვენაში ცხოვრობს, ვარჯიშობს და სამშობლოში იშვიათად ჩამოდის, თუმც ამჯერად იგი თბილისშია და ჩვენთან შეხვედრაც მოახერხა.

**- ირაკლი, პირველ რიგში ნაოპერაციებ ხელზე გკითხავ, ხომ არ გაწუხებს?**

- მაჯა აღარ მტკივა, ტკივილებმა გაიარა და ჩოგბურთის თამაშშიც არ მიშლის ხელს. ერთადერთი უხერხულობა ისაა, რომ ორწლიანი შესვენების შემდეგ მაჯა იოლად არ ხურდება და 15-ოდე წუთი მჭირდება, რომ ჩოგანი კარგად შევიგრძნო. ეს არ არის დიდი პრობლემა და დროთა განმავლობაში ესეც მოგვარდება.

**- მაჯამ რომ "გაგიშვა", დევისის თასზე კარგად გამოჩნდა, სადაც ფანტასტიკური მატჩი მოიგე - სლოვაკ ლაჩკოსთან ხუთსეტიან თრილერში იმარჯვე. ორწლიანი შესვენების შემდეგ ასეთ შედეგს ელოდი?**

- ნამდვილად არ მეგონა, თუ იმ შეხვედრას მოვიგებდი. თავიდან ვფიქრობდი, ისე მეთამაშა, რომ არ შევრცხვენილიყავი, თანაც მაჯის გამოც ვნერვიულობდი - არ ვიცოდი, გამიძლებდა თუ არა. პირველ სეტის წაგების მერე მეორე სეტის შუიდან ნელ-ნელა ვიგრძენი, რომ უკეთ და უკეთ გამომდიოდა თამაში და იმედიც გამიჩნდა. საბოლოოდ ვიმარჯვე და მართლაც შესანიშნავი დაბრუნება გამომივიდა. სხვათა შორის, ჩემი გამარჯვებისა არც პირად მწვრთნელს, გიუნტერ ბრეზნიკს სჯეროდა. სლოვაკეთი ვენიდან ახლოსაა და წასვლის წინ ცოლს დაუბარა, რომ მაქსიმუმ სამ საათში დაბრუნდებოდა - ირაკლი უცებ წააგებსო. მატჩი რომ ძალიან გაიწელა და 7 საათის შემდეგაც ვერ დაბრუნდა სახლში, მეუღლემ ეჭვიანობა დაიწყო - მღალატობო. ბრეზნიკმა აუხსნა რაშიც იყო საქმე, მაგრამ ცოლი არ იჯერებდა და ბოლოს ჩვენ გვითხრა: საქართველოს ნაკრების ყველა წევრმა დაურეკეთ, თორემ მე არ მიჯერებს და მგონი ოჯახი მენგრევაო.

ჩემმა გამარჯვებამ ადგილობრივ პრესაშიც დიდი რეზონანსი გამოიწვია. ერთ-ერთი პუბლიკაცია ასე იყო დასათაურებული: ლაბაძემ დიდი შესვენების შემდეგ მარათონი მოიგოო. ახლობელ-მეგობრებმაც დამირეკეს და შემაქეს. განსაკუთრებით მესიამოვნა საფინის, ანდრეევისა და კუბეკის ზარები. მარატ საფინმა მითხრა: არ ვიცი, ამას როგორ აკეთებ, მაგრამ რომ შეგხვდებით, გვასწავლეო. მე ვუპასუხე - თავადაც არ ვიცი და თქვენ რა გასწავლოთ-მეთქი?!

**- ეს კითხვა ბევრს შეიძლება დაებადოს - უთამაშებელმა ადამიანმა საუკეთესო ფორმაში მყოფი სლოვაკი დაამარცხე, თანაც სამმაგი მატჩპოინტი გადაარჩინე. ასეთი მაგალითი შენს კარიერაში არაერთი ყოფილა. როგორ ახერხებ მატჩის მოტრიალებას?**

- სხვადასხვა ჩოგბურთელი ასეთ დროს სხვადასხვაგვარად იქცევა - ზოგი კომბინაციურ თამაშს ცდილობს, ზოგი უფრო ძალისმიერ მეთოდს მიმართავს... მე კი ბევრს არ ვფიქრობ, მხოლოდ ვცდილობ თამაშის სტილი შევცვალო და მეტოქეს რაღაც ორიგინალური შევთავაზო. მაგალითად, თუკი მატჩის განმავლობაში ძირითადად მარჯვენა და მარცხენა კუთხეებში ვაწვდიდი, ვცდილობ შუაში მოვაწოდო; ბადესთან გავიდე და ტექნიკური თამაშით მივილო უპირატესობა. ხშირად ვრისკავ ხოლმე და ხშირადვე მიმართლებს - ვიდრე მეტოქე ალღოს აუღებს ჩემს თამაშს, საქმე უკვე მომთავრებულია...

**- წონაში გვარიანად ხარ დაკლებული. დევისის თასამდე კარგად გივარჯიშია...**

- დაჩქარებული ტემპით ვვარჯიშობდი, თორემ დრო ბევრი არ მქონია. სამი კვირით ადრე დავიწყე სირბილი, ერთი კვირის შემდეგ კი კორტზეც გავედი. არადა, ასეთი ტემპით მზადება წლინახევრის უვარჯიშებელი ორგანიზმისთვის საზიანოა - სხეული სრული დატვირთვისთვის მზად არ არის და სხვათა შორის, ვიზარალე კიდეც: წელი ამტკივდა. წელის ტკივილის გამო ორი კვირის წინ ჩეხთში ერთ-ერთ ტურნირზე თამაში ველარ გავაგრძელე და მოვიხსენი შეჯიბრებიდან. თუმც ტრავმა მძიმე არ არის - კიდევ ერთ კვირას დავისვენებ და შემდეგ დავუბრუნდები ჩოგბურთს.

**- თბილისში ჩამოსვლა მკურნალობას ხომ არ უკავშირდება?**

- არა, ამჯერად ვიზის საკითხი უნდა მოვაგვარო. სამკურნალოდ ვენაში მყოფ პირადი ექიმის რჩევებს ვითვალისწინებ.

**- რახან დაბრუნდი, ცხადია, სერიოზულ მიზნებსაც დაისახავდი. კარიერის საუკეთესო შედეგის (42-ე ჩოგანი) გაუმჯობესებას რამდენ ხანში გეგმავ?**

- მთავარი მინდა ვთქვა: ტრავმების გამო ისე ვიყავი გატანჯული, რომ ჩოგბურთისთვის თავის დანებებას სერიოზულად ვფიქრობდი, დეპრესიაში გახლდით. მაგრამ ჩემი მწვრთნელის დაჟინებით და მეგობრების თხოვნა-მუდარით მოვბრუნდი ჩოგბურთისკენ. შედეგიანმა დასაწყისმა კი რწმენა დამიბრუნა და გაათკეცებული ენთუზიაზმით შევუდექი ვარჯიშს.

წარმატების იმედი მაქვს და წლის ბოლომდე ასეულში შესვლას ვაპირებ. დანარჩენზე მერე ვისაუბროთ, - რაც არ უნდა იყოს, ამხელა მოცდენა სპორტსმენისთვის ძალიან ბევრია და დაბრუნება იოლი არასდროს არის.

**- ჩვეულ ფორმაში ჩადგომა რთულია, ამისთვის ტურნირებში სისტემატური ასპარეზობაა მთავარი. მიმდინარე წელი ალბათ დაგეგმილი გაქვს...**

- ცხადია, გეგმა შემუშავებული მაქვს, მაგრამ წინასწარ მთელი წელი არ დამიგეგმავს. უახლოესი ტურნირი, სადაც გამოვალ უიმბლდონი იქნება. უიმბლდონამდე, მოსათელად ქვინსის ტურნირში გამოვალ, რომელიც ასევე ბალახზე იმართება. უიმბლდონი ივნისშია, დრო ბევრი არ არის, ამიტომ როლან გაროსს გამოვტოვებ. ერთ კვირაში მკურნალობას მოვრჩები და ვარჯიშსაც ამის შემდეგ გავაგრძელებ.

**ზვიად შათირიშვილი**

# კალაშნიკოვას ერთეულებში უჭირს

იტალიის ქალაქ ფლორენციაში 25-ათასიანი ტურნირის მერვედფინალში წააგო **მაკა ჩახნაშვილმა**, მან 19 წლის ბრაზილიელ **ტელიანა პერეირასთან** (212) ორ სეტში დათმო – 3:6, 2:6.

თურქეთის კურორტ ანთალიასთან, მანავგათში, ქალ ჩოგბურთელთა მცირე საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. ტურნირის ერთეულთა ბადე ხუთმა ქართველმა ჩოგბურთელმა დაიწყო, თუმცა დღეისათვის ბრძოლას მხოლოდ ორი აგრძელებს. ძირითადი ბადის პირველ წრეში წააგო **ოქსანა კალაშნიკოვამ**, მან ებრაელ **იულია გლუშკოსთან** დათმო – 5:7, 3:6, რომელმაც საკვალიფიკაციოში **სოფიო ქვაცაბაიაც** დაამარცხა. ოქსანა ქართული ჩოგბურთის ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ჩოგბურთელად ითვლება და არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ უსიამოვნო ტენდენცია, 17 წლის ქართველი ერთეულთა თანრიგში ნაკლებად წარმატებულად გამოდის, ვიდრე - წყვილებში. **სოფიო შაფათავამ** სამსეტიან ბრძოლაში დაამარცხა რუსი **ვარვარა გალანინა** – 2:6, 6:4, 6:2. **თინათინ ყაველაშვილმა** კი საკმაოდ იოლად სძლია „უაილდ ქარდით" მიწვეულ რუს **ალინა ტეპლუხოვას** – 6:0, 6:3. შაფათავა მეორე წრეში მე-4 ნომრად განთესილ სლოვენიელ **მასა ზეკ-პეკარიჩს** შეხვდება, ხოლო ყაველაშვილი შაფათავას მეწყვილე რუს ჩოგბურთელს, **მარინა შამაიკოს** დაუპირისპირდება.



ოქსანა კალაშნიკოვა

წყვილთა თანრიგში კალაშნიკოვასა და თურქი **ოზგენის** მე-4 ნომრად განთესილმა წყვილმა პირველ წრეში იოლად დაამარცხა ავსტრალიელი **ჰოპერისა** და თურქი **ბენლის** დუეტი – 6:0, 6:2. შაფათავამ და შამაიკომ ორ სეტში მოუგეს რუსებს (**კოტკინა, ციბიშევა**) – 7:6, 6:2.

ინდოეთში 10-ათასიან ტურნირში ძირითად ბადეშია 17 წლის **მაგდა ოქრუაშვილი**. პირველ წრეში მან უპრობლემოდ დაამარცხა ამერიკელი **ალექსანდრა რაილი**, რომელიც საკვალიფიკაციო ბადიდან გავიდა – 6:1, 6:1. მეორე წრეში მაგდა ინდოელ **პოჯარშრე ვენკატეშას** ეთამაშება, რომელთანაც ერთად წყვილთა თანრიგის ბადეში გამოდის. იქ პირველ წრეში ინტერნაციონალურმა დუეტმა ინდოელები (**გისვამი, ახანი**) დაამარცხა – 6:2, 6:4.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ოლიმპიზმი. სოჭი 2014

# სოჭში ოლიმპიადის ჩატარება ეჭვს იწვევს

## ექსპერტები ალტერნატივას ურჩევენ სოკ-ს

ვის რა სურს, ის თქვას, მაგრამ რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება საშიშროება სოჭში ოლიმპიადის ჩატარებასთან დაკავშირებით. გარდა პოლიტიკური მოტივისა, რაც რუსეთ-საქართველოს შორის დაპირისპირებას უკავშირდება აფხაზეთის გამო, თავი იჩინა ეკონომიკურმა და სხვა პრობლემებმა. გუშინ, ავსტრიულმა პრესამ ყველა პრობლემა ერთბაშად წამოწია წინა პლანზე და ფაქტობრივად დაასაბუთა საფრთხის რეალობა. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ საინტერესო არ არის იმ ქვეყნის პოზიცია, რომელიც განაწყენებულია 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლად სოჭის არჩევის გამო. ავსტრიის ზალცბურგი ხომ რჩეულ კანდიდატთა შორის ერთ-ერთი რეალური კონკურენტი იყო.

მაინც რასთან გვაქვს საქმე, რას წერს ავსტრიული პრესა? პრობლემების ჩამოთვლა იწყება იმით, რომ სოჭს არ აქვს საზღვაო პორტი და გზები, უკიდურესად არადამაკმაყოფილებელია ინფრასტრუქტურა და ფართო სამშენებლო სამუშაოების დაწყებისთვის მზადების ტემპი, რის გამოც "ოლიმპმშენის" ხელმძღვანელი სემიონ ვაინშტეინი იძულებული გახდა თანამდებობიდან გადამდგარიყო. "სოკ-ის სპეციალისტებმა ყველაფერი ეს საკუთარი თვალით იხილეს ინსპექტირებისას და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ახლავე მართებთ დაფიქრება სოჭის შემცვლელის შერჩევაზე", - წერს გაზეთი "დერ სტანდარტი".

ავსტრიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჰაინც იუნგვირტი მიიჩნევს, რომ "მთავარი პრობლემა სიმძლავრეებია და ვადების დაცვა მხოლოდ უდიდესი ძალისხმევით იქნება შესაძლებელი". მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს დიპლომატიასთან წილნაყარი მოსაზრებაა, თავშეკავებულად გამჟღავნებული, თორემ... პრობლემები, პრესის აზრით, თავს იჩენს ყველა სფეროში. ეს ეხება აგრეთვე ქუჩებს, რკინიგზას, საცხოვრებლებს, ნედლეულს, ელექტროენერგიას, მუშახელს... და, რაც მთავარია, რეალობაა სიმძლავრეების უკმარისობა, რეგიონისთვის ყველა საჭირო ტვირთის მისაწოდებლად.

გაანგარიშებულია, რომ პორტის მშენებლობა დიდ დროს მოითხოვს. მუშების საცხოვრებლად განთავსება კი რთული გადასაწყვეტია. "შეუძლებელია 100 ათასი მშენებლის მჭიდრო შენობაში შესახლება და ამ პირობებში მათი საყოფაცხოვრებო მოთხოვნებით სრულად უზრუნველყოფა, თანაც ზაფხულის პერიოდში. ისინი სოჭში ვერ შეძლებენ აბაზანის მიღებასაც კი", - ამბობს ხაზელშტაინერი, რომელმაც, ამას წინათ, ადლერის აეროპორტში ტერმინალის მშენებლობის შეკვეთა მიიღო. ამჟამად განიხილება მუშების გემებზე საცხოვრებლად განთავსების საკითხი. იმასაც არ მალავენ, რომ საზღვაო პორტის მშენებლობაც კი ვერ მოხსნის ყველა პრობლემას. ძნელი გადასაჭრელი იქნება ერთი მხრივ ენერგიის და მეორე მხრივ ზღვით ყველაფრის, მაგალითად, ბეტონის მიწოდების საკითხი. ამასთან, ბეტონის გიგანტური ქარხნებისთვის კრასნოდარის მხარეში არ არის საკმარისი ნედლეული.

საგანგაშოა ვითარება დაფინანსებაში, რაც კატასტროფულად გაიზარდა. ირკვევა, რომ დამატებით საჭიროა 2 მილიარდი ევრო სხვადასხვა სამუშაოებისთვის და 600 მილიონი ევრო გზების მშენებლობისთვის. საერთოდ, ოლიმპიადისთვის მზადება წლეულს ითვალისწინებს 94 სამშენებლო პროექტის შემუშავებას და 27 ობიექტის მშენებლობის დაწყებას.

ყველაფერს, რაც ზემოთ ითქვა, დაუმატეთ ისიც, რომ სოჭის მოსახლეობა პროტესტს გამოთქვამს ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით ბუნების ხელყოფის გამო.

**მოამზადა**
**თენგიზ თომაშვილმა**

გრძელდება ხელმოწერა "ლელოზე"
2008 წლის მეორე ნახევრისთვის

ხელმოწერას გააფორმებენ სააგენტოები: "საქპრესა", "მაცნე", "პლანეტა-ფორტე", "ინფოსერვისი", "პრესექსპრესი", პგს, ელვა-სერვისი"...

სპორტულ ფედერაციებს, სპორტულ სკოლებს, კლუბებს და სხვა ორგანიზაციებს ხელმოწერის გაფორმება შეუძლიათ როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით.

"ლელოს" გავრცელების სამსახური

კალათბურთი

# კობისაც აღირსეს



კობი ქალიშვილებთან ერთად ზეიმობს

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გასული სეზონის ყველაზე პრესტიჟული პრიზის მფლობელი გამოავლინა. როგორც ვარაუდობდნენ, წლის საუკეთესო კალათბურთელი, პირველად 12-წლიან კარიერაში "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი** გახდა.

გამოკითხულებიდან 82-მა ფავორიტს პირველი ადგილი მიანიჭა, სულ კი, კობიმ 1105 სარეიტინგო ქულა მიიღო. მისი ძირითადი კონკურენტი "ნიუ ორლეან ჰორნეტსის" გამთამაშებელი **კრის პოლი** იყო, რომელსაც 28 პირველი ადგილი და 889 ქულა ერგო. შემდეგ მოდიან "ბოსტონ სელტიქსის" თავდამსხმელი **კევინ გარნეტი** (15, 670 ქულა) და "კლივლენდ კავალიერზის" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** (1, 438 ქულა).

ბრაიანტმა 2007-08 წლების სეზონი 28.3 ქულით, 6.3 მოხსნით, 5.4 შედეგიანი პასითა და 1.8 ჩაჭრით დაასრულა. მას რეგულარულში არცერთი შეხვედრა არ გამოუტოვებია.

*"პრიზის მიღებას არ ველოდი. ეს ჩემთვის დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა. ამ ტიტულის მოპოვებას მარტო ვერ შევძლებდი, ამიტომაც, მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ჩემს თანაგუნდელებს და მწვრთნელს. მე ისინი ძმებად მიმაჩნია"*, - განაცხადა პრიზის მიღების შემდეგ კობიმ.

ის, რომ ჯილდო კობის დარჩებოდა, ამაში ეჭვი თითქმის არავის ეპარებოდა.

*"არ ვიცნობ არცერთ კალათბურთელს, რომელიც MVP-ის ტიტულს კობიზე მეტად იმსახურებს. არავინ არ მუშაობს საკუთარ თავზე ისე, როგორც ამას ჩემი მეგობარი აკეთებს"*, - ამბობს **შაკილ ონილი**.

*"უკვე სამი წელიწადია ვამბობ, რომ კობი ბრაიანტი მსოფლიოში საუკეთესო კალათბურთელია*, - შეგვახსენა ლებრონ ჯეიმსმა. - *მიხარია, რომ როგორც იქნა, მას ეს ჯილდო ალირსეს"*.

გიორგი თვალია

| ყველა MVP | |
|---|---|
| 2008 | კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) |
| 2007 | დირკ ნოვიცკი (დალასი) |
| 2006 | სტივ ნეში (2) (ფინიქსი) |
| 2005 | სტივ ნეში (ფინიქსი) |
| 2004 | კევინ გარნეტი (მინესოტა) |
| 2003 | ტიმ დანკანი (2) (სან ანტონიო) |
| 2002 | ტიმ დანკანი (სან ანტონიო) |
| 2001 | ალენ აივერსონი (ფილადელფია) |
| 2000 | შაკილ ო'ნილი (ლეიკერსი) |
| 1999 | კარლ მელოუნი (2) (იუტა) |
| 1998 | მაიკლ ჯორდანი (5) (ჩიკაგო) |
| 1997 | კარლ მელოუნი (იუტა) |
| 1996 | მაიკლ ჯორდანი (4) (ჩიკაგო) |
| 1995 | დევიდ რობინსონი (სან ანტონიო) |
| 1994 | ჰაკიმ ოლაჯუონი (ჰიუსტონი) |
| 1993 | ჩარლზ ბარკლი (ფინიქსი) |
| 1992 | მაიკლ ჯორდანი (3) (ჩიკაგო) |
| 1991 | მაიკლ ჯორდანი (2) (ჩიკაგო) |
| 1990 | მეჯიქ ჯონსონი (3) (ლეიკერსი) |
| 1989 | მეჯიქ ჯონსონი (2) (ლეიკერსი) |
| 1988 | მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო) |
| 1987 | მეჯიქ ჯონსონი (ლეიკერსი) |
| 1986 | ლარი ბერდი (3) (ბოსტონი) |
| 1985 | ლარი ბერდი (2) (ბოსტონი) |
| 1984 | ლარი ბერდი (ბოსტონი) |
| 1983 | მოზეს მელოუნი (3) (ფილადელფია) |
| 1982 | მოზეს მელოუნი (2) (ჰიუსტონი) |
| 1981 | ჯულიუს ირვინგი (ფილადელფია) |
| 1980 | ქარიმ აბდულ-ჯაბარი (6) (ლეიკერსი) |
| 1979 | მოზეს მელოუნი (ჰიუსტონი) |
| 1978 | ბილ უოლტონი (პორტლენდი) |
| 1977 | ქარიმ აბდულ-ჯაბარი (5) (ლეიკერსი) |
| 1976 | ქარიმ აბდულ-ჯაბარი (4) (ლეიკერსი) |
| 1975 | ბობ მაკადუ (ბაფალო) |
| 1974 | ქარიმ აბდულ-ჯაბარი (3) (მილუოკი) |
| 1973 | დეივ კოუენსი (ბოსტონი) |
| 1972 | ქარიმ აბდულ-ჯაბარი (2) (მილუოკი) |
| 1971 | ქარიმ აბდულ-ჯაბარი (მილუოკი) |
| 1970 | უილის რიდი (ნიუ იორკი) |
| 1969 | უეს ანსელდი (ბალტიმორი) |
| 1968 | უილტ ჩემბერლენი (4) (ფილადელფია) |
| 1967 | უილტ ჩემბერლენი (3) (ფილადელფია) |
| 1966 | უილტ ჩემბერლენი (2) (ფილადელფია) |
| 1965 | ბილ რასელი (5) (ბოსტონი) |
| 1964 | ოსკარ რობერტსონი (ცინცინატი) |
| 1963 | ბილ რასელი (4) (ბოსტონი) |
| 1962 | ბილ რასელი (3) (ბოსტონი) |
| 1961 | ბილ რასელი (2) (ბოსტონი) |
| 1960 | უილტ ჩემბერლენი (ფილადელფია) |
| 1959 | ბობ პეტიტი (2) (სენტ ლუისი) |
| 1958 | ბილ რასელი (ბოსტონი) |
| 1957 | ბობ კოუზი (ბოსტონი) |
| 1956 | ბობ პეტიტი (სენტ ლუისი) |

# დენტონი ჩიკაგოში ინიშნება

"ფინიქს სანზის" ჯერ კიდევ მოქმედი მთავარი მწვრთნელი, **მაიკ დენტონი** სულ მალე "ჩიკაგო ბულზის" დამრიგებლად მოგვევლინება. ამის შესახებ ტელ კომპანია ESPN-მა NBA-ში ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით შეიტყო. ეს ცნობა "ხარების" გენერალური მენეჯერის **ჯონ პაქსონისა** და დენტონის შეხვედრის შემდეგ გავრცელდა.

გარიგება იმ შემთხვევაში შედგება, თუ "ფინიქსის" გენერალური მენეჯერი **სტივ კერი** და კლუბის მფლობელი **რობერტ სერვერი** მწვრთნელთან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მოქმედი კონტრაქტის განყვეტას დათანხმდებიან. წინაალმდეგ შემთხვევაში კი, დენტონის ხელში ჩასაგდებად "ბულზს" "სანზისთვის" 8 მილიონი დოლარის ოდენობის კომპენსაციის გადახდა მოუწევს. ამას კი, სავარაუდოდ, "ჩიკაგოს" ხელმძღვანელობა არ დათანხმდება, რადგან გუნდს ზაფხულში ვადაზე ადრე გათავისუფლებული **სკოტ სკაილზის** 6-მილიონიანი კომპენსაცია აქვს დასაფარი. როგორც იცით, "ჩიკაგომ" ეს სპეციალისტი 2007 წლის დეკემბერში დაითხოვა.

გიორგი თვალია

ჩოგბურთი

# ენდის დედა შეაგინეს

ბრიტანელი **ენდი მარეი** არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროს** ადანაშაულებს. შოტლანდიელი ჩოგბურთელი აცხადებს, რომ მისმა მოწინაალმდეგემ დედამისს შეურაცხყოფა მიაყენა.

მარეი და დელ პოტრო რომის მასტერსის პირველ წრეში შეხვდნენ ერთმანეთს. მატჩი, რომელიც წვიმის გამო რამდენჯერმე შეწყდა, ვადაზე ადრე დასრულდა. პირველი სეტის წაგების შემდეგ (5:7), არგენტინელმა ზურგის ტრავმა მოიმიზეზა და თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. მარეის მტკიცებით, მატჩის დროს არგენტინელი შეურაცხმყოფელ სიტყვებს ისროდა ბრიტანელის დედის მისამართით, რომელიც ტრიბუნაზე ძალიან აქტიურად უჭერდა მხარს თავის შვილს.

*"ბევრ რამეზე შემიძლია თვალი დავხუჭო, მაგრამ ვერ მოვითმენ, როცა დედაჩემს, მსოფლიოში საუკეთესო ადამიანს შეურაცხყოფას აყენებენ"*, - განაცხადა მარეიმ, რომელმაც კორტზევე სცადა საკუთარი ღირსების დაცვა, დელ პოტროსთან ურთიერთობის გარკვევა დაიწყო და ამის გამო, მსაჯისგან შენიშვნაც კი მიიღო.



დელ პოტრო და მარეი

რომის მასტერსის მეორე წრეში, ბრიტანელის მეტოქე შვეიცარიელი **სტანისლას ვავრინკა** იქნება.

გია თვალაბეიშვილი

# მარია 825 ათასს კარგავს

სოლიდური ფულადი ჯარიმის გადახდა მოუწევს რუს **მარია შარაპოვას**. თანხა, რომელიც ჩოგბურთელმა WTA-ს უნდა გადაუხადოს, თითქმის მილიონ დოლარს აღწევს.

შარაპოვა უკვე შეელია 125 ათას დოლარს იმის გამო, რომ ბერლინის პირველი კატეგორიის ტურნირში თამაშზე უარი განაცხადა. ამას გარდა, ამ თანხას შეიძლება კიდევ 10 ათასიც დაემატოს, თუ მარია ექიმების დახმარებით არგუმენტირებულად ვერ დაასაბუთებს ბერლინის ტურნირზე უთამაშებლობის მიზეზს.

ამ ჯარიმების გარდა, მოსალოდნელია, რომ შარაპოვა კიდევ 700 ათასი დოლარით გაღარიბდება. ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ მარიამ უარი თქვა WTA-ს სარეკლამო აქციაში მონაწილეობაზე. მომავალ კვირას, რომის წარმომადგენლობითი ტურნირის წინ, ქალთა ჩოგბურთის ვარსკვლავებმა ფოტოსესიაში უნდა მიიღონ მონაწილეობა და მათ შორის შარაპოვაც უნდა იყოს, მაგრამ რუსი არ აპირებს ამ აქციაში ჩართვას. სწორედ ამით არის განპირობებული ასეთი მაღალი ფულადი ჯარიმა.

საერთოდ, WTA-ს წესების თანახმად, პრომო-აქციაზე გამოუცხადებლობისთვის მაქსიმალური ჯარიმა 300 ათას დოლარს შეადგენს, მაგრამ ეს რიცხვი ავტომატურად იზრდება 700 ათასამდე იმ სპორტსმენებისთვის, რომლებიც თავიანთ სათამაშო ფორმაზე WTA-ს სპეციალურ სარეკლამო ლოგოს არ ატარებენ.

ასე რომ, თუ მარია უახლოეს დღეებში არ შეწყვეტს ბოიკოტს, ჯამში 825 ათასი დოლარით დაზარალდება.

*"შეეკითხეთ ნებისმიერ ჩოგბურთელს და ყველა გიპასუხებთ, რომ მნიშვნელოვანი ტურნირის წინ, ხანგრძლივ გადაღებებში მონაწილეობა არასწორი ნაბიჯია. WTA საერთოდ არ ფიქრობს მოთამაშეებზე"*, - განაცხადა შარაპოვამ.

გია თვალაბეიშვილი

ოლიმპიზმი. პეკინის წინ

# ევერესტზე მაინც ავლენ

ამ დღეებში, ევერესტის რაიონში ქარბუქი მძვინვარებდა და ამან კორექტივები შეიტანა ოლიმპიური ჩირაღდნის მსოფლიოს ყველაზე მაღალ მწვერვალზე ატანის მოსამზადებელ პროგრამაში. პეკინის თამაშების ორგანიზატორთა ჩანაფიქრით, ეს ღონისძიება ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის ყველაზე მთავარი და გამორჩეული ეტაპი უნდა იყოს. პროფესიონალი ალპინისტების ჯგუფმა საუკეთესო მარშრუტი შეარჩია, სპეციალისტებმა სპეციალური ლამპარი დაამზადეს იმისთვის, რომ ცეცხლი დაბალი ტემპერატურისა და გაიშვიათებული ჰაერის პირობებშიც არ ჩაქვრეს.



ევერესტზე ცეცხლი ამ ლამპარით ავა

*"უამინდობამ ჩვენ მიერ მომზადებული მარშრუტი და წინასწარ დადგმული ბანაკი დააზიანა. მაგრამ სტიქია მაინც ვერ შეგვიშლის ხელს. ჩვენს ძალებში 100 პროცენტით ვართ დარწმუნებულნი"*, - განაცხადა ალპინისტთა ჯგუფის წარმომადგენელმა **ჩუან ჩუიც ზიანმა**. ამ მომენტში, 31 ჩინელი ალპინისტი, რომელთაგან ყველაზე უფროსი 45 წლისაა, ყველაზე უმცროსი კი 20 -ის, სტიქიისგან მიყენებული ზიანის გამოსწორებას ცდილობს.

ოლიმპიადის ორგანიზატორების მიერ დასახული ამოცანის პირობა ასეთია: ევერესტზე ოლიმპიური ცეცხლის ატანა წარმატებულად იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუ ჩირაღდანი ანთებული იქნება და ცეცხლი მკაფიოდ გამოჩნდება 15 წუთის განმავლობაში.

გია თვალაბეიშვილი

## ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. I ეტაპი

### C ჯგუფი

**კანადა–აშშ 5:4**

2:0, 1:2, 2:2

გოლები: 1:0 ბერნსი-1 (ე. სტაალი-2, სენტ ლუისი-1), 2:0 ჰიტლი-5 (ნეში-3, გეტცლაფი-5), 3:0 ტეუზი-1 (დოუნი-1, კუნიტცი-2), 3:1 პარიზე-2 (ბრაუნი-3, პომინვილი-2), 3:2 ო'სალივანი-2 (სტეფორდი-2, გილბერტი-1), 4:2 დ. რუა-1 (კუნიტცი-3, დოუნი-2), 4:3 ბრაუნი-2 (ო'სალივანი-2, პარიზე-1), 4:4 29 პომინვილი-1 (კესელი-1, კეინი-3), 5:4 ჰიტლი-6 (გეტცლაფი-6, ნეში-4).

**სლოვენია–ლატვია 0:3**

0:0, 0:2, 0:1

გოლები: 0:1 ნიჟივისი-1, 0:2 სიროკოვსი-1 (სპრუქტსი-1, ციპულისი-1), 0:3 სიროკოვსი-2 (ციპულისი-2).

| | მ | ო-მ | ო-წ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 3 | 0 | 0 | 0 | +12 | 9 |
| 2. აშშ | 2 | 0 | 0 | 1 | +7 | 6 |
| 3. ლატვია | 1 | 0 | 0 | 2 | -8 | 3 |
| 4. სლოვენია | 0 | 0 | 0 | 3 | -11 | 0 |

### D ჯგუფი

**რუსეთი–დანია 4:1**

1:0, 2:0, 1:1

1:0 აფინოგენოვი-1 (გრებეშკოვი-3, რადულოვი-1), 2:0 ოვეჩკინი-2 (ფიოდოროვი-2, კოვალჩუკი-4), 3:0 ფიოდოროვი-1 (კორნეევი-1, კოვალჩუკი-5), 4:0 გოროვიკოვი-2 (მოზიაკინი-1, სუშინსკი-1), 4:1 კ. სტაალი-2 (ელერი-2).

**ჩეხეთი–იტალია 7:2**

2:2, 4:0, 1:0

გოლები: 1:0 ერატი-1 (ელიაში-1, ტ. კაბერლე-4), 1:1 ანსოლდი-1, 1:2 ფონტანივე-2 (პელფერი-1), 2:2 ვრბატა-3, 3:2 ჟიდლიცკი-1 (ერატი-1, კაბერლე-5), 4:2 ვრბატა-4 (ფლიშმანი-3, ჰანჟალი-3), 5:2 ელიაში-4 (კაბერლე-6, ჟიდლიცკი-3), 6:2 კუბა-1 (ირგლი-1, ნოვოტნი-1), 7:2 პლინკა-1 (ერატი-2, კლეპისი-1).

| | მ | ო-მ | ო-წ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 2 | 1 | 0 | 0 | +10 | 8 |
| 2. ჩეხეთი | 2 | 0 | 1 | 0 | +7 | 7 |
| 3. დანია | 1 | 0 | 0 | 2 | -2 | 3 |
| 4. იტალია | 0 | 0 | 0 | 3 | -15 | 0 |

## ჩოგბურთი. ტურნირები

### ATP

**Internazionali BNL d'Italia**

რომი (იტალია). თიხნარი

საპრიზო ფონდი: 2 270 000 ევრო

**I წრე**

**ჟილ სიმონი (საფ)**-ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 10) 6:2, 4:6, 7:6 (6); **ფერნანდო ვერდასკო (ესპ)**-კარლოს მოია (ესპ, 11) 6:3, 6:4; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 12)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 3:6, 7:6 (0), 7:6 (6); **ტომი რობრედო (ესპ, 14)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ) 6:4, 6:1; **ივო კარლოვიჩი (ხორ)**-პოლ ანრი მატიო (საფ, 15) 7:6 (4), 6:2; **ნიკოლას ლაპენტი (ეკვ)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 7:6 (6), 2:6, 6:2; **სიმონე ბოლელი (იტა)**-ოლივიე პატიენსი (საფ) 6:0, 6:3; **მარიო ანჩიჩი (ხორ)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:4, 6:4; **ხოსე აკასუსო (არგ)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 6:4, 6:2; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ)**-ნიკოლას კიფერი (გერ) 6:7 (5), 6:3, ჯ6:4.

**II წრე**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-გილერმო კანიასი (არგ) 6:3, 6:3; **ენდი როდიკი (აშშ, 6)**-მარდი ფიში (აშშ) 6:1, 6:4.

### WTA

**German Open**

ბერლინი (გერმანია). თიხნარი

საპრიზო ფონდი: 1 345 000 ევრო

**I წრე**

**ვერა დუშევინა (რუს)**-პატი შნიდერი (შვეიც, 9) 6:2, 6:3; **ხისელა დულკო (არგ)**-ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 12) 4:6, 6:1, 6:2; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ)**-კეისი დელაკუა (ავსტრა) 6:2, 6:2; **კატალინა კასტანიო (კოლ)**-გალინა ვოსკობოევა (რუს) 6:2, 6:2; **შუაი პენგი (ჩინ)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 7:6 (4), 5:7, 6:0; **ალისა კლეიბანოვა (რუს)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 6:0, 6:0; **აკგულ ამანმურადოვა (უზბ)**-არავან რეზაი (საფ) 7:5, 7:5; **მარია კირილენკო (რუს)**-ელენა ვესნინა (რუს) 2:6, 7:5, 6:2; **ჟი იანი (ჩინ)**-მარტინა მიულერი (გერ) 6:2, 6:3; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-ტატიანა გარბინი (იტა) 3:6, 7:5, 2:2 გარბინის უარი.

**II წრე**

**სერენა უილიამსი (აშშ, 5)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა) 6:2, 6:3; **ელენა დემენტიევა (რუს, 7)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 6:1, 6:2; **მარიონ ბარტოლი (საფ, 8)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 6:0, 6:3.

## კალათბურთი. NBA. პლეიოფი. 1/4 ფინალი

### აღმოსავლეთი

**ბოსტონი–კლივლენდი 76:72**

25:15, 16:22, 12:15, 23:20

ბ: გარნეტი (28+8 მოხსნა), რონდო (15+6 პასი), კასელი (13), პერკინსი (7+12 მოხსნა).

კ: ილგაუსკასი (22+12 მოხსნა), შჩერბიაკი (13), ლ. ჯეიმსი (12+9 მოხსნა+9 პასი).

სერია 1:0

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

კრივი. ზემძიმე წონა

# ჩაგაევი ვალუევს გაურბის?

კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) ვერსიით, ზემძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონს, უზბეკ **რუსლან ჩაგაევსა** და რუს გიგანტ **ნიკოლაი ვალუევს** შორის სატიტულო ბრძოლა გადაიდო. მათი ბრძოლა 31 მაისს უნდა გამართულიყო, მაგრამ ავადმყოფობის გამო ჩაგაევი რინგზე გასვლას ვერ ახერხებს.

ეს მეორე შემთხვევაა, როცა ჩაგაევი ტიტულის დაცვაზე ავადმყოფობის გამო ამბობს უარს. პირველად ის რვა თვის წინ, რუს **სულთან იბრაგიმოვს** უნდა შეხვედროდა, მაგრამ მაშინ B ჰეპატიტის გამო ვერ იბრძოლა. ამჯერად, ჩაგაევს ყელის ანთებითი დაავადება აქვს. მას გლანდები სტკივა და მაღალი სიცხეები აქვს, რის გამოც, ვარჯიშს ვერ ახერხებს. მოუმზადებლად რინგზე გასვლა კი, თანაც რუსი გიგანტის წინააღმდეგ, უაზრობაა.

*"რუსლან ჩაგაევს გაჭიანურებული ვირუსული ინფექცია აქვს. სამედიცინო ენაზე, მის დაავადებას ლარინგიტი და ფარინგიტი ჰქვია. ჩვენთვის გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, ეს არის ყელის მაღალსიცხიანი ანთება, რომლებიც მძიმე სიმპტომებით მიმდინარეობს. მკურნალობა ითვალისწინებს, რომ მან ვარჯიში უნდა შეწყვიტოს, სხვანაირად არაფერი გამოვა"*, - ამბობს ჩაგაევის ფიზიოთერაპევტი, დოქტორი **მაიკლ ენერტი**.

შეგახსენებთ, რომ იბრაგიმოვთან (ავადმყოფობის გამო) ბრძოლაზე უარის თქმის შემდეგ, ჩაგაევი (24-0-1, 17 ნოკაუტი) რინგს ძლევამოსილად დაუბრუნდა – იანვარში ქულებით, აშკარა



ჩაგაევს ერთხელ უკვე დამარცხებული ჰყავს ეს გიგანტი

უპირატესობით დაამარცხა ბრიტანელი **მეტ სკელტონი**.

რაც შეეხება WBA-ის ტიტულს, ის 29 წლის უზბეკმა შარშან, აპრილში მას შემდეგ მოიპოვა, რაც ქულებით, მსაჯთა არაერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ვალუევი დაამარცხა.

რაც შეეხება ვალუევს, ჩაგაევისგან განცდილი მარცხის შემდეგ, მან ტიტულისთვის ბრძოლის უფლება თებერვალში მოიპოვა, როცა WBO-ის (კრივის მსოფლიო ორგანიზაცია) ყოფილი ჩემპიონი, ბელარუს **სერგეი ლიახოვიჩი** დაამარცხა.

ბოლო ცნობით, ბრძოლა 5 ივლისისთვის გადაიტანეს. ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არაა მისი ჩატარების ადგილი. არაა გამორიცხული, რომ ამ ბრძოლას გერმანიის ქალაქმა ობერჰაუზენმა უმასპინძლოს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ველოსპორტი. ვარსკვლავი

# პეტაკი ტურზე ვერ იასპარეზებს

თანამედროვეობის ყველაზე გამორჩეული სპრინტერი, იტალიელი **ალესანდრო პეტაკი** ამ სეზონში ვერც ჯირო დ'იტალიაზე იასპარეზებს და ვერც ფრანგულ ტურზე. იტალიურ რბოლაზე მან თავისი ნებით თქვა უარი, რადგან ქრონიკული ბრონქიტი აქვს გამწვავებული, საფრანგეთის წრეზე კი დისკვალიფიკაციის გამო ვერ იასპარეზებს.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელი ჯიროს დროს აღებულ სინჯში, პეტაკის აკრძალულ სტეროიდ სალბუტამოლის ჭარბი შემცველობა აღმოაჩნდა. იტალიის ოლიმპიური კომიტეტის წინაშე თავის მართლებისას, პეტაკიმ დაასაბუთა, რომ აღნიშნული ნივთიერება მის სინჯში იმ წამლების მეშვეობით მოხვდა, რომლებსაც ქრონიკული ასთმის სამკურნალოდ იყენებს.

მაგრამ მისი საქმის განხილვა, მოგვიანებით სპორტის საქმეთა საარბიტრაჟო სასამართლოში გაგრძელდა, სადაც პეტაკის არგუმენტები არასაკმარისად იქნა მიჩნეული. შედეგად, სახელოვან იტალიელ ველომრბოლს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, რომელიც 31 აგვისტოს დაუმთავრდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯიროსა და ფრანგული ტურების გარდა, ის ვერც პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლას შეძლებს.

საარბიტრაჟო სასამართლომ დისკვალიფიკაციის ვადის დასაწყისად შარშანდელი ნოემბერი მიიჩნია. ამასთან, ამ ვადაში გათვალისწინებულია ის ორი თვე, რომლის განმავლობაშიც პეტაკის არსად უასპარეზია. ეს ის დროა, რომელიც ველომრბოლის დოპინგზე ჩავარდნასა და მისი საქმის პირვანდელ განხილვას შორის გავიდა.


პეტაკი დალონებულია

იტალიის ოლიმპიური კომიტეტის დოპინგსაწინააღმდეგო განყოფილების მიერ წარმართული საქმის დროს, პეტაკიმ დაამტკიცა, რომ მის ორგანიზმში სალბუტამოლის ჭარბი შემცველობა ადამიანური შეცდომის ბრალია და არა განზრახული ქმედება. ამ არგუმენტს ის გარემოებაც ამტკიცებდა, რომ დასაშვები ნორმა ოდნავ იყო დარღვეული.

საქმეში იტალიის ველოსპორტის ფედერაცია ჩაერთო, რომელმაც ბრალდების ყველა მოთხოვნა უარყო. შედეგად, ბრალმდებელმა სპორტის საქმეთა არბიტრაჟს მიმართა. საარბიტრაჟო სასამართლომ, ერთწლიანი დისკვალიფიკაციის გარდა, პეტაკი სხვა სანქციებითაც დასაჯა. კერძოდ, ანულირებულ იქნა შარშანდელ ჯიროზე პეტაკის მიერ მოპოვებული ხუთივე გამარჯვება. ველომრბოლი იძულებულია, ჯიროს ორგანიზატორებს ამ ეტაპების მოგებისთვის მიღებული საპრიზო ჰონორარებიც დაუბრუნოს. სამაგიეროდ, ძალაში რჩება ყველა ის შედეგი, რომლებიც პეტაკის მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა და მსოფლიოს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტომ პეტაკისთვის საარბიტრაჟო სასამართლოს ორწლიანი დისკვალიფიკაცია მოსთხოვა. პეტაკის მხარე კი ერთწლიანი დისკვალიფიკაციის გასაჩივრებასაც აპირებს:

*"ეს გადაწყვეტილება იმდენად აბსურდულია, რომ მას შვეიცარიის ფედერალურ სასამართლოში, ან სტრასბურში, ადამიანის უფლებათა დამცველ სასამართლოში გავასაჩივრებთ"*, - ამბობს ველომრბოლის ადვოკატი **მარია ლაურა გვარდამანია**.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17**

| | |
|---|---|
| ირლანდია-შვეიცარია | 0:1 |
| თურქეთი-შოტლანდია | 1:0 |
| ჰოლანდია-სერბეთი | 1:0 |
| საფრანგეთი-ესპანეთი | 3:3 |

**იტალიის თასი. 1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ლაციო-ინტერი | 0:2 (0:0) |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბაიერნი-არმინია | 2:0 |
| აინტრახტი-ვოლფსბურგი | 2:3 |
| ჰამბურგი-ვერდერი | 0:1 |
| ლევერკუზენი-ჰერტა | 1:2 |
| ნიურნბერგი-დუისბურგი | 2:0 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-კიოლნი | 1:3 |
| ფრაიბურგი-ოფენბახი | 0:1 |
| ჰოფენჰაიმი-კობლენცი | 3:1 |
| მაინცი-ალემანია | 0:1 |
| ბორუსია (მ)-ვეენი | 3:0 |

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| ბაბელსბერგი-მაგდებურგი | 0:0 |
| დორტმუნდი II-ალენი | 0:2 |
| ემდენი-ფორტუნა | 1:2 |
| ერფურტი-ფერლი | 3:0 |
| ესენი-ჰამბურგი II | 2:1 |
| ვუპერტალი-კოტბუსი II | 4:3 |

**რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| ინგოლშტატი-აალენი | 2:1 |
| ზიგენი-ზანდჰაუზენი | 1:2 |

**საფრანგეთის თასი. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ლიონი-სედანი | 1:0 |

**ჰოლანდია. პლეიოფი**

| | |
|---|---|
| დენ ჰააგი-ვენლო | 2:0 |
| ვაალვიკი-მაასტრიხტი | 4:0 |
| ცვოლე-დენ ბოში | 1:0 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| რეინჯერსი-მოზერველი | 1:0 |

**პლეიოფი**

| | |
|---|---|
| ეირდრი-კლაიდი | 0:1 |
| არბროა-სტრანრარი | 2:0 |

**დანია**

| | |
|---|---|
| მიდტიულანდი-რანდერსი | 2:1 |
| ოდენსე-ესბერგი | 1:1 |
| ბრონდბიუ-ვიბორგი | 1:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აბ კოპენჰაგენი-ფრემი | 2:1 |
| ორჰუსი-ვეილე | 0:2 |
| ჰიკ-ნიკიობინგი | 0:0 |
| ჰერფიოლგე-ფრედერისია | 1:1 |
| ჰვიდოვრე-ნაესტველი | 0:0 |
| კიოლდინგი-სიონდერილი | 2:2 |
| ოლსტიკე-კიოგე | 0:0 |
| სილკებორგი-სკივე | 5:0 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| გიოტებორგი-კალმარი | 3:2 |
| ჰელსინგბორგი-ერებრუ | 1:0 |
| ტრელებორგი-ელფსბორგი | 0:2 |
| იურგორდენი-ჰამარბიუ | 0:2 |

**საბერძნეთი. პლეიოფი**

| | |
|---|---|
| აეკ-არისი | 1:0 |
| პანიონიოსი-პანათინაიკოსი | 1:2 |

**თურქეთის თასი. ფინალი**

| | |
|---|---|
| გენჩლერი-კაისერი | 0:0, პენ. 10:11 |

**კვიპროსის თასი. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| აპოელ-ომონია | 2:0 |
| ანორთოსისი-აპოლონი | 4:1 |

**ჩეხეთის თასი. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| სპარტა-ბოჰემიანსი | 1:0 |
| ლიბერეცი-ბრნო | 2:1 |

**ხორვატიის თასი. ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| დინამო-ჰაიდუკი | 3:0 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ლ. ენერგია-ნალჩიკი | 0:2 |
| ტომი-ცსკა | 0:0 |
| ამკარი-სატურნი | 1:0 |
| ხიმკი-ტერეკი | 0:1 |
| დინამო-კრილია | 2:2 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| კრაკოვია-ოდრა | 3:0 |
| გურნიკი-ზაგლებე | 0:1 |
| გროცლინი-ვისლა | 0:0 |
| იაგელონია-ლეგია | 1:2 |
| კორონა-ვიძევი | 1:1 |
| ლკს-რუხი | 1:1 |
| პოლონია-ლეხი | 2:2 |
| სოსნოვეცი-ბელხატოვი | 0:0 |

**უკრაინის თასი. ფინალი**

| | |
|---|---|
| შახტარი-დინამო | 2:0 |

**სერბეთის თასი. ფინალი**

| | |
|---|---|
| პარტიზანი-ზემუნი | 3:0 |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| ინტერბლოკი-კოპერი | 1:2 |
| მარიბორი-დომზალე | 0:1 |
| ნაფტა-დრავა | 1:0 |
| პრიმორიე-ლივარი | 3:0 |
| პუბლიკუმი-გორიცა | 4:2 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| დებრეცენი-დიორი | 6:0 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| დაჩა-უნირეა | 0:3 |
| გლორია (ბის)-პანდური | 3:1 |
| ოცელული-პოლიტეხნიკა (ი) | 0:0 |
| პოლი ტიმიშოარა-ფარული | 4:1 |
| სტიაუა-გლორია (ბ) | 5:0 |
| არადი-დინამო | 1:3 |
| უნივერსიტატეა (კლ)-კლუჟი | 0:1 |
| უნივერსიტ (კრ)-ჩახლაული | 3:2 |
| ვასლუი-რაპიდი | 2:3 |

**ჩილე**

| | |
|---|---|
| კობრესალი-კობრელოა | 2:2 |

**პერუ**

| | |
|---|---|
| ალ. ატლეტიკო-სპორტ ანსაჩი | 3:0 |

### ჰოკეი

**მსოფლიო ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| შვედეთი-შვეიცარია | 2:4 |
| ფინეთი-სლოვაკეთი | 3:2 |

### ჩოგბურთი

**ATP. რომი**

| | |
|---|---|
| ნალბანდიანი-ალმაგრო | 4:6, 5:7 |
| ჯოკოვიჩი-დარცისი | 6:4, 6:0 |
| აკასუსო-ორნა | 3:6, 6:7 |
| ფერერი-შტეპანეკი | 6:4, 2:6, 1:6 |
| დავიდენკო-ანჩიჩი | 6:2, 6:2 |
| მონაკო-ანდრეევი | 6:4, 1:6, 4:6 |
| სეპი-ბლეიკი | 6:7, 6:3, 1:6 |
| გონსალესი-კოროლიოვი | 6:3, 6:2 |
| ბოლელი-სიმონი | 6:4, 6:4 |
| ნადალი-ფერერო | 5:7, 1:6 |
| ვერდასკო-ლაპენტი | 6:2, 5:7, 6:2 |
| რობრედო-მაუ | 7:5, 7:6 |
| მარეი-ვავრინკა | 2:6, 6:7 |
| სტარაჩე-კარლოვიჩი | 3:6, 7:6, 6:7 |

**WTA. ბერლინი**

| | |
|---|---|
| აზარენკა-ჩაკვეტაძე | 1:6, 7:6, 6:4 |
| საფინა-კანეპი | 6:4, 6:3 |
| კლეიბანოვა-დუშევინა | 2:6, 6:4, 3:6 |
| იანკოვიჩი-პენგი | 7:5, 6:0 |
| ბამერი-ლისიცკი | 6:3, 1:6, 7:6 |
| მედინა გარიგესი-ა. ბონდარენკო | 7:5, 0:6, 6:3 |
| ივანოვიჩი-ამანმურადოვა | 7:6, 6:2 |
| პეტროვა-კირილენკო | 3:6, 3:6 |
| ა. რადვანსკა-ბახმანი | 6:1, 6:1 |
| ანენი-ჩანი | 6:0, 6:2 |
| შავაი-იანი | 6:1, 6:1 |
| კუზნეცოვა-კასტანიო | 6:3, 6:2 |

## TV სპორტი

**8 მაისი. ხუთშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. კრუზეირო-ბოკა ხუნიორსი.
14:10 გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვერდერი.
15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:19 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:10 გერმანიის ჩემპიონატი.
15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:15 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
19:25 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:25 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:10 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ატლეტიკო (LIVE).
15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:00 პირდაპირი ხაზი.
02:00 სასტვენი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:30 სპორტლოსიე. კალათბურთი.
08:25 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
08:53 ფეხბურთი. Barca TV.
09:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
09:11 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-შვეიცარია. კანადა.
11:02 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. II რაუნდი. რომი. იტალია.
14:53 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-შვეიცარია. კანადა.
16:47 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
17:15 ფეხბურთი. იტალიის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლაციო-ინტერი.
19:02 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:05 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:20 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-სევილია.
22:05 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:22 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:15 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:30 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. კანადა (LIVE).
01:50 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
02:05 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
02:33 სპორტლოსიე. კალათბურთი.
03:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. დეტროიტი-დალასი (LIVE).
05:40 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-რეკრეატივო.

**EUROSPORT**

10:30 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
11:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. თურქეთი-შოტლანდია. თურქეთი.
12:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. საფრანგეთი-ესპანეთი. თურქეთი.
13:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. III რაუნდი. ბერლინი. გერმანია.
14:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. ბერლინი. გერმანია (LIVE).
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. ბერლინი. გერმანია (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. რაული.
22:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. დევიდ ბექჰემი.
23:00 პროფესიული კრივი. IBF-ის ვერსია. კილი. გერმანია.
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.
03:00 მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ლაკროსი. აშშ-ის ეროვნული ლიგა. 1/4 ფინალი. კოლორადო-კალგარი.
13:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. საფრანგეთი-ესპანეთი. თურქეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
11:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. თურქეთი-შოტლანდია. თურქეთი.
13:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. საფრანგეთი-ესპანეთი. თურქეთი.
19:00 ბილიარდი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ.
21:00 BMX. მსოფლიო თასი. ავსტრალია.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა.
23:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ფინალი. სიუდადი (ესპანეთი)-კილი (გერმანია).
13:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. საფრანგეთი-ესპანეთი. თურქეთი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი

# ფერარის ციხე-სიმაგრე



## ქალაქი, სადაც წითელი მანქანების გამარჯვებები იჭედება

**მილანიდან დაახლოებით 200 კილომეტრზე ერთი პატარა ქალაქია, სახელად მარანელო. ამ, ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეულ დასახლებაში, სადაც სულ რამდენიმე ქუჩაა. აქ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული და ყველაზე ტიტულოვანი სარბოლო გუნდის შტაბბინა მდებარეობს. დიახ, დღეს სწორედ "ფერარის"იმპერიის შესახებ გიამბობთ.**

სკუდერიის ფანები ამბობენ, რომ გუნდის ნამდვილი გულშემატკივარი ერთხელ მაინც უნდა იყოს ნამყოფი ამ ქალაქში. აქ აღორძინდა ომამდელ წლებში საავტომობილო იმპერია და დღესაც აქ მდებარეობს ქარხანა, სადაც "ფერარის" აწყობენ. სხვათა შორის, წინასწარი შეკვეთით, აქ მოკლე ექსკურსიის ორგანიზება შეიძლება. კრისტალურად სუფთა საამქროები, სიჩუმე - ექსკურსიამძღოლს ხმისჩაწყვეტამდე ყვირილი არ სჭირდება იმისთვის, რომ დაზგების ხმები გადაფაროს... გუნდის ხელმძღვანელთა ნებართვით, ქარხნის სპორტულ ნაწილში შესვლაც შესაძლებელია. სწორედ აქ მუშაობენ ფორმულა 1-ის ბოლიდებზე ტესტების დროსა და რბოლების შემდეგ.

მაგრამ უკანასკნელ ხანს, აქ, დამსწრეებს, რბილად რომ ვთქვათ, დიდად არ სწყალობენ: წითელი ბოლიდების გვერდით მხოლოდ 15 წუთი დგომაა ნებადართული. მანქანას შეგიძლია ხელითაც შეეხო, მაგრამ მასში ჩაჯდომა და მით უმეტეს მისი ძირის დათვალიერება ან სურათის გადაღება კატეგორიულად აკრძალულია: კონკურენტებს ჯაშუშები მრავლად ჰყავთ. ტესტები იქვე ახლოს, ფაქტობრივად, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს იმართება, თუმცა ეს უკვე სხვა ქალაქია, რომელსაც ფიორანო ჰქვია. თუ იქ მოხვდით, დიდი შანსი გაქვთ რომელიმე პილოტის ავტოგრაფსაც გამოჰკრათ ხელი.

მაგრამ "ფერარის" ფანებისთვის იმპერიის მთავარი სიმბოლო არა ქარხანა ან ფიორანოს ტრასა, არამედ აქედან დაახლოებით 50 მეტრში მდებარე სახლი გახლავთ. აქ ოდესღაც **ენცო ფერარი** ცხოვრობდა, რომელმაც საავტომობილო იმპერია 1929 წელს დააარსა. დღეს ეს სახლი მუზეუმად გამოიყენება. გარდა ამისა, ის ერთგვარად სასტუმროს ფუნქციებსაც ასრულებს, სადაც პილოტები იმ დროს ცხოვრობენ, როცა შეჯიბრებებისთვის ემზადებიან. მათ სხვა სასტუმროში ცხოვრების უფლება აქვთ, მაგრამ მაგალითად, **მიხაელ შუმახერი** ყოველთვის აქ ჩერდებოდა. ბუნებრივია, როცა ამ ოდნავ პირქუშ ვილაში პილოტები არიან შესახლებულნი, სტუმრებისთვის იქ შესვლა აკრძალულია. ისე კი, გადაიხადეთ 10 ევრო და დატკბით იმ ულაყის ქანდაკებით, რომელიც ოდესღაც ენცო ფერერის მისმა მფრინავმა მეგობარმა აჩუქა და რომელიც "ფერარის" სიმბოლოს წარმოადგენს.

ისე კი, ქანდაკების გარდა, ამ დიდ სახლში ტურისტი ბევრს ვერაფერს ნახავს: სახლია და მორჩა. 10 წუთში ყველანაირი ღირსშესანიშნაობის დასათვალიერებლად გეყოფათ. სხვა საქმეა რამდენიმე წლის წინათ რეკონსტრუირებული Galleria Ferrari, რომელიც ქალაქის ცენტრში მდებარეობს. აი ეს ნამდვილი მუზეუმია, რომელშიც "ფერარის" თაყვანისმცემელს შუეძლია მთელი დღე გაატაროს - 9:30-დან 18 საათამდე. ფასი აქაც 10 ევროა.

რეკონსტრუქციის შემდეგ მუზეუმი უფრო კომფორტული და მოხერხებული გახდა. მთელი ექსპოზიცია თემატურად არის დაყოფილი სამ ნაწილად: გზად შესასვლელიდან გასასვლელამდე, ვერცერთ ნაწილს გვერდს ვერ აუვლით და სამივეს დათვალიერება მოგიწევთ. პირველი - იმპერიის დამაარსებლის, ენცო ფერარის ცხოვრებას ეძღვნება. გასაგებია, რომ აქ საინტერესო ძალიან ცოტაა: ძირითადად, საარქივო ფოტოები.

სამაგიეროდ, ამის შემდეგ გულშემატკივრისთვის ნამდვილი ზეიმი იწყება. ეს არის დარბაზები, რომელიც მოგვითხრობენ ფორმულა 1-ის ყველაზე პოპულარული და ტიტულოვანი გუნდის ისტორიაზე. აქ არის ფორმულისთვის განკუთვნილი პირველი სარბოლო "ფერარი", რომელიც მარანელოში 1947 წელს დამზადდა. და უფრო გვიანი მოდელებიც. არის რარიტეტიც, რომელსაც ფოტოებზეც კი ვერ ნახავთ. ეს გახლავთ "ფერარი", რომელიც 80-იანი წლების ბოლოს, ინდიკარის ამერიკული სარბოლო სერიისთვის შეიქმნა. პროექტი განუხორციელებელი დარჩა და მანქანამ, ისე, რომ კილომეტრიც არ გაუვლია, მუზეუმში დაიკავა ადგილი. მუზეუმში აგრეთვე გამოფენილია "სკუდერიის" მიერ ნახევარი საუკუნის განმავლობაში მოპოვებული უამრავი პრიზი.

კედლებზე ეკრანები კიდია და თითოეულზე გუნდის ისტორიის ამა თუ იმ მნიშვნელოვანი მომენტის ჩანაწერი მეორდება. ეკრანებზე ჩანან **ჟილ ვილნევი, ნიკი ლაუდა, ალენ პროსტი,** მიხაელ შუმახერი... სხვადასხვა ეპოქა, სხვადასხვა მანქანა, სხვადასხვა ადამიანი... გუნდის ყველა პილოტისა და "ფერარის" ყველა სეზონის შესახებ, დაწვრილებით გვაცნობენ ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებული პოსტერები.

ექსკურსია სრულდება დარბაზით, რომელსაც ფორმულა 1-თან არანაირი კავშირი არ აქვს. ეს ექსპოზიცია სხვა სერიებში "სკუდერიის" წარმატებების შესახებ გვიყვება - "ტურიზმში" სპორპროტოტიპების კლასში... სხვათა შორის, პრიზების კოლექცია აქაც შთამბეჭდავია.

მარანელოში ბევრი პატარა კაფე და რესტორანია. ეს განსაკუთრებული ადგილებია, რადგან სხვაგან ვერსად დალევთ ღვინოს ჭიქით, რომელსაც "ფერარის" ცხენი ამშვენებს და ვერ მიირთმევთ კერძს თეფშით, რომლის ფსკერზე წითელი მანქანაა გამოსახული. თანაც, გამართლების შემთხვევაში, მეზობელ მაგიდასთან შესაძლოა ვინმე ისეთი შენიშნოთ, ვისაც "ფერარისთან" უშუალო კავშირი აქვს. ეს შეიძლება იყოს **ფელიპე მასა** ან **ჟან ტოდტი**. მაგრამ ასეთ გარემოში მიხაელ შუმახერთან შეხვედრის ბედნიერება არ გექნებათ: სანდო წყაროებითაა ცნობილი, რომ გერმანელს თაყვანისმცემლებისგან მოშორებით უყვარს კვება.

**გია თვალაბეიშვილი**



